ედისონ (ერემია) სალაძე

საქართველოსთვის, სწორდით!

თბილისი
2010

UDC (უაკ) 821. 353. 1-1
ს-20

საქართველოსთვის, სწორდით! _ ესაა პირველი კრებული ახალგზედა პოეტისა, რომლის სახელისა და გვარის წარდგენა მე მხვდა წილად. გატონი ***ედისონ (ერემია) სალაძე*** *_ კაცი უზომოდ შეყვარებული სამშობლოზე, მის წარსულსა და მომავალზე. ალბათ იტყვით, ასეთები ხომ მრავლად არიანო (ღმერთმა გვიმრავლოს!), მაგრამ, მე მისი «სიდიადე» ერთ პატარა ლექსში აღმოვაჩინე _ «დაილოცოს ქართველები» _ უზომოდ სადა და მრავლისმთქმელი, თანაც ისეთი მარტივი, რომ მაშინვე აიტაცებს მკითხველი _ დიდიც და პატარაც. ამ ლექსით დავიწყეთ გაზეთ «ციაგის» ფურცლებზე გატონ ედისონ სალაძის პოეზიის წარმოჩენა და დღეს უკვე მისი «კაცური სათქმელი» წიგნად გამოვეცით. ქველმოქმედებისთვის დიდ მადლობას ვუხდით გატონ* ***ბონდო ვაჭარაძეს****, რომელმაც უდიდესი სიყვარული ჩააქსოვა ამ თანადგომაში. დღეს უკვე პოეტის განცდები და ნაფიქრალი თქვენამდეა მოტანილი, მისი ორიგინალური სტილი სადა და სულშიჩამწვდომია და მჯერა, რომ პოეტის ეს პირველი შემახილი «საქართველოსთვის, სწორდით!» ყველა ქართველის გულს მისწვდება და იქ დაივანებს.*

იმედია, რომ დღეს «ლიბერთი ბანკში» მოღვაწე გატონი ედისონ სალაძე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული პოეზიის სამყაროში.

რუსუდან კენჭოშვილი
ფილოლოგი, გაზეთ «ციაგის» რედაქტორი

ISBN 978-9941-0-2390-3 (ყველა კრებულის)
ISBN 978-9941-0-2391-0 (პირველი კრებულის)

დაილოცოს ქართველები

საქართველოს მთას და მდელოს
უფლის კალთა აფარია,
იპყრობდნენ და ვერ დაიპყრეს,
ღმერთი მუდამ მაღალია.

ქართველისთვის საქართველო
მუდამ იყო საფიცარი,
დაილოცოს შენი მთები,
სიყვარულით ნაფიცარი!

დღეგრძელობის კანონები
მაღლა ცაში იწერება,
ქართველთათვის ავის მდომნი
ბალახივით იცელება.

დაილოცოს შენი ზეცა,
სილამაზით ნაშენები,
არასოდეს დაგჭირვოდეს,
უცხო ტომის მაშველები!

იხარე და იხალისე,
შვილივით ხარ საფერები,
კიდევ ერთხელ ადღეგრძელეთ _
დაილოცოს ქართველები!

დაბრძანებულა დავითი გელათს

დასძინებია მეფური ძილით,
გელათს დაუდვია ბინა,
ნაზირ-ვეზირნი, ბერ-მონაზონნი
ერისთვის ლოცულობს ყველა.
ბევრი სიკეთე ჰქმნა, ბევრი ივაჟკაცა,
ბევრჯერ გაათია ღამე,
ბევრი იბრძოლა საქართველოსთვის,
მტერს დღე გაუთენა ღამედ.
დაწვა ვალმოხდილი სამუდამოდ,
თვისი ვაჟკაცური სულით,

მაშინ შეიძრა ერთობ საქართველო,
ყველამ დაიტირა გულით.
ახლა კი, როდესაც 900 წელი
გავიდა უსწრაფეს სრბოლით,
დავითის სული არ მოასვენა
მტერმა უმსგავსო რბოლით.
დიდო მეფეო, ქართველთ აწუხებენ _
შეჰკადრა ერთხმად ყველამ,
მიწებს აჭრიანო, ცუდსაც ჰკადრებენო,
ერთად შევიყაროთ ყველა.
შუბლი შეიჭმუხნა, წელში გაიმართა,
ხელი ზეაღმართა მძიმედ,
სიზმარი გაახსენდა, ხელებს რომ აჭრიდნენ,
ტკივილი იგრძნო უცებ.
სიზმრად შეშფოთებულს მის სულს გაეღვიძა,
ხელები არ ჰქონდა სარდალს,
ტკივილით აღმოხდა: _ ჩემო საქართველო,
დღეს ვინღა არჩევს მართალს.
მხრები შეარხია, ტანი დაიმძიმა,
ხმალი მოითხოვა თვისი,
სულმა გაიელვა, ჰაერში აიჭრა,
ტაიჭიც გამოგელვდა მისი.
ყველა შეიყაროს, დიდგორის გმირები,
ჩემთან მეახლონო მთაზე, _
დაჭექა მეფემ თვისი მქუხარებით,
ღრუბელიც აირია ცაზე.
ხმალთა სიკაშკაშის, ცხენთა თქარათქურის
ხმაური მისწვდა მხედარს,
დიდი და პატარა რაინდთა სულები
ერთად შეიყარნენ გელათს.
ქართველნო გმირნო, ჩემო შვილებო _
მიმართა მამობრივ ზრუნვით,
ახლა გვჭირდებაო თქვენი სიძლიერე,
თქვენი უტეხი სული.
ქართველთ ჩაუსახლდით, სულში ჩაუსახლდით,
მაღლა გეჭიროთო ხმალი,
გმირებად აქციეთ თქვენი სიმამაცით,
აფრინეთ ტაიჭები მალი.
ქართველთ გადაეცით, გელით, გადაეცით
თქვენი ალესილი ხმალი,
რომ წინ წარუძღვნენ ერის სიდიადეს,
მტერს დღე გაუთენონ შავი.
ჩვენი სამაჩაბლო, ჩვენი აფხაზეთი,
ღმერთო, რა შეგცოდეთ ქართველთ ასეთი,
წამით ჩაფიქრდა - რა დრო გასულაო,
რა დრო გასულაო მაინც.

უფალი გფარავდეთ, ღმერთი შეგეწიოთ,
უფალო, დიდება! ამინ!

არ წავქცეულვართ

კავკასიონზე მე შევდგი ფეხი,
მიმოვიხედე ირგვლივ ეულად,
ქედს აქეთ ვხედავ მე საქართველოს,
ცრემლები მომდის, არ დაქცეულა.
არ დაქცეულა, არც წაქცეულა,
ღმერთების კუთხედ როცა ქცეულა,
მტრისგან დაჭრილი ეს სილამაზე
იავარქმნილად გადაქცეულა.
ზომბების თქეში თავზე დაგვატყდა,
მტერი თავისთან ვერ დატეულა,
არ დაგვაცალა წყნარი ცხოვრება,
თვითონ არ იცის, ჩვენგან რა უნდა.
შემოგვიტია ყოველი მხრიდან
შინაურ მტერმა, თუ გარეულმა,
ყველგან გაისმის უცხო სიტყვები
მსოფლიო ცენტრად გადავქცეულვართ.
საუკუნეებს გავუძელთ ერთად,
ჩვენი სამშობლო გმირად ქცეულა,
ქართველი ხალხი მუდამ იბრძოდა,
მაგრამ არასდროს არ წაქცეულა.
გმირების სული თავს დაგვტრიალებს,
ყველანი ფარად გადაქცეულან,
მშვიდობისათვის ერთობა გვინდა
არ დაგვამარცხოს უცხო გრძნეულმა.
კავკასიონზე მე შევდგი ფეხი,
მიმოვიხედე ირგვლივ ეულად,
ქართველო ხალხო, ერთად შევიკრათ,
ნუ გეშინიათ, არ წავქცეულვართ!

როგორც ქართველთა წესია

ჯიხვი ქარაფებს უხდება,
ტყეს - ფოთლის წყნარი შრიალი,
ცას - არწივების მეფობა,
თერგს - ტალღის აღმა ტრიალი.
ზღვას თოლიები შეშვენის,
თბილისს კი - ბრძენი მთაწმინდა,
მთასა _ თეთრწვერა მყინვარი,
ლოცვა ზეცაში აფრინდა.

ქართული ვაზის ნაჟური
ფიალებს ავსებს წვენითა,
სხვაც არაფერი გვაკლია,
აუწერელი ენითა.

ეს საქართველოს მხარეა,
თავის მთითა და ბარითა,
სტუმარ-მასპინძლის ადათით
და მეგობრობით მყარითა.

ამიტომ გამოგვარჩია
და დაგვიფარა კალთითა,
უფალს მადლობა შევწიროთ,
ქრისტიანობის მადლითა.

ქართული გენიც სხვა არის,
არ აგერევა სხვაშია,
ჩვენი სინდისი, ნამუსი,
პატივისცემა გვარშია.

შევინარჩუნოთ მამული,
წესი ხომ მუდამ წესია!
ბუნებით ვიმკით იმასა,
რაც რომა დაგვითესია!

უნდა დავფიქრდეთ ხშირადა,
რას ვიმკით, რა გვითესია?
მოვიქცეთ, როგორც შეგვფერის,
როგორც ქართველთა წესია!

შენ დაგვილოცე სამშობლო

სანამ იქნება მზე და
სანამ იქნება მთვარე,
მანამ იქნება სიცოცხლე,
ჩემს მამულს ვენაცვალე!
სანამ იქნება ქორწილი
და ღვინით სავსე ყანწი,
ჩემს საქართველოს დიდება,
მე ამ სასმისსაც დავცლი!
სანამ იქნება ქართული,
ჩვენი ადათი, წესი,
როგორც არ უნდა ინდომონ
ქართულს ვერავინ შეცვლის!

ჩვენ მამა-პაპათ საძვლიდან
ხმად ამოგვძახის ერი,
მანამ იცოცხლებს ქართველი,
არ დაელევა მტერი.
ბევრი გვჯიჯგნეს და გვაწვალეს,
ვერ შეგვიცვალეს რწმენა,
ხშირად უნდოდათ, მოესპოთ
ჩვენი ქართული ენა.
თვითონ წავიდნენ, ჩვენ დავრჩით,
კიდევაც წავა ბევრი,
უფლის წყალობით მოვდივართ,
კვლავ გადარჩება ერი!
სანამ იქნება სინდისი,
პატიოსნება ჩვენი,
ვერასდროს ვერ მოგვერევა
თავგასრესილი გველი.
ჩვენ საქართველოს ვუმღერით,
ყველამ უმღეროს მისას,
თუ არ წავიდა ბოროტი,
დღე დაადგება, მტრისას!
ყველას თავისი უყვარს და
ჩვენ გვიყვარს ჩვენი მრევლი,
ქართველი ღმერთმა დალოცა,
წყალობა მისცა ბევრი!
დღევანდელ გაჭირვების ჟამს
წამოვაშველოთ ხელი,
გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს,
არ გავახაროთ მტერი!
უფალო, შენ გევედრებით
და მუხლმოდრეკით გელით,
შენ დაგვილოცე სამშობლო,
სინათლე მიეც ბევრი!

მათ უკვდავება მარადი

ბრძოლას მაშინ აქვს აზრი,
თუ გულზე მოგდის ბრაზი,
თუ მებრძოლი ხარ ნაღდი
და ცხენი თუ გყავს მარდი.
წელზე სულ გერტყა ფრანგული,
გულში კი ქვეყნის დარდი,
შენ დაიბადე გულადი
და მკლავი გქონდა კარგი.
ჩოხას ირგებდი ლამაზად,
მიწას მტრის სისხლით რწყავდი,
გადამთიელებს მისდევდი,

იცოდი ბრძოლის ფანდი.
შენ სულ იყავი მაგარი,
ღვინოსაც ჯიხვით სვამდი,
გიყვარდა შენი სამშობლო,
ვაჟკაცებს ერთად კრავდი.
სხვანაირად კი ვერ იზამ,
ხმლის წვერი სწვდება მტრამდი,
შენი გიჭრიდა ფრანგული,
მტერს ერთი დარტყმით კლავდი.
შენზე სიმღერებს მღერიან,
მებრძოლი იყავ ნაღდი,
სამშობლოს ჯიქურ იცავდი,
მას გაუქარწყლე დარდი.
შენებრ გულადი სამშობლოს
ერთეულები ჰყავდით,
ყველა ვაჟკაცი გამოგყვა,
მებრძოლებს მუდამ სწამდით.
დღეს საქართველო, იცოდეთ,
დიდ გასაჭირში არის,
და ველოდებით ჩვენს გმირებს,
ხმალი უწვდინოს მტრამდის.
სულის სანთელი აინთო,
უფალო, მუდამ გვწამდი,
შენ დაგვიფარე მარადჟამს,
და გაგვიქარწყლე დარდი!
ფეხზე დავუდგეთ ჩვენს გმირებს,
გუთანო, მუდამ ხნავდი,
გმირის სულები ცაშია,
ხსენება წლიდან წლამდი.
ბრძოლას მუდამ აქვს აზრი,
ღვინოს სულ ჯიხვით ვსვამდით,
არასდროს ვიყავთ ლაჩრები,
ღმერთო, აგვავსე კარგით!

სამშობლოსთვის, სწორდით!

სამშობლოსთვის დავენთები სანთლად,
მხოლოდ მისთვის ავენთები მზედ,
სიყვარულად ამოიფრქვა სითბო,
მუდამ ვიყოთ ქართველები მხნედ.
ჩემო გულო, ვერ გავიგე რა გჭირს,
ეს სიბნელე მომეჩვენა დღედ,
იმიტომ, რომ გული ასე ფიქრობს,

სითბოს ნერგი გადაიქცა ტყედ.

მე დათრობა მიწერია დღესაც,
გაუმარჯოს ქართველების ბედს!
თასით ხელში ჩემს სამშობლოს ვლოცავ,
გადაიქცეს უკვდავების ხედ!

მშობელ მხარეს ჩვენ დავუდგეთ ფარად,
სიყვარული დავაშენოთ ზედ,
არასოდეს არ გავივლოთ ცუდი,
და ავაფრენთ ჩვენ მშვიდობის მტრედს.

შემოვივლი სილამაზით ნაქებს,
კავკასიონს შევუდგები ქედს,
შენ, ქართველო, მოიშორე ბოღმა,
ლამაზ მხარეს გაუჭირდა დღეს.

შენი ცოდნით, მახვილით და მკლავით,
დაუდექი ვაჟკაც ქართველ ერს,
საქართველოს სანაქებო კუთხეს,
არ გავუცვლი, არ დავუთმობ სხვებს!

მხოლოდ შენთვის, ჩემო საფიცარო,
მხოლოდ შენთვის ავენთები მზედ,
სამშობლოსთვის, სწორდით, ჩვენო ძმებო!
ეს სიბნელე გავუთენოთ დღედ!

ვერ გაპატიებ

ვერ გაპატიებ, ვერ გაპატიებ,
ჩემი სამშობლოს მუხლზე დაცემას,
საქვეყნოდ მისთვის შეურაცხყოფას,
და ნაბიჭვრებად გამოცხადებას.

რუსეთი ყველგან, მთელ მსოფლიოში,
იჩემებს ჩვენი ერის მამობას,
ოკეან-გაღმა თავი გამოჰყვეს,
ის კი იჩემებს მამინაცვლობას.

ვეღარ გავიგეთ, ვისი შვილნი ვართ,
და ვის ვუტოვებთ შთამომავლობას,
ვინ გაგვაჩინა, ვინ მოგვცა რწმენა,

ვინ უპატრონა ამ ჩვენს ბავშვობას.

ასე თამამად რომ გვექცევიან,
ვინ მისცა ნება აფრის აშვებას?
საიდან გაჩნდნენ ეს ნაბიჭვრები,
მათ მუშტი შუბლში და არ გაშვება!

ჩვენი სამშობლოს მტერი მომრავლდა,
ძლევამოსილი ერი მარცხდება,
ერთად შევიკრათ, ჭკუას მოვუხმოთ,
და საქართველო კვლავ გადარჩება!

რწმენით განვლიოთ ბნელი, უკუნი,
სამების მადლი ზეცას გაჩნდება,
ქართველო ხალხო, უფალს შევთხოვოთ,
და ჩვენი რწმენა ჩვენვე დაგვრჩება!

ვერ გაპატიებ, ვერ გაპატიებ,
ქართველის მტერო, ქვეყნის გაცემას,
ღვთისმშობლის წილხვედრ, ნაკურთხი მხარის,
ჩვენი სამშობლოს მუხლზე დაცემას!

წიწამურთან ილიასაც ესროლეს

საქართველოს უკვდავებას ვუმღეროთ,
გაბრწყინებას მივულოცავთ მთელს ერს,
წიწამურთან საქართველოს ესროლეს,
მაგრამ მაშინ ქართველი ვერ მოჰკლეს.

ყველა ჯურის შეგვეყარა წყეული,
დღე დაადგა საქართველოს, ჩვენს მტერს!..
მოგვიმრავლდა მტაცებელი ნადირი,
მაგრამ ვერას დააკლებენ ჩვენს ძმებს.

როცა სასხლეტს, მაშინ მტერმა გამოჰკრა,
ცხელი ტყვია დაუმიზნა ქართველს,
მაშინ მარტო ილიას არ ესროლეს,
ის ტყვია ხომ მოახვედრეს მთელს ერს.

ეგონათ, რომ საბოლოოდ ჩააქრეს,
რომ ქართველი ვერ აანთებს სანთელს,
მაშინ ტყვია თოფის ლულას ვერ გასცდა,
რადგან მაშინ ილია ვერ მოჰკლეს!

უკვდავებამ დაივანა ქართველში,
მისი სული გაანათებს კვლავ დღეს,
მას მერე ხომ ასი წელი გავიდა,
და მტრის რისხვა კვლავ დაატყდა ჩვენს ერს.

დღეს ხომ სახე შეიცვალა ბოროტმა,
ქართლის გულში კვლავ ესროლეს ქართველს,
ჩვენი მხარე ერთიანი, ლამაზი,
კვლავ სამიზნედ გაუხდია ჩვენს მტერს.

საქართველოს უკვდავ გმირებს დიდება,
ვინც ალალად შეეწირა ჩვენს ერს,
წიწამურთან ილიასაც ესროლეს,
მაგრამ მაშინ ილია ვერ მოჰკლეს!

გაზაფხული

მაისია სილამაზის ნათება,
ვარდის კოკორს აებურცა მკერდი,
დილის ნამი მარგალიტად გაბრწყინდა,
ჩვენს მშვიდობას კვლავ გვიწონის ბედი.

მზის სხივები ხელით დააქვს გაზაფხულს,
მიმოფანტავს, გაგვინათდა ხედი,
სითბო ნაზად ჩაგვეღვარა სხეულში,
მოგვენატრა აფრენილი მტრედი.

ბაღში ვარდებს ასხლეტიათ ტანები,
იღიმიან, მოღერიათ ყელი,
საამოა ნაზი მათი სურნელი,
მენატრება კვლავ სიკეთე ჩვენი.

სიყვარულით გაჟღენთილა ჰაერი,
საქართველო მოგვენატრა მთელი,
ავუკვნესე ჩემს გიტარას სიმები,
ჩამოგორდა თვალზე ცრემლი ცხელი.

აღარ გვინდა, დაიტანჯა მამული,
აგვაცილე, მოგვაშორე მტერი,
გაზაფხულმა გაგვინათა სიცოცხლე,
გახალისდეს საქართველო ჩვენი.

დილით ყვავილს ისევ მივუალერსე,
მანაც თითქოს შემომხვია ხელი,
ამიყვანა, მომეფერა ლამაზად,
როგორც ბავშვი, დამიკოცნა ყელი.

მაისია გაზაფხულის ნათება,
ვარდსაც ნაზად აეკოკრა მკერდი,
მშვიდობას კი ველით, როგორც გაზაფხულს,
როგორც ცაზე მოფარფატე მტრედი.

ეს მერამდენედ

სუფრასთან ვზივარ ნაბახუსევი,
ხმალი მარტყია წელზე,
რამდენჯერ იყო, აღარა მახსოვს,
რომ გავიმარჯვეთ მტერზე.

ეს მერამდენედ მე დავილოცე,
რამდენჯერ აღვსდექ ფეხზე,
მერამდენეა ჩემი სიმღერა,
ქართულს ვასრულებ ცერზე.

ღვინო რამდენი მე გამომიყვეს,
რამდენი იყო ჩემზე,
რამდენჯერ შევსვი, არ დამითვლია,
კიდევ ამოდის ჯერ მზე.

თქვენ არ გეგონოთ, ღვინო მწყურია,
მე მივალ ჩემთვის გზაზე,
რამდენი დამრჩა დასალოცავი
ამ ტიალ ქვეყანაზე.

სხვა ქვეყნის გოჯიც არ მინდა,
სამშობლო მედგას ფეხზე,
მე ჩემს მიწა-წყალს მოვეფერები,
არასდროს გავცვლი სხვებზე!

ღვინით ავავსებ მე აზარფეშას,
წლები მაწვება მხრებზე...
რამდენჯერ შევსვი, მე აღარ მახსოვს,
რამდენი დარჩა ჩემზე...

რამ დაგაღონა, მოხევევ?!

მთის კალთაზე ხარ გაზრდილი
ყველა სიკეთის მოთავე,
ნეტავი რამ დაგაწუხა,
რამ ჩაგაფიქრა, მოხევევ?!

სისხლი რომ გიდუღს კაცური,
სიწმინდის მუდამ დამცველო,
გეალერსება მყინვარი,
საქართველოზე მლოცველო.

შენთვის ხარ მთაზე შამჯდარი,
გიბერავს სიო გრილიო,
მოკეთეები კარგა გყავს,
მაშინ რატომღა სტირიო?

გულში რა ჭია შაგიძვრა,
რადა ხარ მოწყენილიო?
ცხვარიც ხომ ბევრი დაგიდის,
შენა ხარ ჩვენი გმირიო.

ნუ დაღონდები მოხევევ,
და ნუ შეჭმუხნი შუბლსაო,
შენი სიმღერით, ლექსებით,
იმედი მიეც მთასაო.

გალაღდი, გამხიარულდი,
ჭირს ნუ შეაჭმევ თავსაო,
შენებრ ვაჟკაცი ქართველი
მუდამ უხდება მთასაო.
ჩვენც შენი გორისანი ვართ,
შენებრ ჩვენც ვფიქრობთ ხშირადა,
მზიან ამინდში ხანდახან
სხივიც კი მოდის წვიმადა.

მაგრამ წვიმაც ხომ კარგია,
გვაფხიზლებს მიძინებულებს,
რადგან საღათას ძილი ხომ
წესად აქვთ ჩვენში ქართველებს.

ერის სიმრთელე გაწუხებს,
გეტყობა გულისნადები,

იბრძოლე და გაიმარჯვებ,
შენ ისე არ დაბერდები.!

მთიდან წამოსულ სიწმინდეს
მუდამ აქვს ხიბლი სხვაგვარი,
ქართველთა ერთიანობას
სულ ხომ უმღერდა მთა-ბარი.

ნუღარ მოიწყენ მოხევევ,
მთას გამოსჭვივა ნათელი,
მაღლიდან ღმერთი გვფარავდეს,
უფალს დავუნთოთ სანთელი!

მთაში ავედი მოხევეებთან

ყაზბეგს ავედი მოხევეებთან,
თრუსოს ხეობაც გადამივლია,
მზეს ეგებება ელვარე თვალით,
კავკასიური მთის არწივია.
მხარბეჭგაშლილი ეს დიდებული,
რა საოცნებო სანახავია,
მრისხანე სახით ადგილს ამოწმებს,
მტერი ხომ არსად შემოპარვია.
მთა წარმომიდგა ზვიადი გულით,
ჭრელი ფარდაგი გადავლებია,
საჯიხვეებზე თვალს ვერ ააწვდენ,
ასვლის წყურვილი გადამდებია.
ამ საოცნებო ფრიალო კლდეზე,
ამაყად ჯიხვი გადმომდგარია,
მეც შევყურებდი ამ სილამაზეს,
სხვაგან არასდროს არ მდომებია.
რა ხელმა შექმნა, ასე მოქარგა,
ეს ჩვენი მთები და ველებია,
სიცოცხლის წყურვილს გაგიხალისებს,
გული ვერასდროს ვერ შეელია.
ხმა შემომესმა უეცრად კლდიდან,
ეს წინაპართა გულის ხმებია,
არ დასტოვებენ თავის საუფლოს,
ვაჟკაცთა სული, მათი ძვლებია.
ჩვენ გავიზარდეთ მათ ნაკვალევზე,
წინაპართ ძალა არ მოგვკლებია,
წინ მიგვიძღვიან, გზას გვინათებენ,
ეს ძალა ქვეყნის გადამრჩენია.
არ დაგვავიწყდეს ჩვენი წარსული,

ეს მუდამ ჩვენი დიდი ვალია,
გმირულად ვიყოთ, ღმერთი ვიწამოთ,
და გადარჩება ქართველთ ერია!
მთაში ავედი მოხევეებთან,
თრუსოს ხეობაც გადამივლია,
მე შევყურებდი ამ სილამაზეს,
სხვაგან არასდროს არ მდომებია!

აღსდექ ერო!

გევედრებით ღვთისმშობელო მარიამ,
მშვიდობა ჰქმენ, დაგვილოცე ქართველი,
დაგვიბრუნე სიამაყე ნამდვილი,
გაბედულად რომ წარმოვთქვათ სათქმელი!
ჩვენ შემოგთხოვთ მოაქციე ყველანი,
აზრები რომ არ გაუჩნდეთ მათ ჭრელი
და უყვარდეს ყველას ერთად სამშობლო,
ქვეყანა რომ მუდამ გვქონდეს ჩვენ მრთელი.
დღეს ხომ ჩვენში გაჭირვების ჟამი დგას,
უსამართლოდ ჩამოგვართვეს ტყე-ველი,
კიდევ ერთხელ შემოგვავლეს არშია,
პოლიტიკას არ გაუჩნდა მრჩეველი.
მოვა დრო და გადაიყრის შავ ღრუბელს,
გამოჩნდება მზის სხივები ნათელი,
უფლის ნებით ჭკუას ყველა მოუხმობს,
არასოდეს წაიქცევა ქართველი!
ორპირობის დღენი მალე გაივლის,
სიყვარულით ამღერდება ეს გული,
გაიშლება, გალაღდება სამშობლო,
ვერვინ შესძლებს საქმე გვიყოს ჩვენ მტრული.
ჩვენ ერთ მუშტად შევიკვრებით ყველანი,
ყველამ ერთად მოვიშოროთ სულელი,
არასოდეს წავეჩხუბოთ მოყვარეს,
ქრისტიანებს მოვუმრავლოთ ჩვენ მრევლი.
აღსდექ ერო, სიყვარულით ნაქარგო,
მოგვანიჭე სილამაზე განთქმული,
მოაბნიე შენი ჰანგის სინაზე,
მუდამ ჟღერდეს სიმღერები ქართული!

არ დაგნებდები!

ახალგაზრდობა ისე გაგვიქრა,
ვით წუხანდელი კარგი სიზმარი,
რომ დავაპირე სიზმრის დაწყება,
უკვე გათენდა დილის ცისმარი.

სიბერის სხივმა გამოანათა,
თითქოს გამითბა ძველი სხეული,
თვალწინ დამიდგა ჩემი ცხოვრება,
ჩემი სიზმარი ამ ღამეული.

ეს რა ყოფილა, ასეთი სწრაფი
და რა ხანმოკლე, რა უდღეური,
ხელში ჩამადნა, უცებ გამიქრა
ლამაზი ღამე, ეს მთვარეული.

და მაინც დილით მზეს ვეგებები,
სიცოცხლის წყაროს მე ვეწაფები,
წყურვილს მოვიკლავ ჩემი ოცნების
და გადამივლის გულზე დარდები.

წინაპრის სახელს არ დავივიწყებ,
ერთად უვლიათ მათაც ხომ ამ გზით
და მეც გადავცემ ჩემს ესტაფეტას,
განათებული გზა ჰქონდეთ მათ მზით.

მკლავი თუ არა, გული ხომ გვიჭრის?
მუხლი თუ არა, გონება მეფობს!
და მე ვაბარებ ჩემს ანგარიშებს,
ახალგაზრდები ვიყავით ერთ დროს.

მე არაფერზე არ ვიტყვი უარს,
სამშობლოს უჭირს და მეც იქა ვარ,
არც ერთი ბრძოლის არ მეშინია,
მუდამ დამცველთა რიგებში ვდგავარ!
გასხივოსნება მაშინ დაიწყო,
როდესაც, ვატყობ, უკვე ვბერდები,
მაგრამ ხომ იცი, ჩემო ცხოვრებავ,
ასე იოლად არ დაგნებდები!

სიმღერას ვიტყვი, ლექსსაც ამოვთქვამ,
ვიცეკვებ კიდეც, დავლევ ღვინოსაც,
ახალგაზრდობას წინ წარვუძღვები,

შევეგებები მზიან დილასაც.

ჩემი სიცოცხლე ღვთით ბოძებული
ისე იქნება, რაც გვეკადრება!
კაცურ გავივლი ჩემს წუთისოფელს,
გული, ხომ ვიცი, არ დაბერდება!

ამღერდება ხმა ქართული

კიდევ ერთხელ დაიკვნესა საქართველომ
და ბრძანება ისევ გასცა მტერმა მტრული,
კიდევ ერთხელ შეიძინა ქართვლის დედამ
სიამაყე, ტკივილი და სინანული.
    გმირის სული უნებურად ზეცას ასწვდა,
    კიდევ მწარედ აქვითინდა დედის გული,
    მტრედისფერი სისხლისფერად შეგვეცვალა,
    აკვნესდა და ჩაიფერფლა სიყვარული.
ჩამოჩეხეს და წაგვართვეს ჩვენ სამხრეთი,
ისევ გაჩნდა ჩვენს გულებში სიბრალული,
აფხაზეთშიც მტერი ისევ მყარადა დგას,
ტკივილებმა შეგვიცვალა სიხარული.
    ასე არის, ასე იყო და იქნება,
    მუდამ გვყავდა, გვეყოლება ისევ გმირი,
    ეს ქვეყანა არასოდეს დაიჩოქებს,
    ამაყი ვარ, ამიტომაც არა ვსტირი.
ქედუხრელი, ორ ზღვას შუა საქართველო,
ბევრჯერ დაჭრეს და ანატრეს მას სიკვდილი,
ვით ფენიქსი მკვდრეთით აღსდგა ისევ ისე,
არასოდეს გაჩერდება მისი გული.
    სიამაყე არასდროს არ მიგვატოვებს,
    არასოდეს მიგვატოვებს გმირის სული,
    ქართლის დედა, მახვილით და თასით ხელში,
    კვლავ დაიცავს, ლამაზ მხარეს სიყვარულით.
კიდევ ერთხელ დაიკვნესა საქართველომ,
ისევ ისე ჩვენ მოგვიწყვეს საქმე მტრული,
უფლის კალთით საქართველო გადარჩება,
ამღერდება ისევ ისე ხმა ქართული!

ყოჩივარდები დავკრიფე

ყოჩივარდები დავკრიფე,
ია დავიკარ მკერდთანა,
ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი,
გვერდით დავდექი ერთანა.
უცხო გამოჩნდა, ვიბრძოლე,
უკან არ ვიხევ მტერთანა,
სამშობლოს ასე დასჭირდა,
ასე იციან ჩვენთანა.

მთა-ჭიუხებში დავქროდი,
შეჯიბრი მქონდა ქართანა,
ბავშვობა ლაღად ვიცხოვრე,
არ გავცნობილვარ ჟამთანა.
სამშობლო რომ შევიგრძენი,
თავის შვილადაც ჩამთვალა,
ომი მელოდა, ალბათ, მე,
დროებამ, ალბათ, გათვალა.
მე გულადობა საგზლად მაქვს,
მიტომ მადარეს გმირთანა,
გაყოფა არ მითხოვია,
არსად და არავისთანა.
არ შემხვედრია არასდროს,
მდინარე არაგვისთანა,
არაგველებო, გამოდით,
ნაშობნო ქართველისგანა!

გამოდით, მხარში დაგიდგეთ,
ან თვითონ მოვალ თქვენთანა,
მხოლოდ კი გული გულობდეს,
სუფრას გაგიშლით ჩემთანა.
ბედმა კი სხვაგვარ ინება,
მე წამოვედი თქვენთანა,
გმირის სახელი კი დარჩა,
არ შევრცხვენილვართ ერთანა.

ყოჩივარდები გაშალეს,
ია დამაკრეს მკერდთანა,
სამშობლოვ, შენი შვილი ვარ,
ერთი მებრძოლი მტერთანა!

დღეს საქართველოს გასჭირვებია

რატომ ჩადუმდა ჩვენი ქვეყანა?

რა სიბნელე და რა ნისლებია...
და სად არიან არაგველები,
ალბათ, ერთობით ძილს მისცემიან.

გამოიღვიძეთ, ადექით ფეხზე,
ვიცით, რომ მხოლოდ ეს ფიქრებია,
თქვენი მარჯვენა, ძალა კაცური,
დღეს საქართველოს დასჭირვებია!
სადა ხართ, ჩვენო ლომო მეფენო,
დრო ჩვენი თქვენსას დასცილებია,
ერთ-ერთი მაინც ადექით ფეხზე,
დღეს საქართველოს გასჭირვებია!

გულის წუხილი სულისას გასცდა,
იმედი ქართველს გასცილებია,
მსტოვრები ბევრი შემოგვასიეს,
ყველგან უცხოთა მაცილებია.

ხმა ამოიღე, ქართულო ჯიშო,
ყველა არაკაცს თავს ევლებიან!
უცხო ქვეყნებში რაღაც ისწავლეს,
შემოგვსევიან, როგორც მტრებია.

თითქოსდა ყველას სიკეთე უნდა,
ყველას თავისი მონდომებია,
თავისთვის ყვირის, არავის უსმენს,
თქვენ კი სადღაცა დაგძინებიათ.

არაგველებო, სადა ხართ ახლა?
დიდი მეფენიც ძილს მისცემიან,
როგორ გვჭირდება თქვენი გმირობა,
ეჰ, როგორ ძლიერ გაგვჭირვებია!

სვეტიცხოველში მირონს ხარშავენ

გამოიბრწყინებს ქართლის დიდება,
იერუსალიმს დალოცეს ერი,
სვეტიცხოველში სანთელი დნება,
სიონში ხატთან ლოცულობს ბერი.
მამადავითმა შესთხოვა უფალს,
გადაარჩინოს ყველა ქართველი,
სამების ტაძარს სხივი დაეცა,
და საქართველო გაბრწყინდა მთელი.
აქ უწმინდესის ჩურჩული ისმის,

ლოცულობს წყნარად, უდიდეს რწმენით,
ჩვენი ერისთვის ცრემლშეუშრობელს,
დიდება მარად, დიდება შენი!
ბოროტის სული მუდამ იქნება,
არასდროს უფრთხის მორწმუნე ერი,
ლოცვა-დიდება კვლავ გადაგვარჩენს,
სათავეში გვყავს დიდი ქართველი.
ჩვენ მუხლმოდრეკით ვეახლოთ ხატთან,
ყოველთვის უფალს ენთოს სანთელი,
იცოდეთ, ვერვინ ვერსად წაგვლეკოს,
წინაპართ ჰქონდეთ ხსოვნის ნათელი.
დიდება უფლის ერთმორწმუნე ერს,
ვერასდროს გვნახავს მტერი გათელილს,
პასუხს მოველით ჩვენ საქციელში,
როდესაც ღმერთთან ჩვენ წინ წარვსდგებით.
ნურავის ბოდვას ყურს ნუ დავუგდებთ,
მართლმადიდებლის გვენთოს სანთლები,
სვეტიცხოველში მირონს ხარშავენ,
მირონს, რომელსაც იცხებს ქართველი!

დაიბადება ისევ ბოკვერნი

დაიჩეკება ისევ მართვენი,
დედა გაუხსნის ფრთას,
დაიბადება ისევ ბოკვერნი,
ძუ ანაცვალებს თავს.

კვლავ გამოჩნდება მთაში ბილიკი,
მგოსანი ხედავს ყვავს,
როგორ დასჩხავის შავბედიანი,
როცა ის არწივს ჰკლავს.
კვლავ მერის სახე შემოგვანათებს,
ლექსს მიუძღვნიან ასს,
გალაკტიონი კვლავ წამოდგება,
ლექსად ჩამოცლის თასს.

შეიკრიბება კვლავ საქართველო,
ყვავი არწივს ვერ ჰკლავს,
ლექსების მეფე ირმებს მოუხმობს,
თვითონ მიართმევს წყალს.

საქართველოში სულ მედგრად იდგნენ,
ბევრი გმირები გვყავს,
ამ გაჭირვებას კვლავ გაუძლებენ,

კვლავ აიღებენ ხმალს.

მედგარი სული არ დაკნინდება,
სახნისს მოვარგებ ხარს,
მოვხნავ, მოვთესავ და გავიხარებ,
უფალს მივაწვდენ ხმას.

დაისადგურებს ჩვენში სიკეთე,
ირემი ლაღობს მთას,
ვერ გაიხარებს ბოროტი ყვავი,
არწივი მოჰკლავს მას.

კვლავ ასრულდება ჩვენი ოცნება,
არვის დავუხრით თავს,
შენ შემოგევლე, ჩემო ქვეყანავ,
ძმა ეხუტება ძმას!

დაიბადება ისევ ბოკვერნი,
ღრიალით გვაწვდენს ხმას,
ქართველის გული კვლავ აინთება,
უფლის წყალობის გვწამს!

უჩვეულო სტუმრობა

გუშინ დილით ადრიანად ავდექ
და ჩუმი ხმა გავიგონე კარზე,
გამოვხედე, დავინახე მთვარე,
მე ვიცანი ანგელოზი ხმაზე.

უკან მოჰყვა ბადრი მთვარეც წყნარად,
და მან ფეხი რომ გადმოდგა ზღურბლზე,
მივეახლე, მოვიკითხე ნაზად,
შემოვიდა და ჩამოჯდა სკამზე.

ანგელოზო, დაგვიფარე ყველა,
ჩვენ შემოგთხოვთ, გევედრებით ძალზე.
მთვარე წყნარად იღიმოდა გვერდით,
კვლავ კაკუნი გავიგონე კარზე.

დილის ნამი ჩამოსულა ზეცით
და სიმღერა მე წამომცდა მზეზე,
შევხედე და ის მზე იდგა თვითონ,
ეს სიკეთის დამფრქვეველი ჩვენზე.

ჩემთან იყვნენ, დიახ, ჩემთან იყვნენ,
ვსაუბრობდით საქართველოს ბედზე,
ანგელოზი მოაცილეს წყნარად,
კაცი თურმე ბოროტია მგელზე.

მომიყვნენ და ამიხილეს თვალი,
მე ანგელოზს ვეამბორე ხელზე,
რომ გავიგე რატომ ვცოცხლობთ თურმე,
დიდად გული აღარ მწყდება მტერზე.

ჩვენი თავის მტრები თურმე ჩვენ ვართ,
ბრაზი მოგვდის ისე მაინც სხვაზე,
მზე და მთვარე ჩემთან იყო სტუმრად,
ანგელოზმა მიკაკუნა კარზე.

დიდება სამშობლოს!

მამულისათვის დაეცა ათასი,
ელავს სახელები, როგორც ალმასი,
ყველაზე ძვირფასი თავი გასწირეს,
უკვდავება კი გაინაწილეს.

მათზე ლოცულობს მცხეთა, არმაზი,
მათ უკვდავება ერგოთ ლამაზი,
სამშობლოს სახელი მაღლა ასწიეს,
მტრის მრისხანება მკერდით გასწიეს.

არაგვს დაეცა მებრძოლი სამასი,
მას მერე მიჰყვა სამასჯერ სამასი,
ხმალი მტერს დაასვეს, ჩავიდა ტარამდის,
დიდებით მივიდნენ სამოთხის კარამდის.

ხმა ისმის ძლიერი, თოფის გავარდნის,
ხმა ისმის ყველგან ბოროტის დავარდნის,
ჩვენი საქართველო არასდროს შედრკება,
ჩვენ ისევ მივალთ, მივალთ ხვალამდის.

ვივლით დიდი გზით, ხვალიდან ხვალამდის,
საზღვრებსაც გავსწევთ იქიდან აქამდის,
არ დავუჯერებთ ბოროტს არავის,
დიდება სამშობლოს, დიდება მარადის!

გამოანათე შემოგთხოვ, მზეო!

გააღეთ კარი, აანთეთ შუქი,
გამოანათე შემოგთხოვ, მზეო!
და გულმოკლული ქართველის გულში
ისევ აღზევდი, განათდი დღეო!
ჩვენ ერთი მუჭა დავბადებულვართ,
გულს, მწუხარებავ, არ დააჩნდეო,
რა მეშველება, ჩემო სამშობლო,
ასე კარგი რომ არ გამაჩნდეო!

გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს ყველა,
იმედი გულში ისევ დარჩაო,
მხარში დაჭრილი ჩვენი ქვეყანა,
უფლის წყალობით კვლავ გადარჩაო.

რამდენჯერ დაგვჭრეს, ვეღარ მოვითვლით,
ხმალი წყალს დავკარ, არ დააჩნდაო,
წყლის ძალა ყველას ღმერთმა მოგმადლოთ,
სიმართლე მუდამ ჩვენთან გაჩნდაო!

ღვთისმშობლის წილხვედრ მხარეს ებრძვიან,
არაკაცობა საზღვრებს გასცდაო,
ვერ დაგვიპყრობენ გმირთა სავანეს,
მტრის ტყვია ყველა მიზანს ასცდაო!

ჩვენი ერთობა

ერთიანი საქართველო სიმბოლოა ჩვენი,
ეს სამოთხის სილამაზე, ჩვენი მთა და ველი,
სიყვარულის გაბრწყინებით ჩვენ სიკეთეს ველით,
ღმერთო, ისევ ერთად შეჰკარ, საქართველო მთელი!

ასე ლაღად გაჩენილებს, არ გვასვენებს მტერი
და მრავალი საუკუნე შეგვიწუხეს ერი,
უფლის ნება ძლიერია, კვლავ ლოცულობს მრევლი,
არ დაუშვებს ჩვენს დაცემას, მლოცველია ბევრი.

საქართველოს ძლიერ სხეულს, გაუწყვიტეს წელი,
გამოკორტნეს ღვიძლი, გული, დაეხვია გველი,
ყველგან უკვე ჩვენ დაგვატყვეს მტრის მსახვრალი ხელი,
ჭრილობიდან სისხლი მოსჩქეფს, ღმერთო, თუ გვიშველი!

ხმაც აღარ გვაქვს, რომ ვიყვიროთ, აგვატკივეს ყელი,

დაგვსერეს და ჩაგვადუმეს, დაგვიშინეს ხმლები,
სადაც მოგვწვდნენ, მახვილი გვცეს, ჩამოგვაჭრეს მხრები,
მაგრამ მაინც ფეხზე დგება, საქართველო ჩვენი.

სიკეთის და სიყვარულის წამალი გვაქვს ბევრი,
საქართველო გადარჩება, გადარჩება ერი,
ჭრილობებიც მოშუშდება, დაემხობა მტერი,
ჩვენი შველა მხოლოდ ერის ერთობაა ჩვენი!

ჩვენი გვარია კავკასიელი

შავჩოხიანი ერთი კაცი ვარ,
არც ევროპელი, არც აზიელი,
არც ჩინელი ვარ და არცა ვინმე,
მაგრამ არცა ვარ გადამთიელი.
    გაგიკვირდებათ, როგორ ვარსებობ,
    მაინც ცხოვრების მე მადლიერი,
    ჩემი ლამაზი ერის მეკვლე ვარ,
    გაჭირვებაშიც კი ბედნიერი.
ჩემი ჯიში და ჯილაგი მიყვარს _
აქეთ ვაკელი, იქით – მთიელი,
ასე ვცხოვრობ და ასე ვიქნები,
ჩვენი მოდგმით ვარ მუდამ ძლიერი.
    მიყვარს ქეიფი და კენჭაობა,
    საკლავს შევწირავ, არ ვარ მშიერი,
    ჩემი ტაიჭით წინ გავიჭრები,
    ახალგაზრდა ვარ, თუგინდ ხნიერი.
ომშიაც ვიბრძვი დაუზოგავად,
განსხვავებული მე მაქვს იერი,
სიყვარულშიაც არ გვყავს ბადალი,
ჩემი გვარია კავკასიელი!

ჩემო სამშობლო

    სევდამორეულს, ფიქრებგაფანტულს,
    გადავიწყებულს, ჭკუაარეულს,
    უცხო მიწაზე მობოდიალეს,
    გრძნობა გამიქრა არაყდალეულს.

    ცხოვრებამ, ალბათ, ეს მომისაჯა,
    და ჩემი კვალი გაჰყვა კვალეულს,
    გადავიკარგე მე სხვა მხარეში,

ვერ დავემსგავსე მაინც გარეულს.

ერთიც დამისხით, გაფიცებთ დედას,
და დამიძახეთ ჩემთან მზარეულს,
ქართულად მინდა სუფრა გავაწყო,
ლექსიც ვაყოლო, ჩემს დროს გალეულს.

მაცალეთ სიტყვა, დამესხა რეტი,
რა დამავიწყებს ამ ჩემს გვარეულს.
ძალიან მძიმე რამე ყოფილა,
ბედი მიყურებს, როგორც მთვარეულს,

მე ნოსტალგიამ ხეზე დამკიდა,
ტვინი ამართვა მე, თერგდალეულს,
მხოლოდ სამშობლოს მოვეფერები,
ჩემს საქართველოს, ჩემს გადარეულს!

გულით ვილოცოთ

მცხეთას ჩამოდგა ჯარი ვახტანგის,
მეფე დავითმა შეჰყარა ხალხი,
დიდუბეს მოსჩანს დროშა თამარის,
კახეთს ამზადებს პატარა კახი.

სულ ერთი მუჭა საქართველოა,
ხშირად ჩაუცვამს მას გლოვის თალხი,
მაგრამ ქართველი რის ქართველია,
თუ არ მიაგო მომხვდურებს ფახი.

ქართული ხმალი არ დაჟანგდება,
არც მოისვენებს არასდროს შაჰი,
ქართული მიწის სურნელება სურთ,
გადაუარონ მას ერთი ნახვით.

მაგრამ სურვილი ვერ აისრულეს,
ყველას გაუხმა მარჯვენა მსახვრის.
ქართველი კვლავაც ხმალშემართული,
გამოვარდება კიდეზე სახლის.

წიგნი გამოაქვს ჭყონდიდელს ლოცვის,
წმინდანი გვლოცავს ილიას სახის,
გმირთა სულები ზეცას ზეიმობს,
გაბრწყინება სჩანს ქართველი ხალხის.

ერთად შევიკრათ, გულით ვილოცოთ,
ქორწილი გვქონდეს, სიკეთე მაყრის,
გამთლიანების გრძნობამ შეგვიპყრო,
სურვილი არ გვაქვს ომის და ჯანყის.
ისევ ერთად დგას მცხეთა, გელათი
და გული გვიპყრობს პატარა კახის,
ისევ დაგვიცავს ვახტანგ, დავითი,
ყიჟინა ისმის თამარის ხალხის!

ოცნებას ვყიდი

მე საქართველოს მომავალს ვხედავ,
დაველოდები ნათებას ცისკრის,
ის გაბრწყინდება, უფალი იცავს,
უბელოდ ფიქრი ისედაც მიჰქრის.
ჩვენი წესები, ქართული სუფრა,
ქორწილი მხოლოდ გოგოს და ბიჭის,
რაც დღეს ჩაგვესმის, ამაზრზენია,
გაბრწყინებაა უცხოთა ნიჭის.
დაიჯერეო, ისევ გვმოძღვრავენ,
ნაბოდვარს ვუსმენ, ძალიან მიჭირს,
ჭკუა და გონი ვერ შეათავსეს,
კვლავ შეეყარათ ცხელება ჭინჭრის.
ხალხის ოცნება ისევ ახდება,
ცუდი გაქრება, სიგლახე მიდის,
ჩვენი ზრდილობა ჩვენთან იქნება
და მორიდება ასაკით დიდის.
ირმების ჯოგი გამოიშლება,
ჩვენი ცხოვრება გახდება მშვიდი
ბოროტი სული თვითონ წახდება,
არ დასჭირდება ჯოჯოხეთს გიდი.
მე საქართველოს მომავალს ვხედავ,
ყველა ოცნებას უფასოდ ვყიდი,
იმედი ღმერთმა ნუ მოგიშალოთ,
სურვილები მაქვს ძალიან დიდი!

კვლავ ჩამოჰკარით

მე ავიტაცე ბრძოლის სადავე,
ერთად დავამხეთ მომხვდური მტერი,
გადავარჩინეთ კიდით კიდემდე,

დღეს გამარჯვებას დავითი მღერის.

მე ავიტაცე ქართული დროშა
და მე შევყარე ჯარები ჩვენი,
ღმერთო, დალოცე ჩვენი ქვეყანა,
დღეს გამარჯვებას თამარი მღერის!

სამშობლოსათვის თავი გავწირე,
სიცოცხლე გავეც, გამოჩნდა ბნელი,
მტერს ჩემი თავი თვითონ მივართვი,
დემეტრესათვის ამღერდა ერი.

გმირების სული დღესაც მოგვყვება,
გადავიტანეთ ბრძოლები ბევრი,
უკან დახევა არა გვჩვევია,
საქართველოსთვის სიკეთეს ველით.

ფანდურის სიმებს კვლავ ჩამოჰკარით,
მშვიდობას ვიცავთ ერი თუ ბერი,
ჩვენო ლამაზო, ტურფა ქვეყანავ,
მხოლოდ და მხოლოდ მე შენთვის ვმღერი!

დიდი ხანია

დიდი ხანია ხმალი ქარქაშში არ ჩაგებულა,
გულამოხეთქილ ქართველთ ბრძოლა არ წაგებულა,
თუნდაც მოეკლათ, არასოდეს დამარცხებულა,
მხოლოდ ღალატით, ჩვენი მტერი, წამიერად ამაღლებულა.
მხოლოდ გამცემით საქართველო გამწარებულა,
მებრძოლი სული უფლის ლოცვით გამაგრებულა,
ცბიერთან ბრძოლით სიბოროტე ქარწაღებულა,
ბოლოს რჩებოდა ჩვენი სიმართლე, არ წაღებულა.
ერთი მოუკლავთ, ხმალი ძისათვის გადაცემულა,
მტრისათვის ისევ უქარქაშოდ ის ჩაცემულა,
დაჭრილი ერი წამომდგარა, არ დაცემულა,
მომხვდური კვლავაც შერცხვენილა და გაქცეულა.
ღვინო და პური შეუნახავს, არ დამშეულა,
თავს უფლის კალთა ღვთის შეწევნით დაფარებულა,
ღვთისმშობლის წილხვედრ და სამშობლოდ გადაქცეულა,
ქართველი მუდამ წინ მიიწევს თავმიცემულად.
მტრისგან არასდროს ჩვენთვის შვება არ მოცემულა,
დიდსულოვნებით, ჩვენი სიმტკიცით განრისხებულა,
ბრძოლის წინ პირჯვარს გარდისახავს, წინ წაწეულა,
სამშობლოს იცავს, სულიერად არ დაცემულა!

გმირთა სულები ზეციერად ამაღლებულა,
ქრისტეს მცნებანი ქართველთ გულში გამაგრებულა,
ილიას ლოცვით უფლის ტაძრები კვლავ აგებულა,
დიდი ხანია ხმალი ქარქაშში არ ჩაგებულა!

გთხოვ, მომაფერო მიწას!

ლურჯ ცას შევყურებ წყნარად,
ვარსკვლავი მოსწყდა ზეცას,
მე გავიფიქრე ისევ,
ალბათ, კვლავ ვნახავ რიწას.

გულში სიგრილე ვიგრძენ,
მოვნატრებივარ ლურჯ ტბას.
საამო სიო მოდის,
ისევ ვიხსენებ ჩემს ზღვას.

ყოველდღე შევთხოვ უფალს,
მუდამ შევყურებ მე ცას,
როცა ვარსკვლავი სწყდება,
თხოვნით მივმართავ ზეცას.

რატომ დაგვსაჯე, ღმერთო,
ეს რა გადაგვხდა ჩვენ თავს,
ვის დავუშავეთ, ან რა...
ოცნება ისევ შორს ჩანს.

იმედო ჩემი გრძნობის,
მოგაწვდენ, ალბათ, მე ხმას,
გულის ოცნებით შეგთხოვ,
ისე ნუ მისჯი წასვლას.

სილურჯე შენ რომ გიყვარს
მაგ ფერებია რიწას,
მაგ ფერებია გაგრას,
და მე ეგ ფერი მიცავს.

ლურჯ ცას შევყურებ ისევ,
საამოს, ნაზს და ცინცხალს,
გთხოვ, მომაფერე ღმერთო,
მე აფხაზეთის მიწას!

მე დავბრუნდები

შენ დაბრუნდები – მომესმა ზეცით,
ძალუმ ავხედე ზეციერ მამას,
შენ დაბრუნდები, გმირო ქართველო,
არ დაგიკარგავ, ვაჟკაცო, ამაგს!

მე დავბრუნდები _ ცრემლი წამომცდა,
ჯვარს გარდვისახავ და ვიტყვი ამას _
მე დავბრუნდები, გული ამომდის –
კვლავ ვეღირსები სოხუმის ნახვას.

სად არის ჩემი ბავშვობის მხარე?
სად არის ჩემი ნაცნობი ტალღა?
სად არის ჩემი ეზოს კარები?
სადაც ვიცელქე პატარა ბალღმა?

სად დაიკარგა ჩემი სამყარო?
მე აფხაზეთში გამზარდა ბაღმა,
სად დაიკარგა ჩემი გამზრდელი,
გული გამიპო მე უკვე დარდმა.

კვლავ დავბრუნდები, ჩუმად ვლოცულობ,
სიზმრად მეძახის მე მეცხრე ტალღა.
ჩუმად მეძახის დიოსკურია,
დიდი ხანია დამღალა თალხმა.

მინდა, რომ მკლავი ისევ გავშალო,
ისევ მიმიხმოს აფხაზმა ხალხმა,
მე ჩემს მიწაზე ჯვარი დავიდგა,
იქნებ ყინული იქ უკვე გალღვა.

შენ დაბრუნდები – ისევ ჩამძახის,
ისევ გაივლის ის ხნული აღმა,
მე დავბრუნდები, დედას ვფიცავარ!
და ისევ გავალ ენგურის გაღმა!

ჩემი გული იქ დავტოვე

დილით ავდექ ადრიანად,
მივაშურე ნაპირს ზღვისა,
მივეახლე და ვაკოცე,
ჩემი მინდა, არა სხვისა.

ჩემი მინდა აფხაზეთის,

მინდა დავჯდე იქ ნაპირსა,
მოვეფერო სოხუმის ტყეს,
ჩავეხუტო ჩემს მხარესა.

ჩემი გული იქ დავტოვე,
ის იქ დარჩა ზღვისა პირსა,
ნახვა მინდა ჩემი გულის,
ვის მივმართო, ხალხნო, ვისა?

ოცნებები ასე მოდის,
მერე მიდის, ვითა ტალღა,
მე ფიქრებით სოხუმში ვარ,
ზღვის ნაპირზე მივალ ახლა...

და უეცრად ჩემთან ახლოს
თოლიების ჯგუფი დაჯდა,
შევიცანი მათგან ერთი,
ლტოლვილია, ალბათ, ჩანდა.

ჟღურტულებდა გულამოსკვნით,
რაღაც წრეებს ის ხაზავდა,
თითქოს ჩემთან საუბრობდა,
მის ხმას ცოტა სევდა ახლდა.

მეც მინდოდა რაღაც მეთქვა,
სიტყვა ბაგეთ არ გაფრინდა,
გულში ჩაკვრა მოვინდომე,
ის კი უცებ გამიფრინდა.
_ არ დამტოვო, ჩემო კარგო,
ცრემლი თვალზე უხვად წვიმდა,
გევედრები, დამეხმარე,
ჩემი გულის ნახვა მინდა.

_ იქ დავტოვე, ზღვის ნაპირზე,
ან ტყეშია, ან სახლშია,
ყველგან არის, აფხაზეთში,
მე არ ვიცი, რა დღეშია.

და უეცრად ის აიჭრა,
სოხუმისკენ გადაფრინდა,
ჩემი გული მომიძებნოს,
არაფერი სხვა არ მინდა.

მომავლის იმედით

ზღვა ისე წყნარად გეალერსება,
ცაც გადიწმინდა, ლურჯია ზეცაც,
ვეამბორები ჩემს ლამაზ მხარეს,
ბედნიერნი ვართ შენცა და მეცა.
მე აფხაზეთის სანახებს ვეტრფი,
ოქროს ნაპირს თუ ბიჭვინთის ხედსა,
ეს სილამაზით ნატიფი მხარე,
არ უნახია, ალბათ, რომ ბევრსა.
ჩემი ბავშვობის ლამაზი წლები
ზღვის ნაპირებთან მიოცნებია,
მაშინ ტალღებზე დავსრიალებდი,
როგორც ფარფატა თეთრი თოლია.
ეს სილამაზე ისე გაფრინდა,
როგორც ბავშვობის ლაღი წლებია,
მოძმეთ ღალატით მხარე დავკარგეთ,
მხოლოდღა გულში შემოგვრჩენია.
შემოგვრჩენია, გულით ვინახავთ,
ჩვენი ლამაზი დიოსკურია,
უკიდეგანო ზღვის სანახები,
მე მისი ნახვა მუდამ მწყურია.
სადა ხართ ახლა, აფხაზთ ვაჟკაცნო,
საქართველოზე გატკენდნენ გულსა,
სად არის თარაშ ან სხვა გმირები,
შერვაშიძეთა გვარის მოდგმისა.
ჩვენ მოვირგებდით ლამაზად ჩოხებს,
შემოვირტყამდით ვერცხლის ქამრებსა,
აფხაზეთს კაცურ ვესტუმრებოდით,
ძმობით დავცლიდით ღვინის თასებსა.
მაგრამ ჩვენს შორის დიდი დათვია,
დათვი, რომელიც მუდამ ღრიალებს,
აქ ჩვენი ძმობის ახლა სანაცვლოდ,
არაკაცების დოღი ტრიალებს.
და თუ შემოგვრჩა გონიერება,
ჩვენს შორის ძმობა ისევ აღდგება,
ქართველთ-აფხაზთა საკეთილდღეოდ
შერიგების დროც მალე დადგება!

ისევ დაგიცდი

რატომ დაგარქვეს შენ აფხაზეთი,
ცრემლი მადინე, გული დამიწვი,
მანდ დავიბადე, თვითონ გამზარდე,
მე კი დაგტოვე, თალხი ჩავიცვი.

არ მეყო ძალა, მოგფერებოდი,
ვერა გავიგე, არარა ვიცი,
მე უპატრონოდ დავბორიალობ,
ჭკუა დავკარგე, მეხი დავიცი.
ვეღარ შევძელი დაგხმარებოდი,
ცეცხლი გეკიდა, სულ გადაიწვი,
მაგრამ, იცოდე, არსად დაგკარგავ,
კვლავ გელოდები, ისევ დავიცდი!

ჩემო ლამაზო, ხელით ნაქარგო,
შენ, ჩემო გულო, ხომ არ გამიცვდი?
არ ვიცი, ასე რად შემიყვარდი,
როგორც მშობელი, ისე განვიცდი.

ალბათ, ისევე ისე ლამაზობ,
კვლავ გეფერები, ხელო წამიცდი,
როგორც ლამაზ ქალს ბოტანიკურში,
ჩამოვჯდები და ისევ დაგიცდი.

საქართველოვ, მე ვარ შენი!

ფიქრში ისე ვიძირები,
შენგრეული, ვითარც გემი,
ამ ცხოვრების ტალღა მახრჩობს,
დამავიწყდა თავი ჩემი.

ოკეანის ფსკერზე ვწევარ,
რა ცხოვრება მქონდა ძველი,
ისე ლაღად დავცურავდი,
ვითარც ღელვა, ტალღის მქმნელი.

შეიცვალა ყველაფერი,
შეიცვალა ყველა ერი,
ეს ასაკიც ჩუმად მიტევს,
თავად გავხდი ჩემი მტერი.

ველარ ჩავწვდი ცხოვრების არსს,
სად წავიდე ან რას ველი?
ჩამიფრინდა სულში ჯოჯო,
დამეხვია ტანზე გველი.

ფიქრის გორა დაიშალა,
და ოცნება წახდა ჩემი,
დაჭრილ ირემს წყალი უნდა,
თვით დაჭრილი ველარ ვშველი.

მაგრამ მაინც ოკეანემ
არ ინდომა ტანი ჩემი,
ღრმად ჰაერი ჩავისუნთქე,
ისე გავხდი, ვითარც მგელი.

ფსკერზე არსად არ დავრჩები,
მებრძოლი ვარ, მუდამ მცველი.
წამოვდგები ისევ ისე,
საქართველოვ, მე ვარ შენი!

გამიშვით მძინავს

შავ ზღვას გავხედე და გამეხარდა,
დიოსკურიის ლაჟვარდებს ვხედავ,
სიხარულისგან ბრწყინავს თვალები
და ოცნებებში უფრო მეტს ვბედავ.

ეს რა ლამაზი დილა გათენდა,
ჩოხა მოვირგე და «ცარსკებს» ვწმენდავ,
მე კვლავ ველირსე ჩემს ძირძველ მიწას,
ვლოცავ სამშობლოს, ყველაზე წმინდას.
აქ თოლიებსაც ყველას ვცნობ უკვე,
და ვეფერები ისევ ჩემს მიწას,
მე მეცხრე ტალღაც ვიცანი ჩემი,
სიყვარულია, ყველგან რომ მიცავს.

მიმოზაც ჰყვავის ნარნარად სუნთქავს,
მე ვეფერები გაგრას და რიწას,
მე ვეფერები სოხუმს, დედოფალს,
ბოროტისგან კი ვერავინ მიცავს.

ასე სილაღით რომ გავიხარე,
გამომეღვიძე მე უცებ დილას,
თურმე სიზმარი ყოფილა კარგი,

ყველა ოცნება დამიდგა ყირას.

სიფხიზლეს ისევ ძილმა აჯობა,
ფიქრი გამითბა, აღარცა ყინავს.
თუ არ მეღირსა სოხუმის ნახვა,
ნუღარ მაღვიძებთ, გამიშვით, მძინავს!

დედის ცრემლების იაო

დედის ცრემლების წვეთებზე,
ამოსულიყო იაო,
ლამაზად, ლურჯად აყვავდა,
თავი კი დაუხრიაო.

ის სიძლიერე, რაც მას აქვს,
ვერავის გაუგიაო,
სიცოცხლეს მუდამ დედისგან,
ღრმა ფესვი გაუდგიაო.

დედის სიჯიქე შვილებზე,
ბუნებას დაუცვიაო
და შეუცნობი ძალებით
ერთმანეთს გადაბმიაო.

სუსტი და ძალმილეულიც,
ასე რამ გადარიაო,
ვერ შეაშინებ, თუნდ თვალწინ,
ხანჯალი დაუტრიალო.

დედაშვილობის სიწმინდე
ვერავის გაუყვიაო,
ნაზი სურნელით დაგვიცავს
დედის ცრემლების იაო.

პირველი სიყვარული

ასი წელი შემისრულდა უკვე,
ასი ვარდი დამაკარით გულზე,
მე მხცოვანი, ბებერი ვარ, მაგრამ
მოგიყვებით ამ ერთ სიყვარულზე.
ის პირველად მე მეწვია მაშინ,
ბაღში როცა მივდიოდი გზაზე,

როცა დავეც, ამიყვანეს ხელში,
და დედიკო მომეფერა ძალზე.
        მაშინ ვიგრძენ მე პირველი სითბო,
        ვიღაც ჩემთვის ფიქრობს ქვეყანაზე,
        არ ვიცოდი არაფერი, არა,
        დედა როგორ ზრუნავს თურმე შვილზე.
ის პირველი კოცნა თბილი გრძნობის,
ის ალალი ცრემლი დედურ თვალზე,
მე მომყვება, არ დამტოვა მარტო,
და ამ გრძნობამ ამიყვანა ასზე.
        ყველგან ვხედავ ახლა მე ჩემს დედას,
        ის შემოდის, ჩამომიჯდა გვერდზე,
        მზრუნველობით მე მიმღერა ნანა,
        ნაზი ხელი გადამისვა თავზე.
ის თვალები, სახე, ფერი კანის,
ძვირფასია, ალბათ, ქვეყანაზე,
ჩემს ცხოვრებას მიყვებოდა მუდამ,
გზა მიჩვენა, მეფერება თმაზე.
        მთელ ცხოვრებას მე ვიფიცავ დედას,
        სულ მეძახის, მე მასა ვცნობ ხმაზე,
        «ვაი დედა» თუ წამომცდა სადმე,
        ვგრძნობ რომ ჩნდება, მეხმარება ძალზე.
ახლა ასე რომ ვუყურებ წარსულს,
მთელი ეს გზა მე ვიარე ზღვარზე,
სიყვარული როგორც გინდა აქო,
დედის გრძნობა ძლიერია სხვაზე.
        ასი წელი შემისრულდა უკვე,
        დავბერდი და ვეღარა ვარ ჯანზე,
        სიყვარული პირველად რომ ვიგრძენ,
        ბაღში მაშინ, მე დავეცი გზაზე.

სანთლად ანთებული

პატარა ბიჭი ომში წავიდა,
დედის ცრემლები გაჰყვა მეგზურად,
სამშობლოს მცველად მას დაუძახეს,
პირველად იგრძნო გული კაცურად.

ის სიამაყის გრძნობით აივსო,
ვითარც ვარსკვლავი, გულით განათდა,
მკლავებში ძალა აუთამაშდა,
გმირული იყო სულის აღმასვლა.
წინაპართ სისხლმა იყივლა ერთხმად

და გადაიქცა ზღაპრულ დევგმირად,
მთელი არსებით ის წარმოგვიდგა,
თავგანწირული, ქვეყნის რაინდად.

ღმერთი გფარავდეს, ჩემო ვაჟკაცო _
ყურში ჩაესმის დედის დალოცვა,
შენ ხომ დაგიცავს დედაშვილობა,
აღარ ვიქნები, მაშინაც, როცა.

როდესაც ძუძუს მე გაწოვებდი,
უკვე ვიცოდი, რაინდად გზრდიდი,
ჩვენი წინაპრის ძახილი მესმის,
მათ სულს დიდება, მადლობა დიდი!

ჩვენი სამშობლოს დამცველთა რიგებს,
რომ შეემატა, ჩემი შვილია,
უფალო ღმერთო, შენ დაიფარე
და დამიბრუნე როგორც გმირია.

მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები _
უწვერულვაშოს აღმოხდა ბაგეთ,
ქართველო დედავ, შენ გაიხარე,
დაბადებულან ლეკვები ალგეთს.

ასეა მუდამ, ასე იქნება,
საქართველოში უფლის კვართია,
ქართველს სამშობლო მუდამ ხატად აქვს,
დედის სახელი სანთლად უნთია.

დედის დალოცვა

დედას შვილის მოფერება,
ურჩევნია თავს,
მასზე ფიქრში ათენებს და
შვილს ულოცავს გზას.

შეუცნობია ის სიძლიერე,
რაც რომ დედასა აქვს,
სამშობლოსათვის ის სიყვარულით
ომში აცილებს მას.

ის განცდები და ის შემართება
რაც დედას მაშინ აქვს,
მისი აღწერა ვერავინ შეძლო

და ვერვინ შესძლებს მას.

დედამ არ იცის რა ბედი ელის,
რა ელოდება მას,
მხოლოდ ის იცის, ამაყი არის,
რომ მას ვაჟკაცი ჰყავს.

ცრემლები ახრჩობს გულში მდუმარედ,
შვილს არ აჩვენებს მას
და მის მხურვალე გულით დალოცვას
ღმერთის შეწევნა აქვს.

დედა ყოველთვის ლამაზი არის,
ერთი იმედი აქვს,
რომ მისი შვილი ვაჟკაცია
და არ შეირცხვენს თავს.
დედას მისგან ხომ გმირობა უნდა,
ის უშიშარი ჰყავს,
მტერს ზურგი არ აჩვენოო,
ყოველთვის მოძღვრავს მას.

მხოლოდ ერთსა გთხოვთ, შავი ძაძებით
ნუ შეუბურავ თავს,
ვიცით, რომ თხოვნა ძალზე მძიმეა,
ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

ღმერთო უფალო, შენ შეგავედრებთ
დედაშვილობის მადლს,
გთხოვთ, დაულოცო დედას შვილები,
შენი იმედი გვაქვს!

აკვანი

დავიბადე, გავიზარდე აკვანში,
არტახები მე მიჭერდა ძალიან,
წყნარად ვიყავ, უძრაობას ვუძლებდი,
სწრაფად გაქრა, დრო გავიდა მალია.

ვაჟკაცობას მიგვაჩვიეს თავიდან,
არტახებს ხომ მე ვებრძოდი პატარა,
შეუცნობლად მე ვიწევდი აკვნიდან,
ამ ბრძოლებმა თავიდანვე დამღალა.

მაგრამ სული ძლიერი და მტკიცეა,

ჩვენი ერიც არასოდეს გაქრება,
ბრძოლას ვიწყებთ, აკვნიდანვე ვეჩვევით,
ჩირაღდანიც არასდროს არ ჩაქრება.
ქართველების გული მუდამ ენთება,
აკვანში ხომ გრძნობით ზრდიან მაშველებს,
დედის ნანა ჩაგვესმოდა პატარებს,
ეს ძალაა, რომელიც რომ გვამშვენებს.

აკვნის გამთლელს შემოქმედს და გამჩენელს,
მოგონება მათი იყოს მარადი,
ვინც გაზარდეს იმ აკვანში პირველად,
მას დიდება – გლეხია თუ თავადი!

და აკვანი გახდა ჩვენი ცხოვრება,
შეიძინა მან მიზანი დიადი,
ის მომავლის უტყუარი სახეა,
არასოდეს რომ არ იყოს წყვდიადი.

კიდევ ერთხელ ვადღეგრძელოთ აკვანი,
მას ხომ დიდი დააკისრეს მისია,
ნებივრობდეს, უხაროდეს პატარას,
ეს ჩვენია, განა ვინმე სხვისია?

ქართული ვაზი

როგორც აკვანში დედის ხმა
საამოა და ნაზი,
ისეთი საყვარელია
ქართველისათვის ვაზი.

შვილს უტოლდება ის სითბო,
ის მოფერება ვაზის,
გასხლავ და უმალ იტირებს,
როგორც პატარა ბავშვი.

«შენ ხარ ვენახი» – ქართველის
სულის ამოთქმა არის,
შენ გაიხარე, გლეხკაცო,
მშრომელო თოხის, ბარის.

აიშოლტები ვენახო,
შემოეხვევი ჭიგოს
და გაიშლები ლამაზად,
გაფრენას ლამობ თითქოს.

შენი მოსავლით ვამაყობთ,
შენი ჯიშით და მოდგმით,
შენ შთაგვინერგავ სიცოცხლეს,
თასი აგვივსე ლოცვით.

როცა აისხამ მძივებად
ქარვისფერ ყურძენს მადლით,
ნაზად შევახებ ხელებსა,
განათებულსა მას მზით.

ჩვენი სიკეთე ვაზია,
სხვა სიკეთისა არ გვჯერა,
ქართველო, შენ გაიხარე,
შენ დაგელოცოს მარჯვენა!

მომავლის იმედით

გაზაფხულდა, გაიღვიძა ბუნებამ,
ზამთრის ძილსაც დააღწია თავი,
გალამაზდა, აყვავილდა ქვეყანა
და სიმღერას ვაზმაც მისცა ბანი.

გაზაფხულდა, დაიბერა კვირტები,
დედობისთვის ემზადება ვაზი.
სიხარულის ცრემლები სდის კამკამა,
სურნელი დგას საამო და ნაზი.
რა ლამაზად მოწყობილა ბუნება,
სიყვარულის სითბოთი რომ გვავსებს,
ყვავილების ფარდაგებს რომ დაგვიფენს,
გულს მომავლის იმედებით ავსებს.
ჩვენ შევყურებთ სიყვარულით ქვეყანას,
გულით გვჯერა, ველოდებით მერმისს,
ლამაზია, ხომ საოცრად ლამაზია, –
გაზაფხულზე აფეთქება ტყემლის?
ვეფერებით ამ ბუნების სინაზეს,
აფეთქება ჩვენ არა გვსურს სხვაგვარი
მე კი მინდა აფეთქება სურნელის
მოგვანიჭე სილამაზე ამგვარი.
ამ ცხოვრების მოკლე დროის მონაკვეთს
ოცნებებით დიდხანს გავაგრძელებთ,
ჩვენც შევავსებთ ყურძნის წვენით ფიალას
და მომავალს გულით ვადღეგრძელებთ.

ქრისტეშობა

ქრისტეშობას მოგილოცავთ,
ქართველებო, ჰერი, ჰერი!
ჩვენი გულის გასახარად
შობას შევხვდეთ ჩვენ სიმღერით.

ჩვენი რწმენა მტკიცე არის,
ჩვენი ჯვარი, ჩვენი ერი,
ღმერთი არსად არ გაგვწირავს,
რწმენა გვქონდეს მხოლოდ ერთი.
გაჭირვების ჟამი ვნახეთ,
ძლივს გადარჩა ჩვენი ჭერი,
უფლის კალთა მოგვეფინა,
დაგვიფარა ქართველთ ერი.

ქრისტეშობა გაგვითენდა,
პატრიარქი გვლოცავს რწმენით,
უფლის ლოცვა აღავლინა,
და ლოცულობს ქართველთ ბერი.

ქართველების მცირე მოდგმა,
კიდევ უფრო შეგვამცირეს,
მტერი გვიტევს, არ გაუვა,
ვერასდროს ვერ დაგვამცირებს!

იმ მადლიან სახელს ვლოცავთ,
რაც დაერქვა ჩვენს ქართველსა,
ქრისტეშობის მადლი გვფარავს
მართლმორწმუნე ქართველ ერსა.

ქრისტეშობას მივულოცავთ,
ჩვენს პატრიარქს უწმინდესსა,
ღმერთმა მისცეს მზეგრძელობა
და მშვიდობა ქართველ მრევლსა!

ღმერთო, აკურთხე

მზემ გამიღიმა, სხივები მტყორცნა,
მთვარემ ამავსო მადლით,
ღვთისმშობლის წილხვედრ მხარიდანა ვარ,
ღმერთთან ვსაუბრობ სანთლით.

შენი შვილი ვარ, ცოტა შემცივდა,
ნელ-ნელა მიდის კვალი,
შენი კუთხე ვარ, არსთა გამრიგე,
გთხოვ, რომ აგვიბა მხარი.

საზღვრები გახსნეს, ყველა წავიდა,
ყველამ მიხურა კარი,
დაცარიელდა ლამაზი კუთხე,
შენ რომ შენს მხარედ სცანი.

როგორც არასდროს, ახლა გვჭირდება
სარწმუნოება მყარი,
რას არ ბოდავენ, ველარ გაიგებ,
ჩვენ სახნისს სძვრება ტარი.

ღმერთო, დაგვიხსენ ურწმუნოსაგან,
შენი შვილი ვარ, მცანი.
მადლობას გითვლით პატრიარქისთვის,
ღმერთო, დასწერე ჯვარი!

მხოლოდ უწმინდესს პატივს მივაგებთ,
ბევრჯერ მოუდვეს შარი,
სანთელით ხელში, ჯვარშემართული,
უფლის სახელთან არი.

ღმერთო, მიეცი ძალა, დიდება,
ღმერთო მიეცი ჯანი,
ქრისტიანობას ცოტა შეგვცივდა,
შენი შვილნი ვართ, გვცანი!

ორი არაგვი

შავი არაგვი მოჰქუხს და
მოედინება მთას,
მთიულეთს მალე ჩამოვა,
ჩაეხუტება ძმას.
    ფშავ-ხევსურეთის ამბავსა
    ის მოუყვება მას,
    მთიულთა ამბავს იკითხავს,
    ძმურად დაუკრავს თავს.
ორი არაგვი ერთმანეთს
ანაცვალებენ თავს,
ერთმანეთს პატივსა სცემენ,
როგორც ეკუთვნის ძმას.

ხშირადაც ბობოქრობენ და
ტალღას ახეთქენ კლდეს,
ნაპირებს გადმოდიან და
მოედებიან ღრეს.
და მათი ძმობის ამბავი
ცნობილი არის დღეს,
ხელიხელგადახვეული
ალამაზებენ ხევს.
ძმებიც ხომ ბევრი დაუდით
ამ ჩვენს მთასა და ბარს,
ზოგი წყნარია, ზოგი კი
მძლავრად გამოსცემს ხმას.
ბევრი რამ გადახდენიათ,
წლები უმძიმებთ მხარს,
სამშობლო ძლიერ უყვართ და
ძმა პატივსა სცემს ძმას.
უფლის შექმნილი ლამაზი
ორი არაგვი არს
და მათი ძმობაც ღმერთისგან
მათ დაანათლეს თავს.
ის სიძლიერე, ის სიამაყე,
რაც ორ მდინარეს აქვს,
ასევე ქართველთა გენში
ყოველთვის იჩენს თავს.
უფალო, შენ შეეწიე,
ქართველი გიხრის თავს,
გავუგოთ, როგორც არაგვნი
და მხარი მივცეთ მხარს!

უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს

ოცდახუთსა დეკემბერსა,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩვენს პატრიარქს მივულოცავთ,
აღსაყდრების ამ დღესაო.

იხარე და იდღეგრძელე,
ღმერთი მოგცემს ლოცვასაო,
გაიხარე, იჯანმრთელე,
დაგილოცავთ შენს მრევლსაო.

გაჭირვების ჟამი ნახე,
დაუდექი შენს თემსაო,
მზიან ღამეს იმედებით

გზა უჩვენე ჩვენს გემსაო.

ოცდაათზე მეტი წელი,
ლოცვებს უძღვნით ჩვენს ერსაო,
სიკეთეს და ამ სიხარულს
ღმერთი მოგცემს შენ ბევრსაო.
იმედები როცა გაქრა,
შუქი როცა აკლდა სხივსო,
მაშინ მხსნელად მოგვევლინე
ჩვენი ხარ და არა სხვისო.

ალბათ, ასე მოისურვა,
ეს დიდება ჩვენს უფალსო!
შენი თავი მოგვივლინა,
იმედები ნათელ დღისო.

სიცოცხლეს და დღეგრძელობას
ჩვენ გისურვებთ ძალზე ბევრსო,
მოგილოცავთ აღსაყდრებას,
ჩვენს ილია მეორესო.

რწმენა

მიდის და მიჰქრის ჟამი,
დღეებსაც ითვლის ნელა.
ჩვენთვის უცნობი დროით
სტუმრად მოვედით ყველა.
ჩვენი სტუმრობის ხანა
სხვაგვარად დაყო ღმერთმა,
ზოგი ცოტა ხნით,
ზოგიც _ ხანგრძლივად,
შექმნა სამყარო ერთა.

გამოარჩია ყველა მათგანი,
დრო დაუწესა წელთა
და განაჩენის ამ მოლოდინში
ასე მოვდივართ ერთად.
გამორჩეული სვე-ბედი გვერგო,
ყველანი ვიყოთ ერთად,
ნუ დავუჯერებთ ეშმას მოვლენილთ,
ლოცვა წარმოვთქვათ ერთხმად.
ამ ქვეყნად ერთა მოვლენა
არავინ გვკითხა ჩვენა,

უფლის ხელდასმით გავჩნდით და
უნდა ვიწამოთ ყველამ.
სტუმრად მოსულებს ამ ქვეყნად,
გთხოვთ განიმტკიცოთ რწმენა,
მხოლოდ ერთია ჩვენი ხსნა –
ღმერთს შეევედროთ ყველა.

ჩვენთვის უცნობი დროით
სტუმრად მოვედით ყველა,
ერთი გზა მუდამ არსებობს,
რწმენა და მხოლოდ რწმენა!

მერმისი

სამყარომ შეჰქმნა ადამიანი
და გამძლეობაც მისცა ძლიერი,
ტანჯვაც, წამებაც და ოცნებებიც,
კაცი კეთილიც, კაცი – ცბიერიც.

ყველაფრის ნიჭი მას დააყოლა,
კაცის სამყარო შეუცნობია,
ყველას სჭირდება თავის მიდგომა _
შინაურია თუ უცნობია.

თავის სამყარო ხომ ყველასა აქვს,
შენ არ იფიქრო, სხვაზე კარგი ხარ,
რადგან შენ თვითონ ვერ შეაფასებ,
ბოროტი ხარ, თუ კაცად ვარგიხარ.
თავის მეობა ხომ ყველასა აქვს,
მე ვარ მართალი, _ ამბობს ყოველი,
მინდა, რომ ყველა მართალი იყოს,
მაგრამ მტყუანი არის რომელი?

მტყუან-მართალის გარჩევის დროსა
ნუ დაივიწყებთ კაცის სამყაროს,
რადგან სუყველას ცხოვრება უნდა,
პატივ-ღირსება არვის აჰყაროთ!

ასეა მუდამ დასაბამიდან,
ბევრი სულელი სიბრძნეს გიმტკიცებს
და შენ თუ მართლა ბრძენი კაცი ხარ,
გიჟი ვერასდროს ვერ დაგამცირებს.

მხოლოდ ერთია ბუნების წესი,

ყველას მივაგოთ პატივი თვისი,
ერთურთს გავუგოთ და მოვეფეროთ,
სიკეთით შევქმნათ ჩვენი მერმისი.

ჯვარზე

ჯვარზე ავედი, ჯვარი დავიწერე,
სამჯერ მე ვემთხვიე მას,
გულით ჯვარს ვატარებ, ღმერთო, გევედრები,
უფალო, შეგვეწიე, გვწამს!

როცა დავიბადე, ჯვარი დავინახე,
ჯვარი გადამსახეს ბავშვს,
მერე გავიზარდე, სამშობლო ვიწამე,
ხელით მე შევეხე ჯვარს.
უფალო ჯვარცმულო, შენით შეგვეწიე,
შენით დაეხმარე ხალხს,
სიბრძნე შთაუნერგე, უფალი იწამონ,
ზურგი არ აქციონ მას.

ბევრი ანტიქრისტე უცებ მოგვევლინა,
წამით ჩვენ დაგვესხნენ თავს,
ბევრმა ვერ მოასწრო რამეს გაფიქრება,
ჭკუა შეუბრუნდა ხალხს.

როგორც არასოდეს, ახლა ჩვენ გვჭირდება,
პატივი ვაგოთ ჯვარს,
ვახტანგ გორგასალი ჯვარით მიუძღოდა
ქართულ ძლევამოსილ ჯარს.

ბევრჯერ განვდევნეთ მტერი სისხლიანი,
ხელით ვერ შეეხნენ მას,
ვერ დაგვამონეს, ვერ დაგვაჩოქეს,
სამშობლო ყველას სწამს.

ჯვარზე ავედი, ხატთან დავიჩოქე,
სანთელი ხელში მაქვს!
უფალო, დაგვლოცე, ღმერთო, შეგვეწიე,
ეს ერთი იმედი გვაქვს!

სვეტიცხოველში

სვეტიცხოველში შევდივარ,
ლოცვა ამომხდა ბაგეთა,
ხატები სხივებს აფრქვევენ,
დანახვა ღირს ერთ რამედა.
        საოცრად აშენებული,
        გალავანშემორტყმულია,
        სილამაზე და სიდინჯე
        ერთმანეთს არს შერწყმულია.
ქართველ მეფეთა საუფლო,
ეს საქართველოს ბურჯია,
ძველ ისტორიას გვინახავს,
ბუნებით ისიც გურჯია.
        ნატიფი ხელით ნაშენებს,
        ვერას დააკლებს წლებია,
        დგას ვით ბერმუხა, მაგარი,
        დამძიმებია მხრებია.
საუკუნეებს მოითვლის,
ასაკი ვერ დასტყობია,
ამ ჩვენს სულიერ სიწმინდეს,
დაჰყურებს მაღლა მთებია.
        შედიხარ, მოწიწებას გრძნობ,
        შენთვის იცვლება დრონია,
        სანთელს აუნთებ წმინდანებს,
        ეს რა სიმშვიდე სცოდნია.
ზემოდან ჯვარი დასცქერის,
დარაჯად მდგომი მცხეთასა,
ვერვინ ვერ შეეპარება,
ის ეფერება მის ძმასა.
        ასე ერთობით მოდიან
        ჯვარი, მცხეთა და არმაზი _
        ეს საქართველოს საუნჯე,
        ჩვენი სიწმინდე ლამაზი.

აღდგომის დღეს

დღე მოდის უკვდავი, ნათელი,
ლოცვით შევღებავთ კვერცხს,
სიცოცხლე ჭეშმარიტ მორწმუნეს!
გილოცავთ აღდგომის დღეს!

ქრისტეს ღვთისმოსვით მოვლენას,
ვულოცავთ მთელ ქართველ ერს,
დაგვლოცე, უფალო, შემოგთხოვთ,

ნუ მოგვიმრავლებ მტერს!

უფლის დალოცვით მოვსულვართ,
დიდება ქრისტეს მრევლს,
მართლმადიდებლებს ჭეშმარიტს,
ჩვენს საქართველოს მთელს!

ნათელი ადგათ წინაპართ,
რატომაც ვღებავთ კვერცხს,
უკვდავებაში წასულის
სულს შევავედრებთ ღმერთს.

გასწორდი, ქართველო, ამაყად,
გილოცავთ ამ ლამაზ დღეს,
თასი აიღეთ, დალოცეთ,
დიდება აღდგომის დღეს!

სასწაულია ცხოვრება

რა სასწაულის მომსწრეც ვართ,
ალბათ, ჩვენ ვხვდებით ძვირადა,
ნამუსი ქალმა დაჰკარგოს,
ის აღარ ღირდეს ჩირადა.
სინდისი კაცის საქმეა,
რომ არ გამოჩნდეს ვირადა,
სინდის-ნამუსი შეიქმნა,
ქალის და კაცის ჭირადა.

შენ უნდა შესძლო, ატარო,
თავს ნუ აჩვენებ გმირადა,
რაცა ხარ, ისე დაფასდი,
გამოდექ ერის შვილადა.

ამ ერთხელ მოგცეს სიცოცხლე,
იცხოვრე შენაც ძმურადა,
ყველა მოყვარედ აღიქვი,
ნუ შეიცვლები ტურადა.

ბოლო ყველასთვის ერთია,
ეს კარგად იღე ყურადა,
სანამ ხარ, კაცად ივარგე,
ავი ცოდვებში ცურავდა.

უფალი ყველას გაიგებს,

ნუ მოიქცევი მტრულადა,
ბოგირში წყალი ჩუხჩუხებს,
კვამლი საკვამურს მურავდა.

სასწაულია ცხოვრება,
კაცი ყურძნის წვენს წურავდა,
სამშობლოს ადღეგრძელებდა,
სამყარო ლაღად ბრუნავდა.

ზომა

ფიქრი მოვიდა მძიმე,
ზღვა ჩამომისხით თასში,
აზრებს დავწურავ ფეხით,
ოკეანე მსურს ყანწში.

მინდა გადავკრა უცებ,
ჭკუა გამიქრა თავში,
ტალღები მინდა შევსვა,
მთვრალი წავიდე სახლში.

მინდა გავრეცხო მთვარე,
თავით ჩავუშვა ქვაბში,
ვარსკვლავი ვკრიფო ხელით,
მზეს ჩამოვაკლო განში.

გვსურს, რომ ჩვენ ვმართოთ ყველა,
თან დავისვენოთ ბაღში,
თითის აქნევა ეყოს,
ფიქრი ასრულდეს წამში.

ჩვენც ჩავუკვირდეთ ჩვენს თავს,
არ აგვერიოს სხვაში,
როცა მდინარე გყოფნის,
რა გინდა მღვრიე ზღვაში.

გვინდა ავიდეთ მაღლა
და ავფრინდები ცაში,
საზღვრებს ვეღარ ვცნობთ, ვერა,
უგზოდ დაფრინავს რაში.
მილიარდებს ვთვლი ჩუმად,
რიხიც დიდი გვაქვს ხმაში,
თითქოს მაგრები ვხდებით,

რაღაც გვატყუებს მაშინ.

მოტყუებული ვრჩებით,
წყალი შემოდის ნავში,
გვინდა ტაიჭზე ვისხდეთ,
გადავეშვებით ლაფში.

ყველაფერს უნდა ზომა,
კაცები ვიყოთ ნაღდში,
რასაც შევხედავთ თვალით,
ყველაფერს ვზიდავთ სახლში.

ბევრმა წააგო თავი,
ცუდი არია კარგში,
ზომა ისწავლე, ძმაო,
არ აგივარდეს თავში!

ღმერთო, შემინდე,

სულიერება ნელა გვიქრება,
კაპიკში გაცვლის ეშმაკი კალამს,
ყველა ერთმანეთს უცხო გაუხდა,
დილასაც ვეღარ იმეტებს სალამს.

ყველანი სადღაც მივექანებით,
თავგამოდებით მივქრივართ შარას,
ფეხს თუ წამოვკრავთ, არ გაგვიმართლებს,
ძირს დავასკდებით, დავკარგავთ ძალას.
ფეხზე არავინ წამოგაყენებს,
არ იზიარებს არავის ვარამს,
ყველას თავისი გასჭირვებია,
ყველა ვიღაცას რაღაცას პარავს.

არიან დიდი მომპარავებიც,
კანონის ძალით სულ მუდამ გძალავს,
მერე სხვა მოდის, ისიც უგულო,
გამოგიწურავს მთლიანად მარაგს.

გაუცხოების სინდრომი ღვივის,
სადაც კი მიხვალ, გეტყვიან «არას»,
რაგინდ დალოცო შენს გვერდით მდგომი,
არვინ არასდროს გიფასებს ამაგს.

სულიერების მწყემსმთავარი გვყავს,

სინათლის სხივი მას თავზე ადგას,
ჩვენ მოვუსმინოთ, მხოლოდ ვიწამოთ,
ეშმაკს განვდევნით და ვეტყვით «არას».

ეს ნაპერწკალი ძლიერ ანთია,
პატივი ვაგოთ სულიერ მამას,
გაუცხოებაც მაშინ გაქრება,
ღმერთო, შემინდე, რომ ვამბობ ამას!

ქრისტეშობა

როცა განათდა ვარსკვლავთ ცა,
მაშინ ვერ დაგვაქციესო,
უფალმა ღმერთმა ინება,
როდესაც გაჩნდა იესო.
უცებ გაიხსნა გონება
და ლოცვა ცას აწიესო,
მარადიული უფლის გზა,
გვაჩვენეს, არ გაწიესო.

მოვლინებული ამ ქვეყნად,
ჩვენს რწმენად, ჩვენს საწიერსო,
კაცთ მოდგმას გვერდით დამდგარსა,
უფალსა ჩვენს სახიერსო.

ამად იცოცხლა, ეწამა,
სახეს არ იცვლის, იერსო,
ისე წავიდა, ამაღლდა,
მოკლეს, ვერ წააქციესო!

დიდება შენს მოვლინებას,
დიდება შენს საქციელსო!
მარადიულად ჩვენთან ხარ,
დიდება შენდა, იესო!

ლოცვა-დიდება ცად აგებულა

ფიქრები ერთად სულ არეულა,
გრძნობა-გონება გადარეულა,
გული საგულეს ვერ ჩატეულა,
ჭკუა-გონება სულ გალეულა.

შეგონებანი კვლავ დამსხვრეულა,
აკვანიც თვითონ გადარწეულა,
საზღვრები რატომ გადაწეულა?
ძარღვებში სისხლი სულ ამღვრეულა.
კარები ყველგან გამოღებულა,
წინაპართ ხმებიც ამოღებულა,
მკვეთრად დასჭექა ხმამ მოღებულმა,
გამგონი, ალბათ, ქარწაღებულა.

წვიმების თქეში გადაღებულა,
ოქროს კოშკებიც კი აგებულა,
მერე კი სადღაც სულ წაღებულა
და არაფერიც არ გაგებულა.

იყო ომები, რაც წაგებულა,
სისხლი, ეკალი გზად დაგებულა,
ასე ცხოვრება სად გაგებულა...
სამშობლო მერე დალაგებულა.

ბიბლიას ცვლიან, სხვა დადებულა,
პატრიარქის ხმაც ამაღლებულა,
სიკეთის კარიც კვლავ გაღებულა...
ლოცვა, დიდება ცად აგებულა.

მეორედ რად ჰკლავთ

გაცისკროვნება და სიდიადე
მაშინ იწყება ერის,
როდესაც პოეტს სიტყვა მოუდის,
და რითმებს ხალხი მღერის.

როდესაც დილით მზე გაანათებს,
როცა თავი გაქვს მთელი,
არ შეგარცხვენენ როგორც პოეტს და,
როცა არ შეგჭამს მგელი.
როდესაც ლექსის წაკითხვა იცი,
როცა დიდებას მღერი,
როდესაც ცრემლი თვალებს გინისლავს,
მაშინ სიკეთეს ელი.

თუნდაც მახვილით კარებს უნგრევდნენ,
უზღვავი ჰყავდეს მტერი,
ვერავინ ჩაჰკლას სიტყვა ოსტატის,
სიცოცხლე მას აქვს გრძელი.

მწერალთა კავშირს როცა მიადგნენ,
დარბაზს შევარდა შტერი,
გალაკტიონის სურათს შეადგა,
ატირდა თურმე «მერი».

მკვდრეთით წამოდგა მაშინ პაოლო,
მთლად დაუკარგავს ფერი,
თავში მეორედ ტყვია დაიკრა
და ჩაიქნია ხელი.

გარდაიცვალნენ, დღესაც არიან,
კვლავ გაბრწყინდება ერი,
ღმერთო, დალოცე ჩვენი მწერლობა,
მოაშთე ქვეყნის მტერი!

სანამ წავსულვართ

წუთისოფელში ვერას გაიგებ,
ზოგი კაცია, ზოგი – კაცუნა,
ზოგიც კეთილი, ზოგიც – ბოროტი,
თვალებს აცეცებს მუდამ მაცდურად.

ზოგი კი ზეცას გამოეკერა
და მუდამ იბრძვის სულ მამაცურად,
ზოგმა კი ადრე ათვალა დრონი,
დიდი ხანია გაატკაცუნა.
ყველას ვერ მოვთვლით დედამიწაზე,
ზოგი არსებობს მუდამ კაცურად,
მისი სიცოცხლე დროს ალამაზებს,
არასდროს იზამს ის ავკაცურად.
იბრძვის და შრომობს, დნება და კვდება,
დრონი კი მიჰქრის, დრო გარდასულად,
ზოგი კი ცოცხლობს ბოროტებისთვის,
მაგრამ აქ არის, ჯერ არ წასულა.
ჭკვიანს და ბოროტს, ავსა და სულელს,
ერთი დრო მისცეს, ერთად მოსულან,
თავისებურად ერთად ცხოვრობენ
და შემდეგ ყველა ზეცას ასულან.
ზოგს უნდა მუდამ რწმენით იცხოვროს,
ზოგი გზას ასცდა, სხვაგან გასულა,
სხვადასხვა რწმენით, სხვადასხვა დროში,
ყველა ცალ-ცალკე სადღაც წასულა.
და ყველა ცდილობს თავი გაჩვენოს,
გმირად მოვიდეს, არა ავსულად,

გენიოსობენ ჭკუანაკლულნი,
ძლიერს აქებენ, ტყუილად, ფარსულად.
სიცოცხლე მაინც ყველაფერს იტევს,
ზოგი კაცია, ზოგი – კაცუნა,
ჩვენი ცხოვრება ჭრელია მუდამ,
ასე ვიქნებით, სანამ წავსულვართ.

მე საქართველოს ასეთსა ვხედავ

გაბრუებული, თმააბურძგნული,
ადგომას დილით ვეღარა ვბედავ,
არაყი მინდა, გრძნობა ჩავიხრჩო,
დღეს ჩემს სამშობლოს ასეთსა ვხედავ.

სადღაც დავთვერით უცხო სასმელით,
რა საწამლავი შეგვასვეს მგლებმა,
მოკეთის ნიღბით სუფრა გაგვიწყვეს,
ჩუმი ზეიმი მოაწყვეს მტრებმა.

ამ ბურუსიდან ვერ გამოვსულვართ,
ბახუსის ტყვეთა ბანაკი ზეობს,
სიცივე ძვალს და რბილში გაგვიჯდა,
შენ გეხვეწები, ამოდი მზეო!

გამოანათე, გაათბე მხარე
და შთაუნერგე სიცოცხლე გრძელი,
ამ ტყვეობიდან დაიხსენ მალე,
შენ გაახარე ქართველი ერი.

მალე გავივლით ამ სატანჯველსა
და გაჭირვებას დავაღწევთ თავსა,
ნაბახუსევიც გაივლის მალე,
ისევ შევდგებით, თეთრონით მთასა.

ქართველის სულსაც ვერავინ გასტეხს,
ტყუილად ცდილობს ბოროტი მტერი,
გმირთა სავანე, ჩვენი მამული,
მუდამ იქნება შეურყეველი!

დაიწყო ცეკვა, დამისხით ღვინო,
ჩამოგვიქროლა მშვიდობის მტრედმა,
ხმალშემართული, ფიალით ხელში,
მე საქართველოს ასეთსა ვხედავ!

მწამს

განა ლოთი ვარ? ღვინოს ვსვამ მხოლოდ,
განა პოეტი? ლექსებს ვწერ ჩემთვის,
არც მშრომელი ვარ, მხოლოდ ვერთობი,
განა მორწმუნე, მხოლოდ მწამს ღმერთის.
    არც გიჟი არ ვარ, ჩემთვის ვსულელობ,
    არაფერი მაქვს, მხოლოდ მყავს ღმერთი,
    არც სპორტსმენი ვარ, ჩემთვის ვსპორტსმენობ,
    და არც მუზა ვარ, მუზა მყავს ერთი.
არც ალალი ვარ, პატივს ვცემ ყველას,
ბოროტი არ ვარ, მხოლოდ ვარ ჩემთვის,
არც მამაცი ვარ, ვმამაცობ მხოლოდ,
და არც მშიშარა, მოშიში ღმერთის.
    არც შურიანი, არცა მშურს სხვისი,
    არც ოცნება მაქვს, ვოცნებობ ჩემთვის,
    არც მიზანი მაქვს, რომ დავუმიზნო,
    რომ მოვახდინო გასროლა ერთი.
არც მეცნიერი, არცა მწერალი,
სტრიქონი სტრიქონს მივაბა თქვენთვის,
არც მშენებელი, ავაგო კოშკი,
გიჟი არაგვი მტკვარს სადაც ერთვის.
    არც მხატვარი ვარ, არც მოქანდაკე,
    მოვხატო ფრესკა, შევეხო ხერთვისს,
    მე საქართველოს ერის შვილი ვარ,
    ჩემი სამშობლოს, მხოლოდ მწამს ერთის.
განა ლოთი ვარ?! ღვინოს ვსვამ მხოლოდ,
განა პოეტი?! ლექსებს ვწერ ჩემთვის,
გამორჩეული არაფრით არ ვარ,
ჩემი სამშობლოს, მხოლოდ მწამს ერთის.
    განა ლოთი ვარ?! ღვინოს ვსვამ მხოლოდ,
    განა პოეტი?! ლექსებს ვწერ ჩემთვის,
    გამორჩეული არაფრით არ ვარ,
    ჩემი ქვეყნის მწამს და მხოლოდ ღმერთის!

შემომაღამდა

    ცის ტატნობზე ვარსკვლავი ჩნდება,
    შემომაღამდა, დავუყევ დაღმართს,
    გადავიღალე, ფეხებს მივათრევ,
    მე, ლოგინამდე მივაღწევ ალბათ.

    მთვარე მინათებს უსასრულობას,

ეს ღამეც, ალბათ, ძალზე გრძელია,
მიმოვიხედე, არავინ არ სჩანს,
ღამე კი, ვატყობ, ჩემთვის ბნელია.

უკიდეგანოდ ვიარე დღისით
და ბევრიც ვნახე კიდით-კიდემდე,
ჩემსავით ბევრიც დაბორიალობს,
ყველანი ვასწრებთ დაღამებამდე.

წინ გველის ღამე უსასრულამდე,
ღამე ნეტარი, ჩამდგარა ქარი,
ჩვენი წვალება, ბრძოლა და შიში,
გაელვებაა და მხოლოდ წამი.

შემომაღამდა, მაგრამ რა უშავს...
ეს ღამე ისეც მომლოდინეა,
თუ ლოგინამდე მივაღწევ ახლა,
დღისით ტყუილად არ მიბრძოლია.

ცის ტატნობზე კი ვარსკვლავი ჩნდება,
ვარსკვლავი ჩვენი მერმის ცხოვრების,
უფალო ღმერთო, შენ დაგვიფარე,
და გაგვინათე სული ოცნების!

დაიბადება ისევ დავითი

ბრძოლით, შრომით, თავდადებით,
ზეცას მისწვდა გმირის სული,
ჩამოშორდა საქართველოს,
სისხლის მსმელი უცხო გზირი.
        როგორც იქნა, გავიხარეთ,
        კაცად ვზარდეთ ჩვენი შვილი,
        სისხლით დაცლილ საქართველოს,
        კვლავ შევუვსეთ თბილი გული.
თურქ-სელჯუკთა შემოსევით,
გაგვიმწარეს ჩვენი სული,
სპარსელებსაც გადავურჩით,
აგვიმღერდა კაცურ გული.
        ახლა უკვე სხვა დრო დადგა,
        გაგვიხედნეს სხვაგვარ ყური,
        უკვე ვატყობ მოგვისყიდეს,
        გადმოგვიგდეს ხმელი პური.
მტერმა ხმალი შეგვიცვალა,
ახლა ოქროს დიდი ფულით

და გაივსო საქართველო
უცხოური მყრალი ფუნით.
        შეისყიდეს ყველაფერი,
        რასაც მისწვდნენ თავის გონით,
        თავი მოაქვთ, ვით უძლევლებს,
        უცხოელებს თავის მძორით.
ნელა მოდის ჩვენი მტერი,
ოქროს წონის უკვე ტონით,
სისხლით მორწყულ ქართულ მიწას,
ჩუმად გვტაცებს ბინძურ ტორით.
        გაბრწყინდება თამარ მეფე
        უძლეველი დროშა-ფარით,
        შეიკვრება საქართველო
        კვლავ ერეკლეს წმინდა ხმალით.
გორგასალი მთას შედგება
მტერს განდევნის ღვთიურ ძალით,
გაცისკროვნდი, ჩემო მხარევ,
მშრომელებო, ყანა ხანით!
        გვეყოლება ერის გმირი,
        გაიხარე ძმაო ძმითი,
        არ შეშინდე საქართველოვ,
        გამოჩნდება კვლავ დავითი!

ჯიშის დამცველნი

წამოუქროლა, ალბათ კვლავ მოთოვს,
ისევ თეთრდება ბებერი მთები,
დატრიალდება ისევ ქარბუქი,
აყმუვლდებიან უშბაზე მგლები.

წუხილს მოუცავს ბრძენი თეთნულდი,
როგორ შემუსროს მომხვდური მტერი,
ვინ იქადაგოს დღესასწაულზე?
ვიღამ გაფეროს სვანური ხმლები?

დაცარიელდა მაღლა კოშკები,
ვაჟკაცის გულო, როგორღაც ქრები,
აღარავინ ჩანს ეზოს გამწმენდი,
თავზე გვეყრება უცხოთა ქვები.

არ დაივიწყოთ თქვენი კერია,
თოფის გრიალი, არწივთ მართვენი,
მუხლის ძალა ხომ ღმერთმა გიბოძათ,
გაუტეხელნი თქვენ ხართ ქართველნი!

ხან შეგაცივებს, შენ გეუბნები,
ცხვარიც დაგრჩება თითზე სათვლელი,
მაგრამ, ვაჟკაცო, რისი სვანი ხარ,
აქ თუ არ დარჩი, ბარში ჩახვედი?!
წამოუგრილა, სწორი ხარ, ძმაო,
არსად აღარ ვართ სვანნი წამსვლელნი,
გაზაფხულს ისევ აქ ველოდებით,
ისევ ვლოცულობთ, ჯიშის დამცველნი.

არაფერი აღარ მინდა

მივდივარ და მივბარბაცებ,
მიპყრობს ჩემთვის ფიქრები,
ამ საღამოს სადმე დავლევ,
ხვალ იქნებ არც ვიქნები.
        სადღა არის სიყვარული,
        ამყვა შავი ნისლები,
        ვერ ვაკვნესებ ჩემს გიტარას,
        ჩაწყვეტია სიმები.
ნეტავ, ეხლა სად არიან,
ლოთი, ძველი ბიჭები,
ტანზეც არა მაცვია რა,
დამრჩა მხოლოდ ჭინჭები.
        ქუჩას წყნარად მოყვებიან,
        გოგოები, გვრიტები,
        ცხვირაწევით მომძახიან –
        ვიღაც ლოთი იქნები.
რას ჰგავს, ერთი დამიხედეთ_
იცინიან ბიჭები,
ვინ რა იცის, ვინ ვიყავი,
აწი რაღა ვიქნები.
        სადღა არის მკლავის ძალა,
        კოხტა ლექსის ნიჭები,
        არაფერი აღარ მინდა,
        კვლავ გამივსეთ ჭიქები.
ვაჟკაცობას ვერ წამართმევთ,
ჩემთვის მიპყრობს ფიქრები,
ასე ვივლი ლოთიანად,
სანამ კიდევ ვიქნები!

დაბადებიდან ომში ვყოფილვართ

როცა რიყის ქვით გახეთქავ ნიგოზს,
მაშინ მიირთმევ გემრიელ ლებანს,
სანამ საბერტყად კეტით არ მიხვალ,
ვერას მიიღებ, როგორც არ ებას.

ქვები და კეტი უნდა დაუშვა,
ის უნდა მიხვდეს შენს ძალის ნებას,
მაშინ კი მოგცემს მოსავალს უხვად,
მის ტანს ერთხელაც თუ დაჰკრავ დანას.

მაშინ გახდება შენი მოკეთე,
უმალ აავსებ ოჯახის მარაგს,
ზამთარს შეხვდები ფეხზედნიერი,
დაეწაფები შენ ციცქის წარაფს.

ისე ყოველდღე რაღაცას გმტრობენ,
მიგაყენებენ შენ თვითონ ქარაფს,
საჯიხვეებში ბერდენკა თუ გაქვს,
შენ კვლავ შეავსებ ოჯახის ალაფს.

ასე ყოფილა ჩვენი ცხოვრება,
ამიტომ არის ხალხი რომ ღელავს,
თუ არ აჩვენე შენ მკლავის ძალა,
ყოველდღე ვიღაც რაღაცას ქარავს.

ყური მიუგდე, ბრძოლები გვიხმობს,
მაგრამ ამ ომებს ცხოვრება მალავს,
კალმახსაც, ალბათ, ვერსად დაიჭერ,
თუ არ გასცურავ მკლაურით არაგვს.

დაბადებიდან ომში ვყოფილვართ,
ასე მივირთმევთ ცხოვრების ბადაგს,
ღმერთო, შეგვინდე ყველა ცოდვილნი,
ბოლოს სიცოცხლით გადვიხდით ამაგს!

წმინდაო მარიამ

ანთებული სანთლებით და მლოცველი თვალებით,
ყველა გულში დუდუნებს, ყველა ლოცვად არიან,

უფლის დალოცვილები, ღამისთევად გავლიან,
გევედრებით მშვიდობას შენ, წმინდაო მარიამ!

ქრისტიანმა სოფელი სულ ლოცვაში გალია,
ღმერთო, ფართოდ გაგვიღე შენ მშვიდობის კარია,
წვიმა, ქარი გადაიღებს, გამოჩნდება დარია,
ძალას მოგვცემს, მივატოვოთ ჩვენ დღეები მწარია.

პატრიარქი ლოცვად დადგა, ყველა ლოცვად არიან,
სანთელს ვხედავ, იღვენთება, მას ვერ აქრობს ქარია,
სულიც ძლიერ ანთებულა და ლოცვები მყარია,
ყველა ერთად გევედრება შენ, წმინდაო მარიამ!

წმინდა მიძინების დღეს ყველა შენთან არიან,
ყველა შენზე ლოცულობს, ყველასა სწამს ძალიან,
სანთელივით ლოცვად ვდნებით, ღმერთო, მოგვეც ძალია,
ჩვენ მშვიდობას გევედრებით შენ, წმინდაო მარიამ!

ანთებული სანთლებით, გევედრებით ძალიან,
ანთებული თვალები გევედრება, მარიამ!
მშვიდობას გთხოვთ ყველა ერთად, ქართველები ელიან,
მუხლზე მდგომი გევედრებით, გევედრებით, მარიამ!

ვიღაცას წუხელ არ სძინებია

ვიღაცას წუხელ არ სძინებია,
მან გაატარა ქეიფში ღამე,
ვიღაცას ცრემლი არ შეშრობია,
არ დარჩენია სხვა არცა რამე.
ვიღაცას წყნარად ჩასძინებია,
ვნებით დაჰყურებს მას სავსე მთვარე,
ვიღაც კი ისევ წყლულებს იშუშებს
და არ აძინებს ფიქრები მწარე.

ყველა სხვადასხვა აზრებს მოუცავს,
ვიღაცა ისევ გააღებს კარებს,
მოკეთეს გულით ფარდაგს დაუფენს,
და გაატარებს სუფრასთან ღამეს.

უსწორმასწორო ცხოვრება ჩვენი,
ამოალაგებს ხმლებსა და ფარებს,
სამშობლო ჩვენი დაცვას მოითხოვს,
მერანს დავაკრავ მე უცვეთ ნალებს.

ცხოვრება გრძელი, მშფოთვარე მუდამ,
თავისას გვიწვდენს ჩვენ ცეცხლის ალებს,
ზოგი ნაპერწკლით უცებ დაიწვა,
ზოგი კი ასცდა მიწიერ ძალებს.

იცოცხლე, ჩემო გამწევო ხარო,
შენი სახნისით მოვუვლით ბაღებს,
ყველგან სიცოცხლეს დავთესავთ ისევ,
კვლავ შევებმები გუთანში ხარებს.

წუხელის მართლა არ გვძინებია,
მრევლი ათენებს ლოცვაში ღამეს,
ქართველის გული, კვლავ ანთებული,
ისევ ბრწყინდება, ანათებს მხარეს.

ოღონდ შენ კაცად ივარგე

ვაჟკაცის სახელს დაეძებ,
თითქოს გქონდა და დაკარგე,
ის თვითონ მოვა, მოგძებნის,
მხოლოდ შენ მარტო განკარგე.

შენ მხოლოდ შენი ცხოვრებით
სხვისი ცხოვრება მოქარგე,
სხვაც შეიცანი შენ კაცად,
დააფასე და იკარგე.

გაჭირვებულში შეიცან
შენი თავი და იმაგრე,
და ილიასებრ თავს ჰკითხე:
დღეს ვინმეს რამე თუ ვარგე?

მაშ, ძებნა რაში გჭირდება,
რას ეძებ, ან რა დაკარგე?
ყველა დიდება შენია,
ოღონდ შენ კაცად ივარგე!

თუ გინახიათ ხარის დაჩოქვა?

თუ გინახიათ ხარის დაჩოქვა?
მე მინახია მძიმე უღელში,
დაჩოქილა და მაინც ამდგარა,

უფალმა მისცა ძალა უხეში.

თქვენ გინახიათ ის როგორ ქშინავს,
როცა ეცლება ძალა მუხლებში?
ოფლი ასკდება, ძლიერ გათანგულს,
ბრძოლის ჟინს ხედავ მაშინ თვალებში.
თქვენ გინახიათ გავეშებული,
ცხოველის გრძნობა ველურ ხარებში?
ყველაფერს თელავს, რაც წინ დახვდება,
შინაგანად სურს მხოლოდ თარეში.

თქვენ დაინახავთ ამ გრძნობას ძლიერს,
ამოიკითხავთ მხოლოდ კაცებში,
ხარი იყავი, მოხანი კიდეც,
ეჭვს ნუ შეიტან მაგ შენს ძალებში.

აზრი აღარ მაქვს, გრძნობაწართმეულს,
სევდამორეულს, ფიქრით გალეშილს,
ისე გავსივდი ჩვენს მტერზე ბოღმით,
ველარ ვეტევი უკვე კარებში.

დამისხით ღვინო, თასით მომართვით,
უნდა ჩავხედო ხარებს თვალებში,
ამოვიკითხო მისი სიგიჟე,
გადავამტვრიო მტერი მალებში.

მე მინახია ხარის დაჩოქვა,
ის მაინც სწევდა, მუხლით უღელში,
ეს შემართება მეც გადამედო,
უკვე წითელს ვგრძნობ, ელავს თვალებში.

გვარს ნუ შეიცვლი

რა გვარისა ხარ, უცებ მითხარი,
თავს ნუ დაიღლი, ნუ დაფიქრდები,
თუ მეტყვი სწრაფად, არ შეგეშლება,
აღარ იწვალებ, არ აიშლები.
თუ შენი გვარი და ჯიში გიყვარს,
ღამურასავით ნუ მოიქცევი,
ბეწვიანი ფრთა თავს არ დამალავს
და მოღალატედ გადაიქცევი.
თუ ქართველი ხარ, ქართულად მითხარ,
მაშინ სომხურად რატომ მიცქერი,
თუ სომეხი ხარ «ჰე ცავატანემ»,
მაშ, ქართველივით რისთვის იქცევი?

შენ გვარის შეცვლით, სისხლს ვერ შეიცვლი,
არ შეგეცვლება შენი ფიქრები,
სულით სომეხი, გულით თათარი,
გვარით ქართველი, შენ ვერ იქნები!

ყველა ჯიშს, ჯილაგს, პატივს მივაგებთ,
ყველა ვაჟკაცის გვერდით ვიქნებით,
გვარს თუ დამალავ, რაღაც გაწუხებს,
მაშინ არჩიე გვარი წიგნებით.
გეყოს კაცობა, შენც შენი აქე,
ნუ გადარბიხართ ვითარ ციკნები.
სომეხს და თათარს, რუსსა და ქართველს,
ყველას აწუხებს ქვეყნის ფიქრები.

მთავარი არის კაცად ივარგო,
შენი სახელის შენვე იქნები,
მერე არ შეგრცხვეს, გვარს რომ უარყოფ,
წინაპართ მკვლელად გადაიქცევი.
აღარ დაფიქრდე, ისე მითხარი,
ნუ გეშინია, ნუ გაიქცევი,
სისხლი ყიოდეს ის შენებური,
თუ კაცი გქვია, არ წაიქცევი!

როცა გვარს იცვლი, თხოვდები ალბათ,
სხვაგვარად გვარით რატომ იცვლები?
დედოფლად ყოფნა ასე თუ გინდა,
კაცი ვერასდროს ვეღარ იქნები!

როცა გეტყვიან

დამსახურება, ასაკი,
აღარ სჭირდება არავის,
შენი დრო როცა მოგივა,
სახლში წადიო, ნახვამდის!

სად იმსახურე, ვინ იყავ,
ღვინოს თუ სვამდი მანავის,
არავის აინტერესებს,
იქნებ მიხვიდე სახლამდის.

პატივს თუ სცემენ, არ ვიცი,
ან დედას, ანდა მამამისს,
სად წახვალ, რომ გაიზრდები,
მიხვალ სიბერის კარამდის.

ბევრი სიკეთე აკეთე,
შენც გაგისაზღვრეს სადამდის,
არავის არად აგდებენ,
შენ თუ ხარ უკვე ასაკის.

ახლებსაც ვერ დავაბრალებთ,
ეს იყო ასე მანამდის,
ახლა მადლობას ვინ გეტყვის,
უღირსი ამათ სალამი!

რა გაგიჭირდა, რა იყო...
არა სცნობ უკვე არავის?
რადგან შენ ახლა შეფი ხარ,
ყველას უბიძგებ შარამდის.
მადლობა უთხარ ღირსეულს,
ზრდილობა გაგყვეს კარამდის,
დრო ძალზე სწრაფად იცვლება,
იქნებ არც იყო ხვალამდის.

გამოცდილები არ გინდათ,
პასუხს არა სცემთ არავის,
დრო მოვა, მწარედ შეიგრძნობთ,
როცა გეტყვიან, ნახვამდის!

ჩვენ სიმართლეს ველოდებით

დატრიალდა დედამიწა,
ატრიალე შენი მიწა,
შენ საქმეში ვერ ვერევით,
აღარც მინდა, თუ ვერ მიცან.

გავბრაზდი და ცრემლი მახრჩობს,
აღარა მაქვს გაგრა, რიწა,
ჩამოჭერი, გაისროლე,
მაწყენინე, შენ თავს ვფიცავ!

რად წაგვართვეს, რას გვერჩოდნენ,
წესებს რატომ არვინ იცავს?
მშობლიურო ჩემო მიწავ,
ბოროტისგან ვეღარ გიცავ!

ძალა აღმართს ძალით მიდის,
აუყვა და მოხნა მიწა,

ჩვენ დაღმართზე ვერ ვიარეთ,
დავეცით და შენ არ გვიცავ.
სადღა არის სამართალი...
დატრიალდი დედამიწავ,
ჩვენ სიმართლეს ველოდებით,
ველოდებით, დედას ვფიცავ!

ათასეული წლების წინათ

ზოგის აზრებმა მრავალს გაუძლეს,
მათი საქმენი გაბრწყინდა დიდად,
ხმალს რომ იქნევდა მაკედონელი,
ათასეული წლების წინათ.

მასწავლებლობდა არისტოტელე
და ის მოძღვრავდა მივიდა ბინად,
მანვე ასწავლა უძლეველობა,
ათასეული წლების წინათ.

კვლავ ცოცხალია ეს სახელები,
არ გარდაცვლილან, მხოლოდღა სძინავთ,
მათ სიდიადე ერგოთ უფლისგან,
ათასეული წლების წინათ.

დიდი სახელი მსწრაფლ მოიპოვეს,
მაკედონელი ჭედავდა რკინას,
არისტოტელე გონებით კვეთდა,
ათასეული წლების წინათ.

ეს ცხოვრება კი წამად აქციეს,
დიდი დრო უცებ გვეჩვენა მცირედ,
ორივე გაჩნდა გენიის ნიჭით,
ათასეული წლების წინათ.
ჩვენ შთაგვინერგეს სული უკვდავი,
არ მოგვაჩვენა სიცოცხლე ჭირად,
დღესაც ცოცხლები, ოდესღაც გაჩნდნენ,
ათასეული წლების წინათ.
    მათმა სიმართლემ მრავალს გაუძლო,
    მათი სულები დღეს ბრწყინავს მძივად,
    ფილოსოფობდა არისტოტელე,
    ათასეული წლების წინათ.

ისე არ დაბნელდება

არსება ხარ, დიახ, შენ ხარ არსება!
ბევრი რამე, ალბათ, არც გევასება,
ყველაფერის ჩვენ არა გვაქვს თავსება,
ჭრელი არის ეს ცხოვრება, არაფერი – მსგავსება.

სიცოცხლე კი ერთმანეთს ჰგავს, ერთმანეთს ემსგავსება,
ქეიფობ და თანაც მოგწონს, ღვინით თასის ავსება,
ვინც კი გაჩნდა, დაიბადა, ყველასა აქვს ღირსება,
მილიარდი ოდენობით განაწილდა თვისება.

ყველას თავის მეობა აქვს, სხვისი არ ეთვისება,
საბოლოოდ მიწას მიაქვს, დედამიწა ივსება,
ამინდიც კი სეზონურად სხვადასხვაგვარ იცვლება,
მზე და მთვარე აღარ ბრწყინავს, ცა დაფარა ნისლებმა.

ასე არის, ასე იყო, მუდამ ასე იქნება,
ჩვენ გვგონია მაგარია, ვისაც ფული ექნება?
დედამიწა რომ იყიდო, საყოფი არ გექნება,
მზე და მთვარე შენი იყოს, სხივი მაინც გეკლება.

მსუქანია თუ გამხდარის იჭრიალა ნეკნებმა,
სულ ერთია, მაინც წახვალ, დრო მაინც არ გექნება,
ასი წელიც რომ იცოცხლო, სხეული ხომ ბერდება,
მიდიხარ და მიღიღინებ და თანდათან ბნელდება.

დედამიწა კი ტრიალებს, არსად არა ჩერდება,
ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ტკივილებიც ნელდება.
ოცნებებიც მშრალზე რჩება, ზოგჯერ ფიქრიც სველდება,
კეთილი ხარ? გაიხარე, სიხარულიც ბევრდება.

კარგ ღვინოს თუ ელოდები, ის ერთ წელში ძველდება,
პეპელა ხომ ერთ ღამეში, ერთ ღამეში ბერდება,
უძლეველი საუკუნე, ერთი წამი გრძელდება,
ცხოვრებაში ყველა ერთხელ, ერთხელ მაინც ჩერდება!

საბოლოოდ რას ვღებულობთ, გულზე დარდი მედება,
ცხოვრებამ კი გაიფრინა, როგორც თეთრმა გედებმა,
უფალს შევთხოვთ, ცოდვილნი ვართ, სული ცაში გრძელდება,
წრფელი ლოცვით ზეცას აღწევს, ისე არ დაბნელდება.

ომებში ბავშვმა ცრემლი დაღვარა

გული ატირდა, ცრემლიც მომადგა,
ვერ ავამღერე დაფი-ნაღარა,

სანთელთან ვიგრძენ სიწმინდის ძალა,
მე უკვე ბავშვი არ ვარ, აღარა!
სანამ აქლემი კვლავ დაიჩოქებს,
ფიქრებმა გრძნობა მაინც დაღარა,
გული ატირდა მაინც ქართველის,
ომებში ბავშვმა ცრემლი დაღვარა.
და კვლავ ატირდა დედური გრძნობა,
გარდაცვლილ სხეულს მიწა აყარა,
რა დაგიშავეთ, ხალხი არა ხართ?
გულამოსკვნილი ტირის პატარა.
სიცოცხლეს რასაც ბუნება გვაძლევს,
ბუნება გლოცავს და ეს არ კმარა,
გამხეცებული ველური ტომი,
არაკაცურად სიცოცხლეს გპარავს.

ნება ვინ მისცა ასე მოქცევის,
ნაქურდალს იყოფს, უბეში მალავს,
იცოდეთ, პასუხს უფალი მოგთხოვთ,
კუპრით დაგსჯიან სიცოცხლის მპარავს!
ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს,
ალალი კაცი ბაღჩაში ბარავს,
თავის ნაშრომით ცხოვრობს ალალად,
ნელ-ნელა აცლის სევდიან კალამს.

შენ მიადგები სახე უმგვანო,
ვენახს გააცლი უმწიფარ წალამს,
მომავალს ჩაკლავ, არც ატირდები,
გმირობით აღწერ უმგვანო ნანახს.
ტოტს თუ მოაჭრით, არაკაცებო,
ფესვებით მაინც გადგიხდით ამაგს,
ლომგული ხარი არ დაიჩოქებს,
და არ დაუშვებს სიცოცხლის ალამს!

გაუწოდეთ ხელი ძმობას

დავიბადე მარტოხელა, ეული,
მთლად შიშველი, უსუსური, პატარა,
სიღარიბეს მივეჩვიე თავიდან,
ამ ცხოვრებამ უქონელი მატარა.
სიბერემდე მოკლე გზებით ვიარე,
ფიქრებმა კი მაინც ძლიერ დამღალა,
არ დავეძებ, მე სიმდიდრე არ მინდა,
უფულობით კაცი არსად წამხდარა.

სიყვარული დამებედა თავიდან,
ჩემი გულის ის მიზანი გამხდარა,
გრძნობით შევსვამ სადღეგრძელოს რიხიანს,
სიმართლე ხომ ჭეშმარიტად ამხდარა.

სიყვარული – ეს ნაკურთხი სიმდიდრე,
მის გარეშე არაფერი მომხდარა,
ფული მოვა, ფული წავა, ინანებ,
იგი უფრო უნამუსო გამხდარა.

დაეუფლა კაცის ჭკუას, გონებას,
რაც მეტი აქვს, უფრო მეტსაც დახარბდა
და დადუმდა კაცის აზრი პატარა,
სიმდიდრეში მისი გრძნობა გაქვავდა.

კაცი თუ ხარ, ხელს რა გიშლის, ვიცოდე,
სიყვარული ფულზე ძლიერ აყვავდა,
სულს წინ უსწრებს, როცა კაცზე საუბრობ,
სილამაზეც უფრო მეტად გამყარდა.

არაფერი გამაჩნია მე მეტი,
არაფერიც სხვა არ მინდა, არადა,
იდღეგრძელეთ, სიკეთე ჰქმენთ, იხარეთ,
განა ვინმე დავიბადეთ ყვავადა?!

დრო გავიდა, გავიარე მე წლები,
ისევა ვარ სიყვარულით ავადა,
გაუწოდეთ ხელი ძმობას, სიკეთეს,
გაიხარებთ, დარწმუნდებით თავადა!
დავიბადე მარტოხელა, ეული,
მთლად შიშველი, უსუსური, პატარა,
სიღარიბეს მივეჩვიე თავიდან,
მაგრამ ძმობამ მაინც გულით მატარა.

ესტაფეტა

გამიფრინდა უცებ წლები და ბოლოში გავიდა,
გავიარე ჩუმად გზები, ეს ცხოვრებაც წავიდა.
ხან დაეშვა მყისიერად, ხანაც მაღლა ავიდა,
ახლიდანაც რომ მიწევდეს, არ დავიწყებ თავიდან.

ვატყობ უკვე ფინიშია, სულში ძლიერ აცივდა,
ესტაფეტას მე გადავცემ, ჩვენ სხვაგვარად არ გვინდა,

მოგონებად გადაიქცა სამება და მთაწმინდა,
უფლის კალთა გვაფარია, დღეს ხომ ძლიერ გაწვიმდა.

ასეთია ეს ცხოვრება, ვერ გაიგო ვერავინ,
ალბათ, უკვე დაიღალა ჩემი ტატოს მერანი,
თავზე გვადგას ავბედითი, შავი ყვავი ვერანი,
უფლის სახელს გავუფრთხილდეთ, ღვთისშვილნი ვართ ყველანი.

რაც ვიარე მონაკვეთი, გამივლია თვალია,
გავიხედავ, გავიფიქრებ, რაც რამ გადამხდენია,
ბევრი იყო ოღრო-ჩოღრო, გულს იარა მწვავეა,
ესტაფეტა არ დავკარგე, დასაწყისში მწარეა.

სიბერეში უფრო მეტად ფიქრი მოდის თავიდან,
რაც გვიყვარდა ბავშვობაში, იგი უკვე წავიდა,
აზრი, ჭკუა და გონება უფრო გრძნობით მოვიდა
და ახალი გაზაფხული უკვე ზამთარს თოვლიდა.
ყველას მინდა მივულოცო, ვინც რომ კაცურ იარა,
ვინც ბედმა თუ უბედობამ ვერსად დაატრიალა,
ვაჟკაცური ნაბიჯებით მის კვალდაკვალ იარა
და მოყვასის სიყვარულით ზეცა გააკრიალა.

გამიფრინდა უცებ წლები, თვალიც გაქრა ბრიალა,
გავიარე ჩემით გზები, უცებ ჩამიქრიალა,
ხმა ჩამიქრა რიხიანი, ხანაც არის კრიალა,
ჩქარა მოდის ეს სიბერე, მან არ დააგვიანა.

ორი დრო

დრო შეყრისა და დრო განშორების,
შუა ჩამდგარა ცხოვრება ჩვენი,
ეს შუალედი ერთად მოვდივართ,
ლოცვებს აღავლენს ჩვენი გამჩენი.
ეს ის დრო არის, რასაც ჩვენ ვეტრფით,
რასაც კი შექმნის ჩვენი მარჯვენი
და ამ მონაკვეთს ჩვენ ვიხანგრძლივებთ,
სიხალისით და ჩვენი ტანჯვებით.
რაგინდ რომ ძნელი გქონდეს ცხოვრება,
დროის შენ იყო ფუჭი მხარჯველი,
შენ მაინც ცდილობ, დიდხანს იცოცხლო,
ზარმაცსაც უნდა, ფიქრობს გამრჯენიც.
ეს შუალედი ოქროს ხანაა,
დრო მაინც მიჰქრის, დრონი ფიცხელი,
რა გინდ ეცადო, ვერ შეაჩერებ,
მაინც ჩამოჰყრის დროის მრიცხველი.
ჩვენს გაჩენაზე სხვას უწვალია,

ოცნებით გვზრდიდა ჩვენი გამზრდელი,
დაუკითხავად მოვედით ასე,
შეხვედრის დღიდან, დროის ამთვლელი.
რა უცაბედი გაცნობა იყო,
ყველა გავიცან, ყველა მომსვლელი,
და განშორების დრომდე ვიქნებით,
ერთად ვიცხოვრებთ ყველა წამსვლელი.
დრო შეყრისა და დრო განშორების,
შუა ჩამდგარა ცხოვრება ჩვენი,
ამ შუალედში ჩვენ ვმოგზაურობთ,
ღმერთო, დალოცე ჩვენი გამჩენი!

დამისხით ღვინო

გულით მომინდა, დამისხით ღვინო,
სევდას ჩავიხშობ კეთილ სასმელში,
დარდს გადავიყრი, გრძნობებს ავიშლი,
აღარ დავდნები ჩუმად დარდებში.

და ყველაფერი, რაც იყო წეღან,
ის სიდუხჭირე, აზრები ცუდი,
ისე გამიქრა, თითქოს არც იყო,
თითქოს არც იყო, წუხილი მიდის.

ღვინის სიფიცხე თავისას იზამს
და გაგიქრება გრძნობა სიმშვიდის,
დარდით გადაღლილ გულს ეშველება,
ნელ-ნელა დრონი წამებს დაითვლის.

სამშობლოს გრძნობა გაძლიერდება,
ზეცას მიაღწევს ეს სიყვარული,
ცხოვრება ნათელ ფიქრებით მათრობს,
ყველას ატყვევებს ეს სიხარული.

მაიტა ღვინო, განა მთვრალი ვარ,
სილაღე მიპყრობს, აზრთა ტრიალი,
სანთელს ავანთებ, დარდებს გავიქრობ,
კვლავ გაგრძელდება ჩვენი გრიალი.

ასე გრიალით, მშფოთვარე გულით
მივალ, მივარღვევ ტალღებს ცხოვრების,
შენ, ჩემო გულო, ნუ დაწყნარდები,
ფრთები გაშალე ჩემი ოცნების.

ერთიც ლიპლიპა ასწიეთ ყველამ,
შენდობას ვიტყვი წასულ გმირების,
მათი სახელის ხსენება იყოს
დიდება იყოს მამაც შვილების!

ბებერი გული არ დაიღლება,
ნუ გეშინიათ, კიდევ დამისხით!
ეჰ, მომაწოდეთ, სავსე ფიალა,
სამშობლოს სითბო მკერდზე ავისხი.

კიდევ და კიდევ შემივსეთ ჯიხვი,
სევდას ჩავიხშობ წმინდა სასმელში,
უფალს ვახსენებ, წუხილს გავიქრობ,
აღარ ვიომებ ჩემთვის ფიქრებში.

ხარი

ხარმა სთქვა მხარბეჭიანმა,
მე ვაჟკაცობა მატირებს,
არასდროს არსად შევდრკები,
მხოლოდ წითელი მაფიქრებს.
რადგანაც ვხედავ იქ წვეთებს,
მარტო სისხლი რომ მაცილებს,
ჩემი უდრეკი ცხოვრების,
ფიქრები თან მიმაცილებს.

არ დავიღლები არასდროს,
ფეხზე მოვიბავ მე რკინებს,
გავწევ, მოვხნავ და დავთესავ
და გავახარებ ჩვენს გმირებს.

ტორეადორებს არ ვუფრთხი,
არ ვუფრთხი მე ცხელ ტყვიასა,
ამ მინდორ-ველებს გადავხნავ,
ჩემს მკერდს მივუშვერ ნიავსა.

ასეთი ბედი მე მერგო,
თუ დავიბადე ხარადა,
უნდა ვიშრომო, ვიომო,
ჩემს გვარის გასახარადა.

მხარზე ავისხამ მე ჯაჭვსა,
კისერს დავიდგამ უღელსა,
მთაზე მივიწევ, ვაშენებ,

ლომისას, ჩვენს სალოცავსა.

სანამ ვარ, ასე ვიქნები,
ანდა მოვკვდები ხარადა,
შენ, ჩემო თავო ბედკრულო,
არ დაამთავრო ბალადა.

გავსწევ, გავიტან ლელოსა,
არას დაგიდევ არადა,
ძალა მაქვს, ასე ვიცხოვრებ,
დავბადებულვარ ხარადა!

მგოსანთა სავანე

ქართველთ სიწმინდის სავანე,
სახელი ქართლის ხვედრია,
ამაყად მდგარი მთაწმინდა
სხვაგვარი არ შემხვედრია.
    დედაქალაქის ბურჯად დგას,
    თბილისს ამაყი ქედია,
    დგას ვით ბრწყინვალე ვარსკვლავი,
    ფრენს ვით მშვიდობის მტრედია.
მან დედასავით მზრუნველად
უბე გაუხსნა გმირებსა,
გულში იხუტებს, არ უშვებს,
ქართველთ ბრწყინვალე შვილებსა.
    ის ჩვენი პოეზიაა
    და ჩვენი პროზა ლამაზი,
    ერთად შეყრილან ყველანი,
    მთელი მგოსანთა დარბაზი.
იდუმალ ფიქრთა ჭიდილში
ფრაზები ფრენენ ცაშია,
ერთად დაუთქვამთ შეხვედრა,
ერთად შეყრილან მთაშია.
    თბილისს პატრონობს ყველანი,
    ყველას აქვს თავის ფასია,
    მათი სიბრძნე და ჭიდილი
    არ გაიცვლება სხვაშია.
მათ შექმნეს მთელი სამყარო,
ქართველთ უმღერენ ნანასა,
თავს აფარებენ მთაწმინდას,
ეფერებიან ყველასა.
გამოდით, ქართველთ მგოსანნო,
ერს გაუჭირდა მეტადა,
გამოდით, სიტყვა აფრინეთ,

რომ კვლავ შევიკრათ ერთადა!
        თქვენს სიტყვას დიდი ფასი აქვს,
        მიტომც მოვედი თქვენთანა,
        მამა დავითი დაგვლოცავს,
        არ დავმარცხდებით მტერთანა.
გეყოთ ძილი და სიწყნარე,
გამოდით ქართველ ერთანა,
სიტყვა გვითხარით კაცურად
და ჩვენც მოვისმენთ ერთადა.
        ვაი, რომ მიწა გაყრიათ,
        სიტყვა არ მოდის ჩვენთანა,
        თქვენს ნაკვალევზე გავივლით,
        თავს არ შევირცხვენთ მტერთანა.
ჩვენ მუხლმოდრეკით მოვდივართ,
სანთელს აგინთებთ ყველგანა,
ჩახუტებიხართ მთაწმინდას,
გამორჩეულნო ჩვენგანა.

ნიკორწმინდა

როცა აინთო მაღლით ვარსკვლავნი,
მიმოიჭედა ზეცის კალთაში,
მთვარემ ამაყად გამოანათა,
ფეხით ავედი მაღლა რაჭაში.

პირველად მიველ ნიკორწმინდაში,
რა დიდებული სალოცავია,
უფალს შეჰყურებს, ზეცა განაგებს,
ხელით ნაქარგი საოცნებოა.
ზღაპრად ქცეულა ეს სილამაზე,
და მის დევგმირად თავი მიცვნია,
მე მთვარის შუქზე გული მევსება,
ქართული ჯიში ღმერთსაც უცვნია.

სალოცავს ვუვლი მუხლისჩოქებით,
ხელებაწვდილი ღმერთს ვევედრები,
შენ გადმოხედე ჩვენს საქართველოს,
ღამეს ვათენებ უფლის ვედრებით.

აღვსილი სულით, სპეტაკი გულით,
ხელი შევახე ფრესკას მადლიანს,
უმალვე თითქოს იგი გაცოცხლდა,
მესაუბრება თვალებნაღვლიანს.

დალოცვილ იყავნ, _ მოისმა ზეცით
და ქონგურებმაც გამოსცეს ბანი,
ერთხმად გაისმა ლოცვანი ნაზი,
ეს ხომ სიცოცხლე, სიკეთე არი.

ნუ გეშინიათ, კვლავ გაბრწყინდებით,
მხოლოდ უფალი იწამეთ ყველამ,
ქრისტიანობა თქვენი ფარია,
ერთად ილოცეთ ქართველმა ერმა.

გარეთ გამოველ გაბრწყინებული,
ამ იმედებით გული ნათდება,
ღმერთი არასდროს არ მიგვატოვებს,
ქართველთა რწმენა ისევ აღდგება.

მედიდურ მთებსაც რომ გადავხედე,
სიამაყით რომ ზეცით დამყურებს,
ქართველი მუდამ ვაჟკაცი არის,
ცრემლი მეღვრება მთების შემყურეს.
რაჭულ სიდინჯით მიმოვიხედე,
ღმერთო, დაგვლოცე, დედაო წმინდავ!
და იმედებით აღვსილნი მუდამ,
ჩვენ შემოგყურებთ, შენ ნიკორწმინდავ!

როცა აინთო, მაღლით ვარსკვლავნი,
მიმოიჭედა ზეცის კალთაში,
ქართველი ერი უფალს შევთხოვე,
ისე დალოცე, როგორც რაჭაში.

სანთელი

ცხელი ცრემლები სცვივა,
სტირის ის ჩუმად, მალვით,
როგორც სანთელი სტირის,
არ უტირია არვის!
        იგი ლოცვაში დნება,
        სიყვარული აქვს ხალხის,
        გულში ლოცულობს ჩუმად,
        პირჯვარს აღავლენს ცამდის.
ის დაიბადა ლოცვად,
სულ სიყვარულში დაჰქრის,
სიცოცხლე უძღვნას მერმისს,
სიკეთისათვის გაქრეს.
        ნაზი სურნელი ასდის,

წყნარად აკეთებს საქმეს,
ხმის გაუღებლად ელავს,
უკუნ სიბნელეს ანგრევს.
ის გზას უნათებს ყველას,
სინათლის სხივებს აფრქვევს,
ლოცვას აღავლენს წყნარად,
მას სიყვარული მართებს.
მდუღარე ცრემლით სტირის,
ღმერთს ვთხოვ, არასდროს ჩაქრეს,
ღამის წყვდიადის მეფეს,
მორწმუნე მუდამ ანთებს.
ღმერთო, დალოცე ერი,
სანთელი ადგამს ნათელს,
ლოცვად იღვრება ცრემლი,
დიდი ძალა აქვს სანთელს!
ბოროტი ვერსად ჩნდება,
თავი არა აქვს მალვის,
როგორც სანთელი სტირის,
არ უტირია არვის!

მეგობრობას გაუმარჯოს!

ბილიკებზე ამოსულა ბალახი,
არწივები ვეღარ ფრენენ ცაში,
მგელიც ისე ვეღარ მგელობს, ვუყურებ,
ეშვი სადღაც გაცვეთია გზაში.

მყვირალობა აღარ ისმის ირმების,
დათვმაც ვეღარ გაიწია განში,
სად გაგვიქრა ნადირიც და ფრინველიც,
ალბათ, რაღაც მათ უაზრათ ტანში.

ჯიხვი ქარაფს აღარ დგება ამაყად,
ფოცხვერიც კი აღარ მოჩანს ტყეში,
ბულბულებსაც აღარ უნდათ სიმღერა,
ციყვებიც კი აღარ ძვრება ხეში.
მუხებსაც კი გასცვენია ფოთლები,
გარეულ ტახს მოსტეხია ეშვი,
ნადირსაც კი ვეღარ მისდევს მწევარი,
დაგდებულა, როგორც მკვდარი, ლეში.

ყველას ერთად გადაედო წუხილი,
ცეცხლის ალი ავარდნილა ტყეში,
ხალხსაც ერთად მოუწამლავთ თავები

და მოყვარე აგვრევია მტერში.

ამ აღმართის ბოლო ეტაპს გავივლით,
მტერსაც ლუკმა ეჩხირება ყელში,
მალე უკვე აღმართს უნდა ავუყვეთ,
სიდიადემ გაიელვოს ჩვენში.

ბევრჯერ ცუდი საქართველოს უნახავს,
ჩავარდნილა ხშირად ასეთ დღეში,
გაჭირვებას ისევ ისე გაუძლებს
და ნადირიც გაიშლება ტყეში.

განათდება, გაბრწყინდება ქვეყანა
და ანკარა წყალიც მოჩანს ხევში,
მშრომელ კაცსაც დავულოცავთ მარჯვენას,
ღვინომ მუდამ ილიცლიცოს ქვევრში.

დღეს კი როცა გაჭირვების ჟამი დგას,
ჩვენ დავუდგეთ ყველა ერთურთს გვერდში,
საქართველოს სილამაზეს დიდება,
მეგობრობას გაუმარჯოს ჩვენში!

რა სწრაფად გადის

გაზაფხულამდე ცოტა დრო დარჩა,
ერთი საათი ან ერთი წამი,
სულში შეგვცივდა, გული ღონდება,
შემოდგომამაც მიხურა კარი.

მხოლოდ ჩვენ გვინდა, მზე იყოს მუდამ,
ზამთრის გატანის აღარ გვაქვს თავი,
დამზრალი გული, თოვლის ფიფქები,
სუსხს ველოდებით, გვეწვება კანი.

გაზაფხული კი მოგვიტანს შვებას,
იმედი ჩნდება, იმედი მყარი,
გამთბარი სული გაათბობს სხეულს,
ეს აღმაფრენა იწყება ხვალის.

და გაზაფხულიც მალე გაივლის,
შემდეგ ზაფხულის დაჰბერავს ქარი,
კვლავ შემოდგომა, ისევ ზამთარი,
ჩვენც გვიხარია, ეჰ, ჩვენი ბრალი!

რა სწრაფად გადის წუთისოფელი,
დრო ისე დაჰქრის, მოექცა მხარი,
ახალგაზრდა ხარ, ხვალ კი – მოხუცი,
სიტკბოზე მეტი სიმწარე არი.

გაზაფხულამდე დარჩა ოთხი თვე,
ისე გაივლის, ვით ოთხი წამი,
უცებ ჩამოჰყრის, გააქრობს ისევ,
ნუღარ მაფიქრებთ, აღარ მაქვს თავი!

გასაცემი გაეც, კარგო!

სულ ვთხოულობთ ჩვენ სხვისაგან,
გაცემა კი არ გვინდა,
სიცოცხლე ხომ, როცა გავჩნდით,
ჩვენ გვაჩუქეს თავიდან.

და დაგვმოძღვრეს რომ სიკეთე,
დაგვენათლა მაღლიდან,
რაც რომ გასცე, არ გაკლდება,
შეივსება მადლიდან.

ასე იყო ცივ ზამთარში,
თოვლი მუდამ ბარდნიდა,
როდის იყო სიცივეში,
კაცი ყანას მარგლიდა?!

როცა დროა, უსაშველე,
ეს ისწავლე კარგისგან,
მუდამ რაღაც მოიფიქრე,
დაიხსენი დარდისგან.

დღეს ხომ ყველას გაუჭირდა,
სხვა სიმდიდრე არ გვინდა,
ყველას უნდა დაეფარო,
ისე ძლიერ გაწვიმდა.

დრო მოვა და გადაიღებს,
წვიმა მეტი არ გვინდა,
ჩვენი ქვეყნის შვილები ვართ,
ჩვენს გულშიაც აცივდა.
საჩუქარი თავში მოგვცეს,
ხეს ფოთლები გასცვივდა,

გასაცემი გაეც, კარგო,
მას ხომ ღმერთი გვაწვდიდა.

მოვეფეროთ ჩვენ ერთმანეთს,
ყველა რატომ გაცივდა?!
ძმობის ღუმელს რომ ვანთებდით,
ფიფქიც თბილად გვაცვივდა.

ყველა თავისას ბედავს

სიცოცხლე, ბრძოლით ნაქარგი,
ფიქრში გაგყვება დიდხანს,
მთვარიან ღამეს შევნატრით,
მზეც სხივებს ჩვენთვის ბერტყავს.

ქარვა გაჩნდება მტევანზე,
ოცნება ელავს ერთხანს,
აქოჩრილ მწვანე ნაძვის ხეს,
დრო უმოწყალოდ ხერხავს.

სიცოცხლე მაინც კეკლუცობს,
თვალი საამოს ხედავს,
მჭედელი გრდემლთან დამდგარა,
მომავალს დარტყმით ჭედავს.

ცვარი მოცურავს საამოდ,
ისიც არ მოსწონს ცვედანს,
რა გინდ სიკეთე აკეთო,
მაინც გაგინებს დედას.
წელჩამოქნილი ასული,
შინდის ტოტივით ღვედავს,
თვალის სხივებით გეძახის,
მერე მისასვლელს კეტავს.

ლოყას მოგადებს ლოყაზე,
დროსაც გააქრობს ნეტარს,
გინდ დაუყვავე, სად მიხვალ,
რად დაემსგავსე ქედანს.

შენ გიყვარს, ის კი გაფრინდა,
მომავალს სხვაგვარ ხედავს,
ასეა ჩვენი ცხოვრება,
ყველა თავისას ბედავს.

გასაუბრება მყინვართან

დაბერებულხარ, მყინვარო,
თეთრად გიბრწყინავს წვერიო,
რამდენი რამე გინახავს,
წყნარად ხარ, არა მღერიო.
        შენთვისა ზიხარ ლამაზად,
        ქარი გივარცხნის თმასაო,
        შენებრ ლამაზი ჭაღარა
        ძლიერ უხდება მთასაო.
გათამამება არ გიყვარს
მაგ შენი სიბრძნის პატრონსა,
დიდ პატივსა გცემს ყველანი
თეთრწვერა ვაჟკაც ბატონსა.
        შენ ხომ სახელი გაითქვი
        შენი ბუხუნა ხმითაო,
        ძმები გარტყია გარშემო,
        ძმა ძლიერია ძმითაო.
სტუმარიც ბევრი მაგიდის,
ყველას აოცებ ნახვითა,
წყნარად დაჰყურებ ზევიდან
შენი ლამაზი სახითა.
        ქარბუქი გულ-მკერდს გიგრილებს,
        რაღაზე ბრაზობ ხშირადო?!
        ვინც ჩაიხედავს შენს გულში,
        ცრემლები მაგდის წვიმადო.
რაც გინახია ამ ქვეყნად,
ბარე ეყოფა ას მთასო,
თმები გათეთრდა ამ ფიქრში,
რა ეშველება ჩვენ ხალხსო.
        საშველი მუდამაც არის,
        გავახალისოთ ერიო,
        გამოცდილება გვაკლია,
        შენებრ ჭაღარა წვერიო.
მოგვეც უფლება, მოვიდეთ,
შენს მთაზე შავდგათ ფეხიო,
კითხვები ბევრი დაგროვდა,
პასუხს არვისგან ველიო.
        ვიცი, რომ არ მიგვატოვებ,
        იმედები გვაქვს თქვენიო,
        შენი ლამაზი თმა-წვერით
        ჩვენ დაგვილოცე ერიო.

დილის საარი

დილის საარს მზეც ამოჰყვა ნეტარებით,
ცვრიან ბალახს შეურია სხივები,
სილამაზე მოაფინა ქალაქურად,
მტკვარზე წყნარად გამოცურდნენ ტივები.
ქედმაღლურად უსტაბაშმაც გაიღვიძა,
გადახედა _ მოუკირწყლავთ ქუჩები,
ქარი ნაზად აფარფატებს ჭადრის ფოთლებს,
ალამაზებს ქალაქს ამქრის ბიჭები.

მედუდუკევ, შენებურად ჩაუბერე,
დილის საარს ააყოლე ეს ხმები,
უშენობით ქალაქს, აბა, რა ფასი აქვს?
დუდუკებით გაგივლია ეს წლები.

კიდევ ერთხელ შევუბეროთ ლოთიანად,
მტკვარზე უკვე გველოდება ტივები,
შენ გაფიცებ ვერცხლის ქამარს, დაუკარი,
ააჟღერე ჩვენი სულის სიმები!

ყარაჩოხლებს ქუდი კაცურ მოურგიათ,
ვაჟკაცურად ალამაზებთ ჩოხები,
დილის საარს ყველა უსმენს განაბული,
მე კი წავალ, მტკვართან დაგელოდები.

უსტაბაშის სიტყვას მაინც სხვა ფასი აქვს,
დაწყებულა ქალაქს ძმობის დღეები,
პატივი ვცეთ, დავაფასოთ ერთმანეთი,
მოდი, ძმაო, მე შენ გენაცვალები.

ლამაზ დილას ძმები ისევ ერთად ხვდება,
კიდევ მოვლენ, შევიყრებით ბევრები,
სიტყვა ყველგან, რომ კაცურად ითქმებოდეს
რომ კაცურად შეიყაროს ეს გზები.

დილის საარს მზეც ამოჰყვა ნეტარებით,
გაანათა, გააბრწყინა სხივები,
სილამაზე მოაფინა ქალაქურად,
ქალაქურად ქეიფობენ ბიჭები.

მეტეხის ხიდი

დუდუნებს მტკვარი, ნელი და მშვიდი,
მას ძმად დაჰყურებს მეტეხის ხიდი,
ქრისტეს ტირილი მათ ნახეს დიდი,
მოგონებები, დღეს ცრემლად მიდის.

მტერო, იძახდი «მიდი და მიდი»,
ქართველთა სხეულს შენ მტკვარში ჰყრიდი,
ქრისტეს ერთგულებს სიკვდილით სჯიდი,
მართლმადიდებლებს, ხმალ-ხანჯლით ცდიდი.

აღმსარებლობას მაინც ვერ ცვლიდი,
თუნდ დააცალეთ ისრების მჭიდი,
ხმლის ერთი დარტყმით თავებს რომ ჭრიდი,
შენს ბოროტ სახეს სიამეს ჰგვრიდი.

ასიათასებს უსულოს თვლიდი,
ქართველთ სიცოცხლეს ქვიშისთვის ცრიდი,
ვერ აისრულე ოცნება ფლიდი,
ჭეშმარიტ რწმენას ვერასგზით შლიდი!

მტრის აღზევება დაემხო დიდი,
მტკვარი კი ისევ დუდუნებს მშვიდი,
ღმერთმა დალოცა ქრისტეთა მკვიდრი,
ქართველთ ზეობის ისევ დგას ხიდი.

სიცოცხლის ნაპირი

ნაპირს გასცდა საოცნებო თეთრი გემი,
წყნარად მიდის, ოცნებები ჩემი ბედის.
ჩამოდგა და წაფარფატდა, როგორც მტრედი,
ვეღარ ვასწრებ ვერც სიმღერას თეთრი გედის.
ეს გემი ხომ სინათლეა ჩემი მერმის,
უკვდავება, ალბათ უკვე დიდხანს მელის,
ეჰ, რამდენი, რა საოცრად მიცოცხლია,
ცხოვრებისგან მე არაფერს აღარ ველი.
დრო მოვიდა, ჩემმა გემმაც მიმატოვა,
ყველაფერს აქვს საწყისი და სასრული,
როცა იდგა, რა ლამაზად მიცხოვრია,
აღარ მახსოვს, დამავიწყდა წარსული.
დამავიწყდა, დამავიწყდა ყველაფერი,
აღარ მახსოვს მე სიცოცხლის ნაპირი,
მანაც ნელა, ისე წყნარად მიმატოვა,
ცრემლი მომდის, მაგრამ მაინც არ ვტირი.
ცხოვრება ხომ სულ ჭიდილში გავატარე,

ჩემი გემი მაინც იდგა ამაყად,
ახლა რა ვქნა, როცა მანაც მიმატოვა
და დამთავრდა ამ ცხოვრების ბალადა.
მოცურდება ნაპირს ახლა სხვა გემები,
მოვლიან და შეავსებენ ზღვის ნაპირს,
ჩემებია, ხომ სუყველა ჩემებია?!
არაფერი, არაფერიც აღარ მჭირს!
ჩემი გემიც ხომ შორიდან შემოივლის,
აქ შემოსვლით გაანათებს ზღვის ნაპირს,
რა ლამაზად, რა ლამაზად მიცხოვრია,
არაფერი, არაფერიც არ მიჭირს!

სიზმარი

ფიქრმა ძლიერ დამამძიმა,
ოცნებებში წამიღო,
ნაფიქრალი კარებს კეტავს,
სიზმარმა კი გამიღო.
უცებ ყველა შეიცვალა,
იყო და არა იყო,
ჩემმა ფიქრმა ფრთა შეისხა,
მტერიც ძმა გამხდარიყო.

საქართველო გამთლიანდა,
ერთ მუშტად შეკრულიყო,
ნასისხლარი ჩვენი მიწა,
სხვამ ვერავინ წაიღო.

ქართველები ილხენს ერთად,
დოლ-გარმონის ხმა იყო,
მტერი ჩვენთან შემოჭრილი,
სულ სადღაც გამქრალიყო.

ყველას ერთად უხარია,
ძმობის დღე დამდგარიყო,
უცხო სიტყვის რახარუხი,
ჩვენთან აღარა იყო.

ზამთრის სუსხი დაიკარგა,
ბულბულების ხმა იყო,
ქართველები ილხენს ერთად,
გაზაფხული მდგარიყო.

რაც რომ ცხადში გავიფიქრე,

რაც რომ გულში სულ იყო,
სიზმრად მოდის ნეტარებით,
იყო და არა იყო.

ფიქრმა ძლიერ დამამძიმა,
ოცნებებში წამიღო,
ცხადმა კარი მომიხურა,
სიზმარმა კი გამიღო.

ქუთაისო

საქართველო, სილამაზით განთქმულო,
ქუთაისო, ტრადიციის მშვენებავ,
პურ-მარილის, ლხინის დამბადებელო,
უშენობით, აბა, რა გვეშველება?!

მეგობრობა დაგებედა თავიდან,
სიყვარულით გულში სულ გემღერება,
დაილოცოს შენი მადლი, სიკეთე,
იმერეთის პეწის გამობრწყინებავ!

ისტორია კრძალვით შემოგვინახე,
საქართველო მუდამ შენ გეფერება,
მოწამეთას, გელათს, ბაგრატის ტაძარს,
ძმებად უდგას სამება და მთაწმინდა.

დაილოცოს შენი ფუძე კაცური,
სიტყვის ფასით განთქმული ხარ თავიდან,
უფლის კალთა გაფარია დალოცვილს,
ლოცვის მადლი კვლავ ზეცაში ავიდა.

სუფრას გაშლი, მადლიანად, ალალად,
უფლის ლოცვას შენ აღავლენ თავიდან,
მეგობრობის სიყვარულში დაღვინდი,
მაშ, დავლოცოთ შევუბეროთ, წავიდა!

გაზაფხულმა ცოტა დაიგვიანა,
ქვეყანაში ისევ ძლიერ გაწვიმდა,
იმედი გვაქვს ქუთაისი მიხედავს
და სიყვარულს ჩვენ დავიწყებთ თავიდან.

იმერეთო, სიყვარულით განთქმულო,
ქუთაისო, მასპინძლობის მშვენებავ,
ვაჟკაცობის ტრადიციას აგრძელებ,

უშენობით, აბა, რა გვეშველება!

ყვირილა

ყველა დროებას მოვესწარ,
მაინც მოვდივარ მე _ შავი,
ყვირილა ვარო _ ვყვირივარ,
მხოლოდ ამტკივდა ეს თავი.
ჩემს გულში თუ ჩაიხედავ,
არა ვარ, არა, მე ავი,
ერთ-ორჯერ თუ გამაბრაზეს,
გავრიყე ოცნების ნავი.

მოვდივარ, მოვალამაზებ,
ქვეყნად არვინ მყავს ბადალი,
მხოლოდ ფერია რომ მიშლის,
თევზი მყავს არვის სადარი.
მაინც ზესტაფონს ვეკუთვნი,
თუმცა ბევრი მაქვს საზღვარი,
სულ დაღვრემილი მივცურავ,
სულში კი არ მაქვს ავდარი.

შორიდან სულ გეფერებით,
თუმცა, თქვენთან მაქვს «საყდარი»,
რა ვქნა, რომ ეს დამანათლეს,
ნელა ჩიფჩიფებს ღადარი.
მე თეთრი გულით დაგლოცავთ,
მუდამ იყავით მართალნი,
აქ, ზესტაფონში, მაინც ვარ
მდინარის შავი სარდალი!

ბატონ ოთარ გელაძეს

უფლის შეწევნა თქვენია,
ვაჟკაცნო, მოხევეებო,
გარბანლებო და სივანნო,
სნოველნო, აჩხოტელებო.
    უფლისა კალთა გფარავდეთ,
    სულიან _ გულიანაო,
    ჩვენი კარიბჭის დამცველნო,
    თოფიან _ ხმალიანაო.
უწმინდესს ჩვენ ქედს მოვუხრით,
მთას მადლმა დაიარაო,

მოხევეების გაზრდილმა,
ქართველნი დაიფარაო.
ერთი მოხევე გავიცან,
ცხვარმა მთა გადაფარაო,
მაღალი, გულით ვაჟკაცი,
მთას მადლი დაატანაო.
ხუთი ვაჟკაცი დაუდის,
სულ დარჩეული ჰყვანანო,
კაცური სიტყვა მაუდის,
ლექსებს აყოლებს თანაო.
შენებრ მამაცი, ოთარი,
მთას უხდებიანა თანაო,
ხუთი ვაჟკაცის გამჩენო,
ცოტა გვყავს შენისთანაო.
ღმერთმა დაგლოცოს მოხევე,
გმირების დედავ, ანაო!
უფალმა მაგ თქვენს ცხოვრებას,
მადლი ატანა თანაო.
სამშობლოს ბედის ტრიალმა
სიბრაზე შენც შეგყარაო,
დაწყნარდი, ღვინო გადაჰკარ,
სინანული კი კმარაო!
ვერას დაგაკლებს შენ მტერი,
თავს არ დაუხრი, არაო,
გულით იმღერე გელაძევ,
დიალო დარიალაო!

მე მოვალ

(დოდო ჭიჭინაძის ხსოვნას)

მე სიცოცხლეში ვერ მოგიტაცე,
ვერ წაგიყვანე, კარგო, ტაიჭით,
ჩემი ოცნება ვერ ავისრულე,
ვერ მოგეკარე ერთი ნაბიჯით.

ამ ცხოვრებამ კი გადაიარა,
ძლივსღა დავდივარ ხელში საბიჯგით,
ახალგაზრდობა სადღაც გაგვიქრა,
სიბერე მიდგას – როგორც ძმაბიჭი.

ელვარე თვალის სხივები მახსოვს,
მე იმ სითბოთი უკვე დავიწვი,
იარა დღემდე არ მორჩენილა,
მოგონება კი ისევ არ იწვის.

ის სილამაზე ღვთისგან ნაბოძი,
პატიოსნების და არა სიძვის,
კვლავ აკაშკაშებს დალეულ სახეს,
გიყურებ, ვგრძნობ და ძალიან მიკვირს.

ვერ მოგიტაცე, ვერც კი შეგეხე,
წლები გავიდა, ახლა კი მიჭირს,
მაგრამ იმედებს მაინც არ ვკარგავ,
იმ ცხოვრებაში მოვალ ვით ბიჭი _
გამოწკეპილი ქართული ჩოხით,
ხმალ-ხანჯლითა და შავი ტაიჭით...
და იმ ცხოვრების შავ სამყაროში,
უსასრულობას წავალთ ნაბიჯით.

ვარინკობა

როგორც მწიფე ლეღვი,
და ცვრიანი ქლიავი,
ისე გემრიელია
იმერული ნიავი.

დახუნძლული ხურმის ტოტი,
ციცქა მხარბეჭიანი,
იმერულად, «ბოშო, მოდი»,
და პასუხი წყლიანი.

საქართველოს შუაგული,
კოხტა მთაგორიანი,
გესალმებათ «ვარინკობა»,
ჩვენი მხარე მზიანი.

აქ აკაკის სახე მოჩანს,
ლამაზ თმაწვერიანი,
ვარინკა კი სიმს აკვნესებს,
ტირის თეთრბაფთიანი.

ისევ ისმის ნაზი ხმები,
და ხანჯლურის ტრიალი,
მოწიწებით თავის დაკვრა,
თეთრი კაბის ფრიალი.

ასე ვიცით ქართველებმა
მოლხენა და გრიალი,

ღმერთო, ერთად ადღეგრძელე,
სტუმარმასპინძლიანი!

სიყვარულის ანგელოზი,
სიმღერა ბანიანი,
იმერული პეწის სითბო,
თასში ღვინის ციალი.

გალამაზდა ჩვენი მხარე,
დღე დაუდგა მზიანი,
გეფერებათ ზესტაფონი,
როგორც გრილი ნიავი.

მონატრების მონატრება

მონატრების სურვილები,
აგვიდუღებს სულს,
გვენატრება ყველაფერი,
რაც რომ ძალზე გვსურს.

გვენატრება ის ბავშვობა,
არ იხსენებ ცუდს,
ცელქობისთვის როცა მამა,
აგიწევდა ყურს.

გენატრება დიდი გრძნობა,
რაც გიამებს სულს,
გვენატრება ყველა კარგი,
არაკაცი გვძულს.
ალბათ სხვასაც ენატრები,
შენი ნახვა სურს,
გაიხსენე სიყვარულით,
ნუ იფიქრებ ცუდს.

ცუდად არვის მოექცევი,
არ აკადრებ მტრულს,
მოეფერე, ადღეგრძელე,
გზა არ მისცე შურს.

ყველასათვის კარგი იყავ,
სიტყვა ჰგავდეს ძმურს,
ნუ იზამ და ამ ცხოვრებას,
შენ ნუ გახდი მგლურს.

ჭეშმარიტი სიყვარულით
გაახარებ გულს,
მონატრების მონატრებით,
სულს სიამე სურს.

შენ, ჩემო ნისლო

ხევში ჩამოწვა ნისლები ფიქრის,
რძისფერი ისლი, მდუმარედ მიჰქრის,
ხან შეყოვნდება და მოისვენებს,
სევდიან ფიქრებს მაინც არ იშლის.

ის არემარეს დუმილს მოაბნევს,
თვითონ იშლება და თვითონ იღვწის,
მოეფერება მთელ მთა-გარემოს,
ეს ხომ მდუმარე ნისლია ფიქრის.
გაუბედავად არაფერს გეტყვის,
მისი სიცოცხლეც არავის გვიკვირს,
ის გადამალავს, ზეგადასამალს,
კვლავ გამოჩნდება, კაცია სიტყვის.

გაფიქრებს, ნისლო, ჩვენი ცხოვრება?
არას შეიმჩნევ, აღარც კი იცდი,
საიდან მოხველ ან სად მიდიხარ?
შენიანები, ალბათ, შენც გიცდის.

მხრებს შემოავლებ, დანისლავ ისევ,
და მიქრიალებ, ზეცისკენ ილტვი,
მრავლისმნახველო, არაფრის მთქმელო,
გულდალეულო, ჰაერში იწვი.

შემახეთ ხელი

დამიდასტურე ცოცხალი რომ ვარ,
მომიახლოვდით, შემახეთ ხელი,
გაუგებრობის ბურუსი მახრჩობს,
გამოშტერების დამედო ფერი.

ვერა გავუგე ამ ჩვენს მომავალს,
და ვერ გავიშრე ფიქრები სველი,
თითქოს გვიცინის ჩვენი მოკეთე,
დავუკვირდები – ის არის მტერი.

ყველანი ცდილობს გამოგრჩეს რამეს
და მოტყუებას გიპირებს მტერი,
სულაც არ ნაღვლობს, თუ შეგაწუხა
და თუ შეგრჩება შენ თავი მრთელი.
ჩვენი ფიქრები ჩვენია მხოლოდ,
არ იზიარებს მსუნაგი, გველი,
მხოლოდ სხვა ფიქრობს როგორ მოვიქცეთ,
ჩვენ რა გვჭირდება ან რასა ველით.

გამოლენჩებით ვდგავართ და ვუსმენთ,
რას გვიკარნახებს ძალები ბნელი,
რობოტებივით თავსაც დავუქნევთ,
ხმა აღარა მაქვს, გამიშრა ყელი.

გამორჩეული ერი ვართ მუდამ,
შემოვიარეთ მსოფლიო მთელი,
ცხოვრების წესებს სხვები გვასწავლის,
სულ დაგვიჩლუნგდა მებრძოლი ერი.

დამიდასტურეთ ცოცხალი რომ ვარ,
ველარ გავიგე, რა უნდათ ჩვენი,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვარ,
ღმერთო მიშველე, შემახეთ ხელი!

სევდიანი მთიელი

(გოდერძი ჩოხელის ხსოვნას)

კლდის სამყოფელში გუდამაყარში,
ბავშვი ატირდა პატარა ქოხში,
მთის ჭიუხებში თოფი გავარდა,
ქართველი ბიჭი კვლავ იშვა ჩოხში.
        კვლავ მოევლინა ქართველთ დიდება,
        ირემს ყივილი მოუნდა ხევში,
        ბუნების მცველი კვლავ დაიბადა,
        ვაჟას არწივმაც გაჰკივლა მთებში.
გოდერძი, შვილო, _ დედას აღმოხდა,
როს დაინახა პატარა სახლში,
და რა იცოდა მაშინ ალალმა,
რომ გენიოსი გაუჩნდათ გვარში.
მხოლოდ ღრუბელი მოქუფრულიყო,
ალაგაც შავი მოუჩანს ფერში,
ეს სიხარულიც წვიმამ დანამა
და სხივმა იკლო ცხრათვალა მზეში.

დაბადებიდან თან დაჰყვა გრძნობა
მძაფრი, ძლიერი, როგორცა ძმებში,
ზვიადად ხედვის, წინაპართ სული,
მჭმუნვარე სახით გაისმა ხმებში.
სევდის ვაჟკაცი ზეცას შეჰყურებს,
მთებს გადაივლის, ჩავა ართხმოში,
პირიქით ხევსურთ გულს გადაუშლის,
მუზებს მოუხმობს ის სამშობლოში.
როგორც მთიელის მართალი სიტყვა,
ეს მისი ფიქრიც ჩავიდა ბარში,
მაგრამ მის გრძნობას მაინც სხვა უხმობს,
ისრუტავს, იღებს და მიაქვს მთაში.
გუდამაყარში ცეკვავს არწივნი,
მათ გაუმართავთ ზეიმი ცაში,
და სიხარული სევდანარევი,
ჩოხელთა სიტყვა გაბრწყინდა გვარში.
კლდის სამყოფელში გუდამაყარში,
ბავშვი ატირდა პატარა ქოხში,
იქ დაიბადა სევდის მთიელი,
და ასე დარჩა სახელი ჩოხში.

ჩემი პარტია

პოლიტიკურ მე პარტიის შეფი ვარ,
მე ვადგენ და მე ვაყენებ ანგარიშს,
არჩევნები ყველას მინდა მოვუგო,
ამის მერე დავამღერებ მაღარიჩს.

ამ პარტიის ყველაფერი მე ვიცი,
მე ჩემს გარდა არ ვენდობი არავის,
მარტო წევრი პარტიაში ვინც არის,
მხოლოდ იმათ ვაძლევ მუდამ მაგალითს.

ასე მუშტად შეკრულნი ვართ ყველანი,
მომხრე არის ყველა ერთის წაბაძვის,
მხოლოდ ერთი, სხვის მაგივრად სულ ქაჩავს,
მე ერთი ვარ, სხვა არა მყავს არავინ.

ჩემს პარტიის არჩევნებსაც მე ვიგებ,
სხვას არ ვუშვებ პარტიაში არავის,
მინდა, თათბირს მოვიწვევ და ვიმსჯელებ,
მინდა, თათბირს მე გადავდებ ხვალამდის.

ამ სულელებს რომ ვუყურებ, ჯობია,

ცალკე იყო შენს თავს უძღვნა სალამი,
დასაწყისში რომ შეიკრნენ ერთ მუშტად,
ცოტა ხანში აღარ დარჩა არავინ.

მე კი ჩემთვის გავლაღდები, რა იყო,
ვწერ და დიდხანს არ მიცვდება კალამი,
არ მჭირდება პარლამენტის შენობა,
გავმართე და ავაშენე კარავი.

გავიმარჯვებ, მე ვიქნები პირველი,
მეთაური და ფულების მმალავი,
პარტიაში ბუნტს ვერავინ მომიწყობს,
იქ ჩემს გარდა არ იქნება არავინ.
ეს გუნდები იმდენია, ვერ მოთვლი,
შეიკრა და გამთლიანდა მრავალი,
ერთი ჭკუა, ერთი საქმე ჰქონიათ,
აღმოჩნდება, რომ ეს ასე არ არის.

არჩევნებში ბევრ ფულს ხარჯავს ყველანი,
ნდობა არის მხოლოდ ფულის მანდატის,
გაჭირვებულ და დაქცეულ ამ ხალხში,
მეთაურებს ქუდები აქვთ ანდატრის.

ამიტომაც ჩემს პარტიას მე ვშეფობ,
მე ვადგენ და მე ვაყენებ ანგარიშს,
გაუმარჯოს ერთპარტიულ არჩევნებს,
და პარტიის ერთკაციან მაღარიჩს!

წარსული

ისევ მენატრება წარსული,
ფიქრით გამინათდა გზა,
ისევ მენატრება სილაღე,
და ის საამო ხმა.

ისევ მენატრება ის დილა,
ის ჭიუხი და მთა,
ნეტავ რას ვფიქრობდი მე მაშინ,
როცა შევყურებდი ცას.

წარსულს ვერ შევუცვლი ვერაფერს,
მომავალს ვუქარგავ ტანს,
წარსულს სიმშვიდე მარადის,
მომავლის დიდების მწამს!

ბაბუა მქვია

მე შევიცვალე, ისე აღარ ვარ,
დარდებმა ასაკს ცოტათი სძლია,
გამოცდილება მოიწევს ნელა,
სიკეთეც, ალბათ, ისე არ ყრია.
    მე შევიცვალე, რატომღაც ვატყობ,
    ისე ვეღარ ვგრძნობ მე დღეებს მზიანს,
    სიცივეს, ალბათ, თავისი გააქვს,
    თავისი გააქვთ ამ წლებსაც ტიალს.
მე შევიცვალე ჩემი ბუნებით,
სხვაგვარ შევიგრძნობ ბუნების ციალს,
ჩემი აზრები სხვაგვარად ხედავს,
ჩვენი სამყაროს ცხოვრების ტრიალს.
    მე შევიცვალე წონით და ფერით,
    ახალგაზრდობა სიბერეს მიაქვს,
    შემობრუნებას მაინც ვერ შევძლებ,
    ჩემი მერანი ისე ვერ ფრინავს.
მე შევიცვალე, კიდეც რომ არ სთქვა,
ისე ვერ ვხვდები მე დილის ციაგს,
ჩემი ფიქრებიც სულ შეიცვალა,
მხარს აღარ ვუჭერ ყანწების ტრიალს.
    მე შევიცვალე, დროც შეიცვალა,
    ახალგაზრდულად ვერ შევძლებ გრიალს,
    ღმერთო, დალოცე ეს მომავალი,
    ძველ გაჭირვებას გავატან ნიავს.
მე შევიცვალე, ისე აღარ ვარ,
ფიქრმა და წლებმა ბავშვობას სძლია,
ისე მოვიდა, ვერც კი შევატყვე
და მე დღეს უკვე, ბაბუა მქვია.

გამოდი, ქალაუ!

ქალაუ, ჰეი, ქალაუ,
შენთვის ვიმღერე ნანაო,
კლდეზე მივფრინავ ვედრებით
ოცნებამ მე დამღალაო.

შენს სახლის კიდეს მოვედი,
კარი გამიღე ჩქარაო,
გული ვერ უძლებს ტიალი,
ასე ლოდინი კმარაო.

ცხენი მყავს, ელვა ტაიჭი,
შორი გზა ჩქარ დაფარაო,
შემომეგებე, მაკოცე,
უარი არ სთქვა, არაო!

მუდამ ბრძოლებმა დამღალა,
გულს მადევს მე იარაო,
ხანჯალი დამკარ ტარამდის,
ბოლომდე გამიარაო.

ომში დაჭრილი ვიყავი,
სახლს დედამ მომიარაო,
სითბო მალამოდ დამადო,
წყლულები დამიამაო.

ფეხზე ავდექი, ავიჭერ,
გულში ვიმღერე ნანაო,
შენთვის სიცოცხლეს გავწირავ,
რაღას უყურებ, ჩქარაო!

მიგიყვან სახლში დედასთან,
ცხარე ცრემლები კმარაო,
შვილებიც ბევრი გაგვიჩნდეს,
მთის ანგელოზო, ქალაუ!

შენ, ჩემო გულო

შენ, ჩემო ფიქრო და საჯახირო,
შენ, ჩემო გულო _ ღვთაებავ ჩემო,
ასე პატარა ქვეყნად რად გაჩნდი,
პატარა ფეთქვით, ალბათ, რომ გევლო.
        შენ ჩაგეტია მთელი ქვეყანა,
        გულში ჩაგიკრავ, ჩემო მთა-ველო,
        შენ მთელ ქვეყანას ფრთები შეასხი,
        ოკეანეებს რომ გადაევლო.
ასე პატარავ, ასე გულადო,
ასე უშიშრად შენ უნდა გევლო,
უშენოდ არვინ არაფერია,
შენით ვამაყობთ შენზე მლოცველო.
        თუ გული გულობს, მაშინ კაცი ხარ,
        შენ ვაჟკაცი ხარ და სანაქებო
        დიდხანს იცოცხლე, პატარავ ჩემო,
        შენ ერს და მამულს რომ მოეფერო.
პირველი შენ გრძნობ, შენამდის მოდის,

გრძნობებით სავსე იყავი გულო,
იოლად გიყვარს და იოლად გწყინს,
ყველაფერს არკვევ კარგად აღზრდილო.
        შენ დაგევალა გეტკინოს მუდამ,
        ყველა ტკივილი შენ უნდა ზიდო,
        ყველაფერს უხმოდ უნდა გაუძლო,
        ჩემო პატარავ და ჩემო დიდო!
შენით არსებობს ვაჟკაცი მუდამ,
შენ, ჩემო გულო, შენ, ჩემო მკვიდრო,
თუ გული გქვია, უნდა გამიძლო,
უნდა მეძმო და უნდა მეტკინო!
        ჩემო იმედო, შენ შემოგევლე,
        შენ, ჩემო გულო, ღვთაებავ ჩემო,
        პატარა ფორმის დიდგულიანო,
        ჩემო ლამაზო და ფიქრო დიდო!

რა დრო გასულა შენი ნახვიდან

შენ მუზა იყავ, ვერ გაგიმხილე,
შეუბრალებლად დრო კი გაფრინდა,
ოცნება იყავ, ვერ მიგახვედრე
და ობლად დავრჩი შენი ნახვიდან.

შენ, ალბათ, ისევ ისე კარგი ხარ,
შენთვის ცხოვრება ნელა მარცვლიდა,
დრომ, ალბათ, შენთვის ნელა ათვალა,
და მე კი წლები უხვად მაცვივდა.

მოგონებები გულში შემომრჩა,
გულში, რომელზეც ხშირად მაწვიმდა,
საოცარი ხარ, როგორც რომ წვენი,
გადმოწურული ტკბილი მარწყვიდან.

რა ვქნა, ასეთი ბედი მე მერგო,
ვეღარ დავიწყებ უკვე ახლიდან,
შენი სხივები შორიდან თვალს მჭრის,
გამოტყორცნილი კოხტა ტანიდან.

შენი კისერი, სახე, თმა, მკერდი,
ალბათ, გათვალეს სხვისთვის თავიდან,
მე კი უმწეო, რაღას ველოდი,
დარდი მაწვალებს, აღარც რა მინდა.

ჩემი ბრალია, ვერ გაგიმხილე,
ის მუზა ნაზად, შენს თმებს ვარცხნიდა,

ტკბილ მოგონებად ფიქრია მხოლოდ,
რა დრო გასულა, შენი ნახვიდან.

ჩემო ჩიტო

გამიფრინდა ჩუმად დრონი,
როგორც ჩიტი პატარა,
და ქრიალით გადაფრინდა,
გზები სწრაფად დაფარა.
ნუ იჩქარებ, ჩემო ჩიტო,
ასე ჩქარ რამ გატარა?
შენი არის, შენ გაიფრენ,
ჩემო გულის ნაცარა.
ნელა გავყვეთ ცხოვრების გზას,
ბედმა თუკი გვაცალა,
ნაფერები ეს წლები კი
ხელში შემოგვაცალა.
ეს ცხოვრება ასე არის,
დღეებისგან გაგვცალა,
კიდევ ბევრი დაგვიტოვა,
ბედი თასში ჩაცალა.
ჩემი ჩიტი ისევ იფრენს,
ნადირმა თუ აცალა,
მონადირე თუ არ შეხვდა,
თოფი თუ არ დაცალა.
მძლავრად ფრთები შემოჰკრა და
გადაფრინდა ნაცარა,
ყელი ისევ მოიღერა,
თასიც ისევ დაცალა.
გამიფრინდა ჩუმად დრონი,
ბედმა ასე გვაცალა,
და ქარივით გადაფრინდა,
ჩემი გულის ნაცარა.

სტუმრობა ხევსურეთში

ხევსურეთს ძმაკაცს ვესტუმრე,
მთიელნი მიყვარს ძალიან,
გამომეგება, მიმიღო,
როგორც შეჰფერის ძმა ძმიანს.

ცხვარი ჩამაჰქნა უმალვე,

ჯიხვის მწვადს მაწვდის ის ცვრიანს,
რა საოცარი რამაა,
წყნარად გავხედე მე მთიანს.

ქალი გამოჩნდა ლამაზი,
ნელა ვავსებდი მე რქიანს,
ისეთი სხივი გამოკრთა,
თვალთ დამიბნელდა მე, ტიალს.

ძმადნაფიცს თვალი შევავლე,
გული ვუჩვენე გულიანს,
ბახუსი უფრო მომედვა,
აღარა ვგავარ მე ჭკვიანს.

ეს ჩემი დაა, _ გამაცნო,
ანგელოზს ვხედავ ბაფთიანს,
და ქალის ნაზმა ღიმილმა,
გადაუარა მთელ მთიანს.

_ წაწლობა ვიცით ხევსურეთს,
გამოვცდით ჩვენთვის გულიანს,
შენ კი რა გითხრა, ძმობილო,
მუდამ ვენდობი მე ძმიანს.
_ არ მინდა, აქ არ დავრჩები,
წესი არ მომწონს ძალიან, _
ჩემებრ უჩუმრად ავდექი,
ქალნი კი სახეს მალვიან.

მე ჩემი წესით ვიცხოვრებ,
ბოდიშს კი გიხდი, ძამია,
რა ვქნა, რომ ესე არ მომწონს,
ჩემებრ ცხოვრება მწადია.

ვერ გამიგია რად დავწვე,
ჩემს ძმასთან, მისსა დაიას,
წესი ვიწუნე, რაი ვქნა,
ფიქრი ვაყოლე ქარიანს.

ხევსურეთს ძმობილს ვესტუმრე,
ხევსურნი მიყვარს ძალიან,
ქალაი ვნახე, დავიმხე,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!

ქალაუ, შენმა სინაზემ

ქალაუ, შენმა სინაზემ
მე გული დამირბიაო,
შემომახვია ფიქრები,
აზრები გამირბიანო.
        მაგ გამოხედვას ვერ ვუძლებ,
        აბა, ვის გაუძლიაო?!
        სულ მეყინება გონება
        სახელიც დამვიწყნიაო.
გავქვავდი, ჩავდუმებულვარ,
არცარა შემიძლიაო,
მთაში ნაქებსა ვაჟკაცსა,
ხმა ვერა გამიღიაო.
        მაგ აზიდულსა წამწამსა,
        ქვეყანა დაუპყრიაო,
        თვალ-წარბი ისე გიელავს,
        გულს კარი გაუღიაო.
ციხე-სიმაგრედ დამდგარხარ,
ვერავის აუღიაო,
მეც შემოგცქერი, რაი ვქნა?
გული შენ წაგიღიაო.
        მიწას ამოვთხრი ხმლის წვერით,
        უნდა ვახარო იაო,
        რომ გაიზრდება, მოგართმევ,
        ლამაზი კონებიაო.
დანარჩენს ისე მოგიტან,
რაცა მაქვს, ის შენიაო,
გული კი უნდა გამითბო,
წაიღე რახანიაო.
        გამოდი, ცხენი შევკაზმოთ,
        ტაიჭი ეს ჩემიაო,
        ჩემი გახდები, ქალაუ,
        ჩემებიც მიგელიანო.
მაგ სილამაზემ სიცოცხლე
და გული დამირბიაო,
გაგაფრენ სახლში თეთრონით,
გზა კი არ დამვიწყნიაო!

ქარიშხალი ქრის

ზღვის ნაპირზე ქარიშხალი ქრის,
მისი ძალა სულში ვნებებს მგვრის,
ქალი მოდის, თვალები აქვს შვლის,
გიჟი ქარი მის დალალებს შლის.

ალებია ავარდნილი მტვრის,
ხმაურობენ ტალღებია ზღვის,
თავს დამყურებს სილამაზე ცის,
სურნელით ვგრძნობ, ალბათ, არის ის.

მოგონება და ლოდინი მღლის,
ეს შეხვედრა, ალბათ, კიდევ ღირს,
ჩემთვის უკვე უცნაურად წვიმს,
ჩემს სხეულში ჟრუანტელი ცრის.

ფიქრი ფიქრებს ტალღასავით ცვლის,
მე კი ვდგავარ, დარდი მაწვიმს მწირს,
მე ვოცნებობ, არ ვეცემი ძირს,
გული იცნობს, განა არის ქვის.

ზღვის ნაპირზე ქარიშხალი ქრის,
ვიღაც მოდის, ის ის არი, ის!
შენ გელოდი, გული ცრემლებს ღვრის,
მომეფერე, როგორც ტალღა ზღვის.

მეორედ მოსვლა როცა იქნება

მეორედ მოსვლა როცა იქნება,
მეორედ მოვალ მაშინ,
შენ აქ დამხვდები, გულში ჩაგიკრავ,
ფრენით წაგიყვან სახლში.

პირველ მოსვლაზე არ გამიმართლა,
ცრემლად ჩამოვდნი ბაღში,
შენი ლამაზი სახე არ მერგო,
ისე ვბერდები ბავშვი.
მაგრამ იმედი მაინც არ ქრება,
ფიქრი მერევა თავში,
ჩვენი ცხოვრება ისევ გრძელდება,
კვლავ გაფრინდება რაში.

კუშტი თვალებიც გამინათდება,
როცა შეგხვდები მაშინ
და ჩამოგიშლი დალალებს ისე,
ავაფრიალებ ცაში.

მეორედ მოსვლა როცა იქნება,
სადღაც იქ, მომავალში,
მაშინ კი ვერსად დამემალები,

ჩემთან წაგიყვან სახლში.

არსად ჩანს ქალი

ვარდსაც ვუამბე ჩემს სიყვარულზე,
მან სინანულით დახარა თავი,
ვატყობდი, გული როგორ ათრთოლდა,
ცრემლად დაცურდა კოკორზე ნამი.

მისი სხეული სულ მთლად დასველდა,
სიჩუმე დადგა, არსაით ჩქამი,
ვარდი აკვნესდა, მეც დამაშორეს
ბედნიერების ეს ერთი წამი.

ნაზი სიოც კი შეგვეხმიანა,
მესაიდუმლე უკვე ვართ სამი,
ისიც ჩურჩულით შემოგვეხვია,
გულამოსკვნილმა აგვიბა მხარი.
ზუზუნმაც ცოტა კიდევ იმატა,
თურმე სიყვარულს მისტირის ქარი,
აქეთ მე, იქით – ვარდის სინაზე,
ბედმა სამივეს დაგვიხშო კარი.

სამივე ველით, იქნებ მოვიდეს,
მხოლოდ ლოდინი ჩაგვეკრა მყარი,
ჩემი მაწუხებს, ქარი მაწყნარებს,
ვარდს მოვეფერე, არსად სჩანს ქალი.

ისევ ისე ვმალავ

რა ლამაზად გადაშლილა ვარდი,
რა ლამაზად უფრიალებს კაბა,
მოჩითული კოხტა, ლამაზფერი,
შემომცინა, თვალი გამინაბა.

მინდა გულში ჩავიხუტო ისევ,
სურნელებით დავთვრები და წავალ,
როცა ვარდი გამიღიმებს დილით,
სიხარულით მეცხრე ცაზე გავალ.

გადავიფრენ მთას და მდელოს ისევ,
სიყვარულის მწვერვალებზე ავალ,

ჩემი გული მხოლოდ შენთან მინდა,
სილამაზე უგზოდ არსად წავა.

ვარდს ხომ ბევრი ეკლები აქვს ისე,
უკარება, შენ გამგვანე ქალავ,
მე რომ მინდა, ვერ შეგავლე ხელი,
შორიდან გჭვრეტ, ჩემო ოქროსთვალავ!
რა ლამაზად გადაშლილა ვარდი,
სურნელებას ყოველ დილას ვპარავ,
ამ სიყვარულს ვუფრთხილდები კარგო,
და ჩემს გულში ისევ ისე ვმალავ.

დრო გავა

ქარი ქრის, ელვა, გრუხუნი,
მთაში ჩამოწვა ზვავები,
ქალაუ, თვალწინ დამიდგა,
შენი ელვარე თვალები.

ცეცხლი ავარდა, აინთო,
მე დამწვავს შენი ალები,
ცხელმა ჰაერმა ჩამხუთა,
შორსა ხარ, ვერ გეკარები.

გზა ჩაიკეტა, ცეცხლი მწვავს,
ცხენსაც დაუცვდა ნალები,
ხოლო ოცნება მოფრინავს,
ვერ მივუხურე კარები.

არსად გამოჩნდი, ვერ გნახე,
სადა ხარ, რას ეფარები?
ალბათ, ღრუბლებში ნავარდობ,
ვერა მცნობ, არ გენანები.

დრო გავა, ვერ დაივიწყებ,
რომ დამიმალე თვალები,
ცეცხლი კი, ალბათ, ჩაქრება,
სხვაც ბევრი არის ქალები.

შენი თვალები

უკიდეგანოდ მიჰქრის ტაიჭი,
თითქმის გაუცვდა ოქროს ნალები,
ჩემი სიცოცხლე არ დასრულდება,
გზას თუ მინათებს შენი თვალები.

ჩუმად შევიგრძენ, უკვე გაიღო
ჩემი ცხოვრების გულის კარები,
თითქოს საუბრობს, ხმას კი არ იღებს
უხმოდ მიპყრობენ შენი თვალები.

ეგ სილამაზე მხოლოდ ჩემია,
არცარა არის მის სადარები,
ნურაფერს მეტყვი, მაინც შევიგრძნობ,
ისეც მეტყველებს შენი თვალები.

უძირო არის, ვით ოკეანე,
ისე ძლიერი, როგორც ტალღები,
გადაგივლის და ძირს დაგანარცხებს,
ეგ ეშხიანი შენი თვალები.

ცხოვრების რაში კი მიჰქრის ისევ,
უკან დაგვრჩება გრძნობის ალები,
სიცოცხლე მხოლოდ ამისთვის ღირდა,
მომფერებოდა შენი თვალები!

ჩემი ჩიტუნია

გალიაში მე პატარა
ჩიტუნია გავზარდე,
ჭიკჭიკებდა ანგელოზი,
ხალისობდა ზამთრამდე.

მერე ძალზე გაგულისდა,
ვკოცნე, იქნებ დაწყნარდეს,
გამიფრინდა, ძალიან გთხოვთ,
მოძებნას არ დამზარდეთ!

მე კი ძალზე შემიყვარდა,
სულ პატარა გავზარდე,
ჩიტო, რატომ მიმატოვე,
არც მაკოცე წასვლამდე?

სად მიფრინავ, ზამთარია,
იფრენ ფრთების დაცლამდე,

მე კი შენთან არ ვიქნები,
ნახვა მაინც მაცადე.

ჩემთან იყავ, რად მოგწყინდა,
ახლა იქნებ გაცივდე,
თავისუფლად ყოფნა გინდა,
გალიას რომ დასცილდე?

წახვედი და გამიფრინდი,
სითბო არ დამაცადე,
ალბათ, ჩიტი მიტომ გქვია,
ფრენით ახვალ ზეცამდე.

გალიაში მე პატარა,
ჩიტუნია გავზარდე,
ჩემთან ყოფნა არ ინდომა,
მე კი ვეძებ დაღლამდე.

ტყე-ღრე თავშესაფარად მაქვს,
როდის მივალ სახლამდე,
კიდევ ერთხელ აჭიკჭიკდი,
გთხოვ, სიცოცხლე მაცადე!

სატრფიალო

დაუკარით სატრფიალო,
თასი უნდა ვატრიალო,
ლამაზების ქვეყანაში,
გული არ დაიდარდიანო!

დედოფალო, ანგელოზო,
აქეთ _ სიძე-მაყრიანო,
გეფერებით, შემოგევლეთ,
შენ, მეჯვარე-ბაფთიანო!

ჩემთან, მხარი დამიმშვენე,
სავსე ყანწო ადლიანო,
ჩემო ლურჯო ზეცის კალთავ,
ჩემო მიწავ, მადლიანო.

ბევრი შვილი მოგცემოდეთ,
სიძევ, ფუძე-კარიანო,
თქვენს სიყვარულს გაუმარჯოს,
გეხუტებით ძალიანო!

მუდამ იყოს ქორწილები,
სიხარულო, ცრემლიანო,
სულ ისმოდეს დოლ-გარმონი,
ჩემო მხარევ, ერთიანო!

ალავერდი გადმოვედი,
გამომართვი გულიანო,
დაჭრილ არწივს გაუმარჯოს,
შერჩენოდეს სულიაო!

კვლავ დაისი დაუკარით,
განა რამე მტრულიაო,
გაბრწყინებულ საქართველოს,
სულ სიკეთით უვლიაო!

ღმერთმა დაგლოცოთ

_ გამოდი, ქალავ, გამოდი,
ნუ იპრანჭები, კმარაო,
შენზე ფიქრებმა დამღალა,
გამომაცალა ძალაო.

გამოდი, გულში ჩაგიკრა,
ლამაზო, ალვის ტანაო,
ცხვარ-ძროხა ბევრი დამიდის,
ქალ მინდა შენისთანაო.

ფეხზე ფაჩუჩებს ჩაგაცმევ,
ტყაპუჭს გაჩუქებ თანაო,
მგლის ნაკვალევზე გატარებ,
უარი არ თქვა, არაო!

_ მგლის ნაკვალევზე რა მინდა,
შენ, მგონი, გონჯი ხარაო,
სულ არ მჭირდება ცხვარ-ძროხა,
და არც ეგ შენი ძალაო.

ქალაქად მინდა ცხოვრება,
აღარა მინდა ფარაო,
მეც გავიპრანჭო მოდურად,
ქუსლებზე შევდგა ტანაო.

_ ქალავ, ქალაქში რა გინდა,

გულში არ დამკრა დანაო,
აბა, სად არის სხვაგანა,
ბუნება ამისთანაო.

დაგიყოლიებ მაინცა,
თვალებჟუჟუნა ჩქარაო,
მთაში გაზრდილი მთიელი,
სად ნახო ჩემისთანაო.
თვალმარგალიტად გავნათდეთ,
მტერს არ დავუთმოთ, არაო,
ხუჭუჭთმიანი ბალღები,
ბევრი დაგვიდის განაო?

ჩვენ ჯიშად ვაჟკაცები ვართ,
ლამაზიც გვინდა ქალაო,
გავლაღდეთ, გვარი ვამრავლოთ,
აკვანი აქ მაქვს თანაო.

ვაჟკაცმა ჩოხა მოირგო,
ქალმა გაშალა ფატაო,
ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო,
უფალმა მოგცეთ ძალაო!

მაშინ მესიზმრე

უსაყვარლესი შენა ხარ მხოლოდ,
რომ დაიბადე და გაჩნდი ქვეყნად,
გაალამაზე მთელი ცხოვრება
და მომევლინე სიცოცხლის ღმერთად.

როცა ცხოვრების დაღმართს დავეშვი,
აღმართზე ავალ მე შენთან ერთად,
ოცნება ისევ კვლავ გაგრძელდება,
მხოლოდ სიცოცხლე მე მინდა შენთან.

სრიალა ტანი _ ნაკვთი სიცოცხლის,
ლამაზი სახე _ კაშკაშა მზეთა,
ისევ დამითბობს ამ ჩემს მომავალს,
როგორიც იყო ბიჭობის წელთა.
კვლავ გამიღიმე, ბროლი გამოჩნდა,
მინდა, რომ ისევ მიგიკრა მკერდთან,
აშოლტილ ტანზე ხელი შეგახე,
აღსარებისთვის მე მივალ მღვდელთან.

როცა დავმშვიდდი, მაშინ მესიზმრე,
თვალების სხივი გიბრწყინავს ფერთა,
ნუ მიმატოვებ, ჩემო ლამაზო,
ღმერთო შემინდე, მტვერი ვარ ფეხთა!

შემომეფეთა თვალები

შემომეფეთა თვალები,
ლივლივებს როგორც ზღვა,
თბილი, ლამაზი, მეტყველი,
მე არ მინახავს სხვა.
    შემომხვდა, სახე მისწორა,
    ვეღარ გავიღე ხმა,
    დგას აშოლტილი სიცოცხლე,
    ქარი უწეწავს თმას.
ის ვნებიანად ეხვევა,
სულში უძვრება ქალს
და აფრიალებს ჭრელ კაბას,
ვთხოვ, არ ანებებს თავს.
    მეტოქეობას რად მიწევ,
    ქარო, შეეშვი მას,
    მიესალბუნე ბუნებას
    და მოეფერე სხვას.
ქარი კი უსტვენს საამოდ,
ქალს შემოევლო ტანს,
ნეტავი მეც შემძლებოდა,
შემოვხვეოდი გარს.
მოვფერებოდი ფერიას,
ვანაცვალებდი თავს,
ვიქრიალებდი ჰაერში,
გადავუფრენდით მთას.
    შემომეფეთა, ვუყურებ,
    როგორც უძირო ზღვას,
    ისეთი ეშხი გამოკრთა,
    ვეღარ დავუთმე სხვას!

არა მცალია

ბაღჩაყელიან, ბროლივით წმინდა,
გზაზე შემომხვდა კოხტა ქალია,
მონარნარებდა, ვით გრილი სიო,
არვინ არ იყო მისი დარია.

მან შემამჩნია, თვალმა ლამაზმა,
გულში ნაღველი სწრაფვე გარია,
ალბათ, იფიქრა ეს ვიღა არის,
კაცები ყველა ერთნი არიან.

მან დამავიწყა ყველა ოცნება,
ფიქრები თავში უცებ არია,
უმალვე ვიგრძენ თმების სურნელი,
წარსულზე ფიქრი წამში გალია.

შეჩერდა წამით ეს სილამაზე,
გულის რიტმები სულ გადარია,
ბიჭო შენა ხარ? და გამიღიმა,
უცებ ვუთხარი – არა მცალია!
დაბნეულობა სულში გამიჯდა,
ვერ მოვერიე, ჩემი ბრალია,
და ბავშვობიდან შემორჩენილი
ფესვი გაუდგამს ჩემში მყარია.

სინდის-ნამუსი _ ასე გვასწავლეს,
ზრდილობა მუდამ ჩვენი ვალია,
ახლაც კი, როცა ანგელოზს ვხედავ,
როცა ნარნარით მოდის ქალია.

პირველად შევხვდი მე პირველ კლასში
და სიყვარული ვიგრძენ ჩქარია,
მაშინ დავიბენ პატარა ბავშვი,
მორცხვად ვუთხარი, _ არა მცალია!

ბაღჩაყელიან ლამაზი სახით,
ისევ შემომხვდა მე ის ქალია,
პირველკლასელი ბავშვივით გავხდი,
ვერ გადავლახე, ჩემი ბრალია!

მე შავ კაბაში გხედავ

მე შავ კაბაში გხედავ,
თეთრი სხეულის მნათე,
უკუნით მოსულ ღამეს,
ვით ბადრი მთვარე, ანთებ.

ვერა დაგაკლო წლებმა,
მზეს სილამაზეს მატებ,

როგორც წარსულში, ისე
თვალებში ცრემლს ვერ ვატევ.

მას შემდეგ ყოველ ღამეს,
მე ისევ ისე ვათევ,
უძილო წელთა რიგში,
ისევ ავანთებ სანთელს.

დამწუხრებული დუმხარ,
ცრემლი გიფარავს ღაწვებს,
უფრო ლამაზი, ლანდად,
კვლავ მესტუმრები ღამეს.

ჩემგან გაფრინდი წადი,
სხვისთვის ატარებ შავებს,
ახლა დასტირი სულ სხვას,
სულ სხვა გიღებდა კარებს.

მე შავ კაბაში ვხედავ
თეთრ ბროლის მკერდს და ბაგეს,
ვერ შევეხები მთვარეს,
ცის კიდობანზე ნაგებს!

მე კი დავიგვიანე

აფრენილი ვარსკვლავი ხარ,
კლდის მჩქეფარე მდინარე,
ღვთიურ ვარსკვლავს მიგამგვანე,
ზეცით ამომდინარე.
        ვზივარ ჩემთვის შემოგცქერი,
        ცრემლებჩამომდინარე,
        რა ვქნა, როგორ მოგეფერო,
        რაც გაგიცან, ვინანე.
შემომცქერი აშოლტილი,
მუდამ სახემცინარე,
თუნდაც თერგში გადავეშვა,
რას დამახრჩობს მდინარე?!
ჩუმად გულით წამოგძახებ,
ფუტკარი ხარ მკბენარე,
თანაც თაფლის გამცემელო,
თვალები გაქვს ელვარე.
        სიცოცხლის ხარ გამჩენელი,
        მირონგამომდინარე,
        ირემივით მკერდგაშლილო,

რა ვქნა, დავიგვიანე...

მოდი, სიბერევ!

ოცნება იყავ, ვერ ავიხდინე,
ვერ ავისრულე, წლები გაფრინდა,
ახლაც ფიქრები გარს მახვევია,
როგორ დავიწყო, ისევ ახლიდან.

ეჰ, ნეტავ მართლა შეიძლებოდეს,
გამოვიხედო ისევ აკვნიდან
და ისევ იმ გზას დავადგებოდე,
შენ მოდიოდე ისევ ამ გზიდან.

შენი თვალების ის ელვარება,
ისევ მინათებს, როგორც თავიდან,
მინდა, რომ ისევ შეხება ვიგრძნო,
მაგრამ დრო უკვე, ვატყობ, წავიდა.

მე ცხოვრებაში ჯებირს შევასკდი,
და გადმოვვარდი უცებ ნავიდან,
მხოლოდ ოცნება გადარჩა ისევ,
დანარჩენი კი ფსკერზე ჩავიდა.

სხვა სამყაროში მიცურავს იგი,
წყალქვეშ გალაღდა, უკვე გავიდა,
ორად გაყოფილ გულს რა ვუშველო,
ნაპირზე მხოლოდ ფიქრი გავიდა.
ჩემი ოცნება ვერ ავისრულე,
დაღიანი ვარ ბავშვობის დღიდან,
მოდი, სიბერევ, შენ დამრჩი მხოლოდ,
შენს გარდა მაინც არავინ მინდა!

გავხდი ჭაღარა

ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიწევდი,
ფიქრმა დამღალა,
შენი გული ვერ მოვიგე,
გავხდი ჭაღარა.

სიფრიფანა დაფრინავდი,

ჩიტო პატარა,
შენი ტრფობა ჩემმა გულმა,
დღემდე ატარა.

მზის ნათელი აღარ მადგას,
სხივმა დამღარა,
სიხალისე დამეკარგა,
არ მაქვს, აღარა!

ჩემი ლექსიც აღარ გინდა,
აღარც პატარა,
აღარც ჩემი სიმღერები,
დაფი, ნაღარა.

ჩემი ცხენიც ვერ შევკაზმე,
სად მყავს საღარა?
შენზე დარდში დრო გავიდა,
გავხდი ჭაღარა.

მაჩუქე გამა ფერთა

მე შენ სიცოცხლე მაჩუქე,
გულში შემოდი ჩემთან,
ლამაზად სურნელს აპკურებ,
მაჩუქე გამა ფერთა.

ხალისი მომეც დავრდომილს
და გამიქარწყლე სევდა,
შენს დანახვაზე ცრემლი მდის,
შენ, ჩემო გულის ერთა!

უცებ გამოჩნდი, ვერ გიცან,
წერილს ვაგზავნი ღმერთთან,
კვლავ დამიბრუნოს ის წლები,
როცა შენ ჩემი გერქვა.

ამოდი, მზეო, შემოგთხოვთ
ისევ განდევნე სეტყვა,
ხმას ვეღარ ვიღებ, გავჩუმდი,
რაღაც მინდოდა მეთქვა.

ისე შეგიცან თავიდან,

როგორც ხალისი მზეთა,
კვლავ დამიამე სიცოცხლე,
მაჩუქე გამა ფერთა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

დაბრძანებულა დავითი გელათს;
არ წავქცეულვართ;
როგორც ქართველთა წესია;
შენ დაგვილოცე სამშობლო;
მათ უკვდავება მარადი;
სამშობლოსთვის, სწორდით!;
ვერ გაპატიებ;
წიწამურთან ილიასაც ესროლეს;
გაზაფხული;
ეს მერამდენედ;
რამ დაგაღონა, მოხევევ?!;
მთაში ავედი მოხევეებთან;
აღსდექ ერო!;
არ დაგნებდები!;
ამღერდება ხმა ქართული;
ყოჩივარდები დავკრიფე;
დღეს საქართველოს გასჭირვებია;
სვეტიცხოველში მირონს ხარშავენ;
დაიბადება ისევ ბოკვერნი;
უჩვეულო სტუმრობა;
დიდება სამშობლოს!;
გამოანათე შემოგთხოვ, მზეო!;
ჩვენი ერთობა;
ჩვენი გვარია კავკასიელი;
ჩემო სამშობლო;
გულით ვილოცოთ;
ოცნებას ვყიდი;
კვლავ ჩამოჰკარით;

დიდი ხანია;
გთხოვ, მომაფერო მიწას!;
მე დავბრუნდები;
ჩემი გული იქ დავტოვე;
მომავლის იმედით;
ისევ დაგიცდი;
საქართველოვ, მე ვარ შენი!;
გამიშვით მძინავს;
დედის ცრემლების იაო;
პირველი სიყვარული;
სანთლად ანთებული;
დედის დალოცვა;
აკვანი;
ქართული ვაზი;
მომავლის იმედით;
ქრისტეშობა;
ღმერთო, აკურთხე;
ორი არაგვი;
უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს;
რწმენა;
მერმისი;
ჯვარზე;
სვეტიცხოველში;
აღდგომის დღეს;
სასწაულია ცხოვრება;
ზომა;
ღმერთო, შემინდე;
ქრისტეშობა;
ლოცვა-დიდება ცად აგებულა;
მეორედ რად ჰკლავთ;
სანამ წავსულვართ;
მე საქართველოს ასეთსა ვხედავ;
მწამს;
შემომაღამდა;
დაიბადება ისევ დავითი;
ჯიშის დამცველნი;
არაფერი აღარ მინდა;
დაბადებიდან ომში ვყოფილვართ;

წმინდაო მარიამ;
ვიღაცას წუხელ არ სძინებია;
ოღონდ შენ კაცად ივარგე;
თუ გინახიათ ხარის დაჩოქვა?;
გვარს ნუ შეიცვლი;
როცა გეტყვიან;
ჩვენ სიმართლეს ველოდებით;
ათასეული წლების წინათ;
ისე არ დაბნელდება;
ომებში ბავშვმა ცრემლი დაღვარა;
გაუწოდეთ ხელი ძმობას;
ესტაფეტა;
ორი დრო;
დამისხით ღვინო;
ხარი;
მგოსანთა სავანე;
ნიკორწმინდა;
სანთელი;
მეგობრობას გაუმარჯოს!;
რა სწრაფად გადის;
გასაცემი გაეც, კარგო!;
ყველა თავისას ბედავს;
გასაუბრება მყინვართან;
დილის საარი;
მეტეხის ხიდი;
სიცოცხლის ნაპირი;
სიზმარი;
ქუთაისო;
ყვირილა;
ბატონ ოთარ გელაძეს;
მე მოვალ;
ვარინკობა;
მონატრების მონატრება;
შენ, ჩემო ნისლო;
შემახეთ ხელი;
სევდიანი მთიელი;
ჩემი პარტია;
წარსული;

ბაბუა მქვია;
გამოდი, ქალაუ!;
შენ, ჩემო გულო;
რა დრო გასულა შენი ნახვიდან;
ჩემო ჩიტო;
სტუმრობა ხევსურეთში;
ქალაუ, შენმა სინაზემ;
ქარიშხალი ქრის;
მეორედ მოსვლა როცა იქნება;
არსად ჩანს ქალი;
ისევ ისე ვმალავ;
დრო გავა;
შენი თვალები;
ჩემი ჩიტუნია;
სატრფიალო;
ღმერთმა დაგლოცოთ;
მაშინ მესიზმრე;
შემომეფეთა თვალები;
არა მცალია;
მე შავ კაბაში გხედავ;
მე კი დავიგვიანე;
მოდი, სიბერევ!;
გავხდი ჭაღარა;
მაჩუქე გამა ფერთა.

ედისონ (ერემია) სალაძე

საქართველოსთვის, სწორდით!

E-mail: eremia.edo@mail.ru

რედაქტორი:
რუსუდან კენჭოშვილი

მხატვარი:
ნუგზარ გიორგაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი ნავროზაშვილი

თბილისი
2010